

მთარ
აღრთქიზანიძე

ქუთო
თოთხეთის
აუთუ გაუთა

9(C 41)
9(395—47.922)
☞ 852

კველი კოლხური ცივილიზაციის სათავეებთან

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ახლა თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ ქართველი ტომები დასაბამიდან მოსახლეობდნენ დღევანდელ საქართველოს მიწა-წყალზე. აქ ხდებოდა ე. წ. პრაქარული ეთნოსის ჩამოყალიბება, ხოლო შემდეგ კი საერთო ქართველური ფუძე-ენის მატარებელი ხალხის დაშლა მონათესავე ტომებად: ქართველად, ზანებად (მეგრელ-ჭანებად) და სვანებად. აქ, საქართველოს მიწა-წყალზე ათასეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა ქართველ ტომთა სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების ხანგრძლივი და რთული პროცესი. აქ და მეზობელ ოლქებში ხორციელდებოდა ქართველ ტომთა ფიზიკური, ეკონომიური და კულტურული კონტაქტები მონათესავე თუ სხვა ხალხებთან, რაც ასახავს პოვნება როგორც ენაში, ასევე ნივთიერ კულტურაში.

ივარაუდებია, რომ უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში (ხოლო შესაძლოა უფრო ადრეც) არსებობდა საერთო ქართველური ფუძე-ენის მატარებელი ეთნიკური ჯგუფი, რომლის წიაღში თანდათანობით ისახებოდა დიალექტური განსხვავებანი, რაც ასევე თანდათანობით ღრმავდებოდა ქართველ ტომთა ფართო განსახლებასთან ერთად. ყოველ შემთხვევაში, უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის მაინც, დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე სრულიად აშკარად ყალიბდება ქართველ ტომთა ერთი დიდი კულტურული არეალი, რომელიც კოლხურის სახელითაა ცნობილი. ამ კულტურის ჩამოყალიბებას და მის ფართო გავრცელებას კი წინ უსწრებდა მრავალსაუკუნოვანი განვითარება...

საქართველო, ისევე როგორც მთლიანად კავკასია, დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას ადამიანთა საზოგადოების საწყისი ეტაპის ისტორიის თვალსაზრისით. დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძველი ქვის ხანის (პალეოლითის) ერთ-ერთი ადრეული ეპოქის — აშელის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძეგლი, რომელთაგან უძველესად იაშთუ-

ხის პალეოლითური სადგომია (სოხუმის მახლობლად) მიჩნეული. მომდევნო ეპოქაში, ე. წ. მუსტიეს დროს, მიმდინარეობს პირველყოფილი ადამიანის ფართო განსახლება დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. ეს ჰყო წინაგვაროვნული საზოგადოების ანუ პირველყოფილი ჯოგის ეპოქა¹. მუსტიეს ეპოქის გვიანდელ ეტაპზე იწყება გვაროვნული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც უკვე ზედა პალეოლითის ხანაში ვითარდება დასავლეთ საქართველოში ამჟამად აღმოჩენილია ზედა პალეოლითის ყველა საფეხურის ძეგლები², ხოლო ძვ. წ. VIII—VII ათასწლეულებიდან იწყება ახალი ეპოქა, ახალი ქვის ხანის ანუ ნეოლითის სახელით რომ არის ცნობილი.

ნეოლითი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქაა კაცობრიობის ისტორიაში. ამ დროს იწყება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარება, ჩნდება მთელი რიგი ტექნიკური სიახლე (კერამიკა, ცული და ა. შ.), რის გამოც ეს დიდი მნიშვნელობის სამეურნეო ძვრები და ტექნიკური პროგრესი კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია „ნეოლითური რევოლუციის“ სახელით³.

ნეოლითური კულტურის ძეგლები მრავლადაა აღმოჩენილი მთელ დასავლეთ საქართველოში, როგორც ზღვისპირა ოლქებში (განსაკუთრებით კი გურია-აჭარასა და აგრეთვე აფხაზეთში), ასევე კოლხეთის დაბლობის მთისწინა ზოლში. ეს ძეგლები ქმნიან ე. წ. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის წრეს, რომლის განვითარების ადრეულ ეტაპს უკავშირებენ დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითის ფინალურ სტადიას (ე. წ. მეზოლითს). ნეოლითური კულტურის გვიანდელი ეტაპი კი დასავლეთ საქართველოში აღინიშნება მიწათმოქმედების განვითარებით და საერთოდ ბინადარი მეურნეობით, რასაც მოწმობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო იარაღების (წერაქვისებური, სოლისებური და სახნისისებური მაკროლითები, სამკელი დანების ჩასართები, ხელსაფეკვაები), აგრეთვე კერამიკის ხშირი აღმოჩენები.

მეთუნეობა პირველყოფილი ადამიანის შემოქმედების ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. ამდენად საყურადღებოა, რომ მას უკვე ძვ. წ. VI ათასწლეულში იცნობენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ნეოლითური ტომები. უფრო მეტიც, თიხის ჭურჭლის ნიმუშები ზოგჯერ მორთულია ორნამენტით: ფოსოები და ირიბი ჭდეები, ტალღისებური, „წიწვისებური,“ თუ „თავთავისებური“ სახეები, რქისებური შევრილები ამკობს ოდიშის, გურიანთის, მამათისა და ანასეული II გვიან ნეოლითურ თიხის ჭურჭელს⁴.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ვარაუდობენ⁵, რომ ადგილობრივი ნეოლითური კულტურის საფუძველზე აღმოცენებულა ძვ. წ. V—IV ათასწლეულების ენეოლითური კულტურა⁶, რომელიც აღმოჩენილია დღე-

ვანდელ აფხაზეთსა (მაჭარის, გუადიხუსა და ოჩამჩირის ნამოსახლარები) და ვანსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში საგვარჯილესა (თერჯოლის მახლობლად), სამელე-კლდესა და სამერცხლე-კლდის გამოქვაბულებში (ყვირილის ხეობა). ამ უკანასკნელთ ახლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე საქართველოში ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებით?

„მტკვარ-არაქსის“ კულტურა (რომელსაც ადრე ენეოლითურს უწოდებდნენ⁹) უახლეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია უკვე მელითონე ტომთა კულტურად, ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურად¹⁰. ამ კულტურის გავრცელების არეალი (ამიერკავკასია და ჩრდ. აღმ. კავკასია, აგრეთვე ჩრდ. ირანი და აღმ. ანატოლია) მოიცავს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებსაც (ძირითადად ყვირილის ხეობას),

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის შემქმნელ ხალხთა ეთნიკური ვინაობის საკითხი საკმაოდ რთულია და ამ საკითხზე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სრული სხვადასხვაობაა¹⁰. მკვლევართა ერთი ნაწილი ავითარებს მოსაზრებას, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის შექმნაში მონაწილეობდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ ქართველი ტომებიც¹¹.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადრეულ ძეგლებს ძვ. წ. IV—III ათასწლეულით ათარიღებენ და უკვე ამ ხანას აკუთვნებენ მეტალურგიის განვითარებას, როდესაც სამეურნეო თუ საომარი იარაღების დასამზადებლად ადამიანი ფართოდ იყენებს ლითონის შენადნობს. განვითარების ამ საფეხურს „ადრე ბრინჯაოს ხანა“ ეწოდება. დასავლეთ საქართველოში ამ ეპოქის უძველესი ძეგლები ჭერჭერობით აღმოჩენილია მდ. ყვირილას ზემო წელზე საჩხერესა („ნაჩერქეზევი“, „ცარცის გორა“) და მის მახლობელ სოფ. ქორეთში (აღგ. პასიეთი) ე. წ. ყორღანულ სამარხებში¹². ესაა, როგორც ფიქრობენ, კოლექტიური, საგვარეულო სამარხენები, სადაც გვარის წევრები გარკვეული დროის მანძილზე ასაფლავებდნენ თავიანთ მიცვალებულებს. ზოგიერთი ასეთი სამარხის დიამეტრი 30 მეტრს აღწევს, ხოლო ქვაყრილის სიმაღლე 3 მეტრს აღემატება. თავდაპირველად მიცვალებულებს სამარხის ძირზე ასაფლავებდნენ, ხოლო შემდეგ კი ქვაყრილშიც მარხავდნენ¹³.

თითქმის იმავე ხანისაა კოლექტიურ სამარხთა თავისებური სახეობა, რომელიც აღმოჩენილია დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და ცნობილია დოღმენების სახელით. ეს არის ვერტიკალურად მდგარი ქვის მონოლითური ფილებით შედგენილი და ზემოდან ასეთივე ფილით გადახურული ტრაპეციის ფორმის ოთხკუთხა ქვაყუთები. წინა ვერტიკალურ ფილას, როგორც წესი, აქვს

მრგვალი, ან ოვალური ნახვრეტი. სამარხეული ინვენტარის მიხედვით აფხაზეთის დოლმენების¹⁴ მშენებლობაში არჩევენ ორ ეტაპს — პირველს ადრე ბრინჯაოს ხანით ათარიღებენ და მას სოფ. ეშერში აღმოჩენილ დოლმენებს აკუთვნებენ¹⁵.

აფხაზეთის დოლმენების წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ამ საკითხის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილი დოლმენების მშენებლობას აზიიდან მოსულ ხალხებს მიაწერს (ა. უვაროვი)¹⁶, სხვები ფიქრობენ რომ დოლმენების მშენებლობის იდეა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საზღვაო გზებით გავრცელდა სირიიდან და პალესტინიდან (ლ. სოლოვიოვი, ლ. ლავროვი)¹⁷. ცნობილი ჩეხი მეცნიერი ბ. პროზნი კი პირიქით ვარაუდობდა, რომ დოლმენები სირიასა და პალესტინაში კავკასიიდან გავრცელდა¹⁸. გამოჩენილი საბჭოთა არქეოლოგი ბ. პოტროვსკი სამართლიანად უარყოფს დოლმენური კულტურის კავკასიაში მიგრაციის შესაძლებლობას, ვინაიდან აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ასახავს კარგად ცნობილ ადგილობრივ სპილენძ-ბრინჯაოს კულტურას¹⁹. ამავე აზრს ავითარებს პროფესორი ო. ჯაფარიძე²⁰.

ადრე ბრინჯაოს ხანის დოლმენები²¹, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ეშერშია შესწავლილი, მოგვიანო ხანის დოლმენებთან შედარებით მცირე ზომისაა. დღემდე ცნობილ უძველეს დოლმენტა შორის ყველაზე დიდი სამარხის სიგრძე 3, 5 მეტრს აღემატება, ხოლო სიმაღლე თითქმის 2,4 მ-ს აღწევს.

საჩხერეს სამარხებსა და აფხაზეთის დოლმენებში მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები უმდიდრესი წყაროა ბრინჯაოს კულტურის ადრეული ეტაპის ისტორიისათვის.

ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურებასა და მის მაღალ დონეს თვალსაჩინოდ მოწმობს ლითონის იარაღ-საჭურველისა თუ სამკაულის არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება. ლითონის ნივთებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია საომარი და სამეურნეო ცულების სიმრავლე. ადრე ბრინჯაოს ხანის ცულები, რომელთა საუკეთესო და უძველესი ნიმუშები დასავლეთ საქართველოში საჩხერესა და ეშერის დოლმენებში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა პუნქტშია ნაპოვნი, საკმაოდ ნატიფი მოყვანილობისაა: ესაა ნამგლისებურად მოხრილი ყუამილიანი, ან ყუადაქანებული ცულები, ცალკეული დეტალის (ძირითადად სატარეხერელის) მიხედვით რამდენიმე ურთიერთისაგან განსხვავებულ ვარიანტს რომ ქმნიან²². სპეციალურმა მეტალოგრაფიულმა შესწავლამ ცხადყო, რომ საჩხერესა და ეშერის ყუამილიანი ცულები ჯერ ჩამოსხმულია, ხოლო პირი შემდეგ ნაჭედია დამატებით. ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების ამ ადრინდელ ეტაპზე ლითონის ჩამოსხმის საკმაოდ მაღალი ტექნიკის მჭევრმეტყვე-

ლი მოწმობაა ეშერის ერთ-ერთ დოკუმენტში ნაპოვნი ბრინჯაოს ყუამილიანი ცუ-
ლი, წნული რელიეფური ორნამენტით რომ არის შექმული. ასეთივე ორნამენ-
ტი ამკობს იქვე ნაპოვნი ბრინჯაოს ცალკაპა კავს. დადგენილია, რომ ლითონ-
ის მხატვრული დეკორის ეს უძველესი ნიმუშები დამზადებულია ცვილის მო-
დელის გამოყენებით²³.

მრავლად ნაპოვნი ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები ქმნიან ადრე
ბრინჯაოს ხანის ლითონის კულტურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო არსებითსა
და განმსაზღვრელ კომპონენტს. ფიქრობენ, რომ ადრე ბრინჯაოს ხანაში სა-
ქართველოში გავრცელებული ცულები გენეტურად ძველ შუმერულ ცულებს
უკავშირდებიან, მაგრამ ქმნიან ადგილობრივ ვარიანტს, შემდეგ უფრო გვიან
აქედან ფართოდ რომ ვრცელდება ჩრდილოეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ევრო-
პასა და დუნაისპირა ქვეყნებში²⁴.

ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ ეტაპზე ლითონის იარაღებიდან ყურად-
ღებას იქცევს აგრეთვე სატევრების სიმრავლე და მრავალფეროვნება²⁵. საჩ-
ხერეს სამაროვნებზე მრავლადაა ნაპოვნი სულ სხვადასხვა ზომის მაღალყუნ-
წიანი, მხრებდაქანებული, ბრტყელი თუ რომბისებურპირიანი სატევრები, რომ-
ელთა ადრეული ნიმუშები დამზადებულია ცვიად ჭედვის წესით, სხვები კი
ჯერ ჩამოსხმულია, ხოლო შემდეგ — ნაჭედი. მათ ძვლის, ან მაგარი ხის ტარი
უნდა ჰქონოდათ. საგანგებოდაა აღსანიშნავი ლითონისტარიანი ორი სატევარი
— საქართველოში ნაპოვნი მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთი უძველესი ნი-
მუშები. ორივე სატევარი თითქმის ერთნაირი ფორმისაა (რომბისებურპირიან-
ნი) და ერთი და იგივე წესით დამზადებული: პირი ნაჭედია, ხოლო ტარი კი ჩა-
მოსხმულია და მორთულია რელიეფური ორნამენტებით. „ცარცის გორაზე“
ნაპოვნი სატევრის ტარი ბრტყელია და წელგამოყვანილი (ბოლოგახვრეტილი),
შუაზე გასდევს ქედი, ორსავე მხარეს ტეხილი რელიეფური ხაზებით, ვადასთან
მოჩუქურთმებულია წნული ორნამენტით. ასეთივე წნული ორნამენტი ამკობს
სოფ. ქორეთში ნაპოვნი მეორე სატევრის ტარს, რომელიც ვადასთან რელიე-
ფური სპირალური სახეებითაა მორთული. ეს რთული დეკორი საჩხერეს სა-
ტევრებზე მიღებულია ცვილის მოდელის გამოყენებით²⁶, და კიდევ ერთხელ
თვალსაჩინოდ მოწმობს ძველ საქართველოში ლითონის დამუშავების მაღალ
ღონესა და მეტალურგიის დაწინაურებას საერთოდ, ბრინჯაოს კულტურის გან-
ვითარებას ერთ-ერთ ადრინდელ ეტაპზე — უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში.

ამასვე მოწმობს საჩხერეს სამარხებში მრავლად ნაპოვნი ბრინჯაოს ნაირ-
სახოვანი სამკაული²⁷. საჩხერეს ყორღანული სამარხებისათვის განსაკუთრე-
ბით დამახასიათებელია ე. წ. T-ს მაგვარი ქინძისთავეები. როგორც ფიქრობენ,
ისინი მხართან ტანსაცმლის შესაბნევად იყო განკუთვნილი. საჩხერეს სამარხებ-

ში ფართოდ გავრცელებული ამ ტიპის ქინძისთავეებიდან საგანგებოდ აღსანიშნავია რამდენიმე. სოფ. ნაჩერქეზევეში ნაპოვნია ბრინჯაოს საკმაოდ მოზრდილი (32 სმ, სიგრძის) ქინძისთავი. მას შუა ნაწილზე ხარის რქისებური შვერილი აქვს (ბ. კუფტინის აზრით, აქ ორთავალა ეტლი და შიგ შებმული ხარის პირობითი გამოსახულებაა). ნაჩერქეზევეშია აგრეთვე ნაპოვნი საკინძი, რომლის ნიჩბისებური თავი შემკულია თევზიფხური ორნამენტით. რელიეფური ორნამენტი ამკობს აგრეთვე ცარცის გორაზე ნაპოვნ ქინძისთავეებსაც²⁸.

ამრიგად, ლითონის იარაღისა და სამკაულის მრავალფეროვნება (საომარი, სამეურნეო თუ სარიტუალო ცულები, სატევრები, ორკაპა კავეები, რგოლები, საკინძები, სპირალური სამაჯურები, სხვადასხვა ფორმის საკიდები და სხვა), საკმაოდ რთული ტექნიკური ხერხების გამოყენება (ცივად ჰედვა და ჩამოსხმა, ცვილის მოდელი) დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს კულტურის ადრეული ეტაპისათვის, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ საჩხერეს ყორღანულ სამარხებში ჩანს. აქვე ჩნდება საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) ჭრჭვრობით უძველესი ოქროს ნივთები. ცარცის გორასა და ქორეთში ნაპოვნია სპირალისებური ოქროს რგოლები, თითქმის რომ იმეორებენ საჩხერეს ადრე ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელ ერთნახევარი სპირალის ფორმის სასაფეთქლე ხეივებს²⁹ (სურ. 1). საინტერესოა ბ. კუფტინის აზრი: „საჩხერეს ოქროს ხვია შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე როგორც უძველესი ადგილობრივი პროტოტიპი თრიალეთური ყორღანებიდან მომდინარე ოქროს დიდებული ხეივებისათვის... იგი თითქოს პირველსაწყისია საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის სამკაულთა მთელი სამიათასწლოვანი განვითარებისათვის“³⁰.

ბრინჯაოს კულტურის ამ ადრინდელ ეტაპზე, ლითონის მხატვრულ დამუშავებასთან ერთად, განვითარების ახალ და საინტერესო საფეხურზე ადის კერამიკული წარმოება, რომლის მრავალფეროვანი ნიმუშები აგრეთვე საჩხერეს ყორღანულმა სამარხებმა შემოგვინახა³¹. ამ დროს თიხის ჭურჭელი ჯერ კიდევ ხელითაა ნაძერწი, ძირითადად შავზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანია. გავრცელებულია სხვადასხვა ზომის ორყურა დერგები, ცალყურა ქოთნები და ხელადები, ცალყურა თუ სამყურა ქილები და განსაკუთრებით კი სხვადასხვა ფორმის ბადიები. სწორედ ეს უკანასკნელი გამოირჩევა საკმაოდ ნატიფი და დახვეწილი ფორმებით, ჭურჭლის ერთი ნაწილის მეორეზე მსუბუქი გადასვლით. ამ ჭურჭლებისათვის არც ორნამენტია უცხო: შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება წვრილი, ამოღარული ხაზებით შედგენილი სამკუთხედები, ფართო და ღრმა ლარები, თევზიფხური ორნამენტი, აგრეთვე რელიეფური სპირალური ორნამენტი, თითქმის რომ იმეორებს ქორეთის ბრინჯაოს სატევრის მორთულობას და მით მიუთითებს დეკორაციული ელემენტების ერთობაზე ლითონის დამუშავებასა და კერამიკულ წარმოებაში.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე კარგა ხანია მიაქციეს ყურადღება საჩხერეს ყორღანული სამარხების კერამიკის დიდ მსგავსებას შიდა ქართლის თანადროულ კერამიკულ კომპლექსებთან და ეს ფაქტი ბ. კუფტინმა ეთნიკური ერთიანობის მოწმობად მიიჩნია³². უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები აშკარა კავშირს ავლენს აგრეთვე შიდა ქართლის რამდენადმე უფრო ძველ ძეგლებთანაც, კერძოდ, ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გვიანდელ ფენებთან (ქვაცხელების ნამოსახლარის C დონე)³³. ამის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება საჩხერეს ძეგლების უფრო ადრეული ხანით (ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით და პირველი ნახევრით) დათარიღების საგარაუდო შესაძლებლობის შესახებ.

მაგრამ საჩხერეს ძეგლების სიახლოვე შიდა ქართლის (კერძოდ, ქვაცხელების ნამოსახლართან) ლითონის მხოლოდ ზოგიერთი ნივთის (სპილენძის ისრისპირები) და უფრო მეტად კი კერამიკის მსგავსებაში მყდუნდება. ამასთან აღნიშნავენ, რომ ქვაცხელების ლითონის ნაწარმიცა და კერამიკაც საჩხერულთან შედარებით უფრო არქაულია³⁴.

მეორე მხრივ, საჩხერეს სამარხებში ბრინჯაოს ნივთების არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება, მათი დამუშავების მაღალტექნიკური დონე სრულიად აშკარად მიუთითებს თითქოს განვითარების უფრო მაღალ და ახალ ეტაპზე. ამ დროს თუმცა ჯერ კიდევ მძლავრადაა შემორჩენილი წინამორბედი ხანის ტრადიციები (უპირატესად კერამიკაში), მაგრამ ნათლად ისახება მომავალი განვითარების ტენდენციებიც — ბრინჯაოს მეტალურგიის სწრაფი აღმავლობა. ამიტომაც საჩხერეს სამარხების ადრეული ჯგუფებისათვის ჯერჯერობით ძალაში რჩება კუფტინის დათარიღება (ძვ. წ. XXIV—XXII საუკუნეები)³⁵, სულ გვიანდელი პერიოდი კი ძვ. წ. XX—XIX სს. განეკუთვნება³⁶. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საჩხერული კულტურა ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის წიაღში აღმოცენებული კულტურაა, რომლის განვითარების ადრინდელ ეტაპზე ჯერ კიდევ მძლავრად იგრძნობა წინამორბედი ხანის ტრადიციები და ლიხს აქეთ, შიდა ქართლში მოსახლე, მონათესავე ტომებთან კავშირები. განვითარების ახალ ეტაპზე, რაც ბრინჯაოს მეტალურგიის სწრაფი დაწინაურებით აღინიშნება, აშკარად იკვლევს გზას და ფართოდ ვრცელდება წინააზიური კულტურის ელემენტები. ასეთებადაა მიჩნეული სწორედ ყუამილიანი ცული, ხიშტისმაგვარი და შუბისებური იარაღები, ბრტყელყუნწიანი სატყერის პირები, სატეხი და საჭრეთელი, მარყუქისთავიანი საკინძი, სასაფეთქლე რგოლები³⁷.

გ. მელიქიშვილის აზრით, წინააზიური ელემენტების მომძლავრება შესაძლებელია აიხსნას არა მხოლოდ კულტურულ-ეკონომიური კავშირის გაძ-

ლიერებით, არამედ გარკვეული წინააზიური ნაკადის გაჩენით კავკასიის მოსახლეობაში³⁸. განვითარების ამ ახალ ეტაპზე უკვე საჩხერულ კულტურაში ვხედავთ ჩანასახის სახით იმ ელემენტებს, რომლებიც სულ მალე სწრაფად გავრცელდებიან მთელ დასავლეთ საქართველოში. ბრინჯაოს კულტურის განვითარების ამ ახალ ეტაპზე, შუა ბრინჯაოს ხანის სახელით რომ არის ცნობილი, იწყება მთის ინტენსიური ათვისება, რაც დაკავშირებულია მესაქონლეობისა და მეტალურგიის განვითარებასთან³⁹. საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიური საფუძველი ხდება მეტალურგია და მესაქონლეობა, ხოლო ეკონომიური ცხოვრების ცენტრი კი—მთა. ამიტომაცაა, რომ ამ ხანის (შუა ბრინჯაოს ეპოქის) ნივთიერი ძეგლების ყველაზე უფრო მჭევრმეტყველი ნიმუშები საქართველოს მთიანმა კუთხეებმა შემოგვინახა.

ძველი კოლხური კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია კავკასიის სამხრეთი კალთების, კერძოდ, რაჭის არქეოლოგიური მონაპოვარი. შუა ბრინჯაოს ხანიდან, აქ და მის მიმდგომ მხარეებში, საკმაოდ ნათლად ისახება ის ელემენტები, რამდენიმე საუკუნის შემდეგ გვიან ბრინჯაოს ხანის დიდ კოლხურ კულტურას რომ შექმნიან.

კავკასიის სამხრეთ კალთების შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა აღმოცენებული და განვითარებულია ადგილობრივ სამთამდნო ბაზაზე, რაც მდ. რიონისა და მისი შენაკადების (ზოფხითური, ჩეშური, ლუხური) სათავეებში მრავლად ნაპოვნი მეტალურგიული წარმოების უძველესი ნაშთებითაა დადასტურებული⁴⁰. თანამედროვე გეოლოგიური საძიებო სამუშაოებისას უკვე მრავლად გამოვლენილი და ნაწილობრივ შესწავლილიც (არქეოლოგ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით) ზღვის დონიდან 1300-2000 მ. სიმაღლეზე, სპილენძის მადნის ზონებში (ციცაბო კლდეებსა თუ ფერდობებზე) გამართული მღვიმეები. ისინი სხვადასხვა ზომისაა. ზოგიერთი მათგანის სიგრძე თითქმის 15-20 მეტრს უდრის, სიგანე აღწევს 13-15 მეტრს, ხოლო სიმაღლე — საშუალოდ 1,5 მეტრს⁴¹. ამ მღვიმეებში ნაპოვნია ნახშირის მძლავრი ფენები და აგრეთვე ქვის უროები. ფიქრობენ, რომ ასეთი უროებით ხდებოდა მადნის მონგრევა მას შემდეგ, რაც ცეცხლით გახურებულ სპილენძის მადნის დამარღვლ ქანებს წყლის ნაკადით დახეთქავდნენ. ერთ-ერთ მღვიმეში მადნის გამოსატანად განკუთვნილი ხის გობიცაა ნაპოვნი. აღმოჩენილია გრანიტისაგან გამოკვეთილი დიდი ზომის გობიცა, რომელშიც, ალბათ, მადანს ნაყავდნენ ძველი მეტალურგები. მადნის საბადოებთან ახლოს ნაპოვნია ნახშირის ნაშთები და უამრავი როდენობის წილა, აგრეთვე ქვის სხვადასხვა იარაღი — ხელსაფქვავეები, როდინები, სახეხები და ლითონის ნაღვენიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ესაა, როგორც ფიქრობენ, ჩვენამდე შემორჩენილი ნაშთები იმ რთული პროცესისა, როდენ-

საც ხდებოდა მადნის გამოწვა (გოგირდის მინარეგების მოსაცილებლად), დაფხვანა-გასუფთავება და შემდგომ დაწურვა⁴².

საგანგებო შესწავლამ ცხადყო, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ლითონის ნივთები (რაჰის მეტალურგიულ ცენტრში დამზადებული) ნაკეთებია დარიშხანიანი ან ანტიმონიანი ბრინჯაოსაგან. ამასთან ყურადღებას იქცევს კიდევ უფრო მაღალი (საჩხერულ კულტურასთან შედარებით) ტექნიკური დონე. ამ დროს უკვე ფართოდაა გამოყენებული რთული ხელოვნური შენადნობი და სხმულები. ამ წესით დამზადებულია შუა ბრინჯაოს ხანის ლითონის მრავალრიცხოვანი და გასაოცრად მრავალგვარი იარაღი თუ სამკაული, არქეოლოგიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილმა ბრილის სამაროვანმა რომ შემოგვინახა (სოფ. ღებთან ახლოს, მდ. ზოფხითურის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე)⁴³.

კავკასიონის სამხრეთ კალთებზე დამკვიდრებულ შუა ბრინჯაოს ხანის ძველ ქართულ მელითონე ტომთა პროდუქტთა გასაოცრად მრავალფეროვანია, თუნდაც მხოლოდ იმის მიხედვითაც კი, რაც ბრილის სამარხებშია ნაპოვნი (სამარხეული ინვენტარი კი, როგორც ცნობილია, ვერ გვიქმნის მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას ყველა იმ ნივთზე, ყოველდღიურ საოჯახო ყოფასა თუ სამეურნეო საქმიანობაში რომ გამოიყენებოდა). ამასთან ერთად, ბრილური ნივთების აღმოჩენა ჩრდ. ოსეთში, ხოლო ანტიმონიანი და დარიშხანიანი ბრინჯაოს ნივთების ფართო გავრცელება დასავლეთ საქართველოსა და აგრეთვე შიდა ქართლის ჩრდ. ზოლში მიჩნეულია იმის მოწმობად, რომ მდ. რიონის ზემო წელის მეტალურგიული კერა შუა ბრინჯაოს ხანაში ამარაგებდა მეზობელი ოლქების მოსახლეობასაც, რაც, თავის მხრივ, წარმოების სიმძლავრის მაუწყებელია⁴⁴.

ბრილის სამაროვანზე შუა ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულია ძირითადად ქვით ნაგები სამარხები და ორმოსამარხები. არქეოლოგებმა ორ არსებით მომენტს მიაქციეს ყურადღება. პირველი — ზოგიერთ სამარხში ლითონის ნივთების განსაკუთრებული სიმრავლეა (საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნია: 7 ცული, 8 სატევარი, 14 შუბის პირი, 12 სამაჯური, 26 საკინძი, 12 საკიდი), რაც ლითონის ინდუსტრიის ფართო მასშტაბის მოწმობაა და აგრეთვე იმის დადასტურებაც, რომ ეს სამარხები ძველ მელითონე ტომებს ეკუთვნიან. მეორე — შედარებითი სიღარიბე ჩანს იმ სამარხებში, რომლებშიც არ გვხვდება საპარადო იარაღ-სამკაული. ეს გარემოება კი სამართლიანადაა მიჩნეული საზოგადოებრივი დიფერენციაციის უტყუარ მოწმობად. ფიქრობენ, რომ გვარის მეთაური ამ დროს უმაღლესი ქურუმიცაა და რიგითი წევრე-

ბისაგან გამოირჩევა სიმდიდრითაც და აგრეთვე საგანგებო სამკაულითა და სიმბოლოებით, რაც აისახა კიდევ მდიდრულ სამარხეულ ინვენტარში⁴⁵.

ბრილის სამარხებში ნაპოვნი ლითონის იარაღები და სამკაულები გამოირჩევა ნატიფი და დახვეწილი ფორმებით, დამზადების მაღალტექნიკური დონით, ხოლო ზოგიერთი სრულიად თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ უძველესი ქართული მხატვრული ხელოსნობის საუკეთესო ნიმუშებად. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ მხრივ ბრინჯაოს ცულები. მათი უმრავლესობა ქმნის ე. წ. ყუამილიან და ყუადაშეგებულ ცულთა სხვადასხვა ვარიანტს და მით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი გენეტურ კავშირს წინამორბედი ხანის კულტურასთან, საკმაოდ თვალსაჩინოდ რომ გამოვლინდა საჩხერეში. ამავე დროს ჩნდება სრულიად ახალი ფორმაც ყუამილიანი ცულისა: მისი ტანი ნახევარმთვარისებური მოყვანილობისა და გორდაპირიანი, ხოლო ტარი კი — ორმხრივ ყუამილიანი. ეს ძალზე მოხდენილი ფორმის ცულები, საზეიმო-სარიტუალო საგნებად რომ მიიჩნიეს სავსებით სამართლიანად, ხშირად შემკულია გეომეტრიული ორნამენტით, ან კიდევ პლასტიკური სახეებით⁴⁶. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცულები პლასტიკურ გამოსახულებიანი ყუით, ფართოდ იყო გავრცელებული ძველ წინა აზიაში, სადაც იგი ხელისუფლების ნიშნად და მისი მფლობელის ღვთაებრივი წარმომავლობის მოწმობად განიხილებოდა. ძვ. წ. I ათასწლეულში ეს წესი გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპაშიც (ასე მაგ., თრაკიაში ყუაორნამენტირებული ცულები მეფე-ქურუმების ინსიგნიებადაა მიჩნეული)⁴⁷. იქნებ იგივე ფუნქცია ეკისრებოდა ბრილის სამაროვანზე ნაპოვნ ცულებს. მით უფრო, რომ ისინი დადასტურებულია მხოლოდ მდიდრულ სამარხებში, სადაც, გ. გობეჯიშვილის ვარაუდით, იმარხებოდნენ გვარის მეთაურები, ამავე დროს უმაღლესი ქურუმის მოვალეობასაც რომ ასრულებდნენ.

მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია ბრილში ნაპოვნი ზემოაღწერილი ტიპის ცულები, შემკული გეომეტრიული ორნამენტითა და ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებებით (სურ. 2). მრავლადაა ნაპოვნი აგრეთვე ცალკე დამზადებული ვერძის თავის ქანდაკებები — ზოგჯერ 3—4 ხვეულიანი მოხდენილი რქებით (სურ. 3). ვერძისთავიანი ქანდაკებები ამშვენებს აგრეთვე საკულტო საგნებსა და ზოგიერთ სამკაულსაც. ქართული პლასტიკური ხელოვნების ეს უძველესი ნიმუშები უთუოდ მიუთითებენ ცხვრისა და ცულის კულტის არსებობაზეც⁴⁸.

მოხდენილი პროპორციებითა და ნატიფი მოყვანილობით გამოირჩევა საბრძოლო იარაღის ზოგიერთი სახეობაც, განსაკუთრებით შუბის პირები, რომელთა უმრავლესობა უკვე მასრაგახსნილია. მათი დამზადება კი ლითონსახმელ საქმეში თვალსაჩინო პროგრესის მაუწყებელია. მეტად მრავალფეროვა-

ნია ტანისამოსის მოსართავი ნივთები და საერთოდ სამკაული: დისკოსებურ, ქოლგისებურ და პირამიდისებურთაგვანი ქინძისთაგები, სასაფეთქლე საკიდები თუ სამაჯურები და მრავალი სხვა⁴⁹.

შუა ბრინჯაოს ხანაში კვლავ გვხვდება სამარხი-დოლმენები, რომლებიც კვლავინდებურად დღევანდელი აფხაზეთის ზღვისპირა ზოლშია გავრცელებული⁵⁰. ამ დროს, შუა ბრინჯაოს კულტურის გვიან ეტაპზე, ჩვენს მიწა-წყალზე პირველად გამოჩნდება არქეოლოგიური ძეგლების ახალი სახეობა — განძი, რაც, როგორც ფიქრობენ, ლითონის ნივთებისათვის ცხარე ბრძოლების დასაწყისის მოსწავებს⁵¹.


ლითონის ნივთების უძველესი განძი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში სოფ. ურეკში (მხარადის რაიონი), ზღვის სანაპიროზე. ურეკის განძი მრავალმხრივია ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებო, განსაკუთრებით კოლხური ბრინჯაოს კულტურის ისტორიისათვის. განძში აღმოჩნდა ⁵² ბრინჯაოს 23 ცული, 8 ბარ-თოხი და 2 ე. წ. ბრტყელი საფხეკე⁵⁴.

ურეკის განძის 23 ცულიდან 8 ყუამილიანია. ისინი გენეტურად ჩვენთვის უკვე ცნობილი საჩხერული ტიპის ადრე ბრინჯაოს ხანის ყუამილიან და ყუადაშვებულ ცულებს უკავშირდებიან და არსებითად მათ შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ (ურეკის ცულებისათვის დამახასიათებელია ყუადაქანებულობისა და ყუამილიანობის შერწყმა)⁵². ურეკის განძის ცულების უმრავლესობას ქმნის შედარებით ახალი ტიპი, რომელიც, როგორც ჩანს, შუა ბრინჯაოს ხანის გვიან საფხურზე ფართოდ იყო გავრცელებული. ამ ცულებს ორფერდა ყუა და მილისებური სატარე ხვრელი აქვთ (თავისი მოყვანილობით ისინი მკვლევარებს დღეს ჩვენში ფართოდ გავრცელებულ ქართულ ცულს მოაგონებენ⁵³). მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ცულების მესამე სახეობა, რომელიც განძში აღმოჩენილ ბარ-თოხებთან ერთად, ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ახალი ბრწყინვალე კულტურის განმსაზღვრელ ელემენტად იქცა. ეს კულტურა დღეს ფართოდაა ცნობილი კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახელით.


ბრინჯაოს ცულის კულტურა


ურეკის განძს მკვლევართა უმრავლესობა ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით, კერძოდ კი დაახლოებით ძვ. წ. XV—XVI სს. ათარი-ლებს¹. და აი, ამ განძში, რომელშიც მეტად თავისებურად აისახა შუა ბრინჯაოს ხანის დასასრული, თავი იჩინა ბრინჯაოს კულტურის განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისის მაუწყებელმა იარაღებმაც. ეს განსაკუთრებით ბარ-თოხები და განსაკუთრებით მანამდე ჩვენთვის უცნობი სახეობა ცულისა, ურეკის განძში ორი ნიმუშით რომ არის წარმოდგენილი. აღრე გავრცელებული ცულებისაგან განსხვავებით, მათ ახასიათებთ ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხვრელი, ექვსწახნაგოვანი ტანი და მომრგვალებული პირი. მაგრამ ამ ტიპის ცულები მხოლოდ ურეკში როდია ნაპოვნი, არამედ—საქართველოს შავი ზღვისპირეთის სხვა პუნქტებშიც (პილენკოვო, ვაგრა, ბიჭვინტა, ლიხნი, ერგე, ქობულეთი, სოფ. ჭოროხი, მახო), აგრეთვე ერთი—არზრუმშიც². ყველა ეს ცული მიჩნეულია³ გვიანი ბრინჯაოს ხანაში კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ცულების წინამორბედად. მათ! ახასიათებს ექვსწახნაგოვანი ტანი, ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხვრელი, გორდა (რამდენადმე ასიმეტრიული), პირი და ამასთანავე ნიღრების ნაირი სიმაღლე. აღსანიშნავია, რომ ყოველი ცალკეული ნიშანი ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაშივე ისახებოდა. ასე მაგ., ტანის ექვსადღაწახნაგებისაგან მისწრაფება (არსებითი ნიშანი ცულების ახალი სახეობისა) შეიმჩნევა ურეკის განძის ზოგიერთ ცულზე⁴, ისევე როგორც ორფერდა ყუა და მახასიათებელი ურეკის მილტარიანი 14 ცულისათვის. ხოლო გორდა და ასიმეტრიული პირიც, შუა ბრინჯაოს ხანის დასავლეთ საქართველოს ცულებიდან მომდინარეობს⁵. ასე რომ, შუა ბრინჯაოს კულტურის წიაღში ისახებოდა ურეკის,






































გაგრა-პილენკოვოსა და ერგე-ქობულეთის ზემოთ დასახლებული ტიპის ცულის შემქმნელი ელემენტები. შემდეგში მისგან განვითარდა სხვადასხვა ვარიანტი გვიანი ბრინჯაოს ხანის ცულისა, რომელსაც დღეს „კოლხური ცული“ სახელით ვიცნობთ.

უახლეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანი ბრინჯაოს ხანის დასაწყისი კოლხეთში ძვ. წ. XVI—XV საუკუნეებიდან ივარაუდება⁷. ამ დროისათვის ძველი კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარება მეტად მაღალ დონეს აღწევს, რაც მთელი რიგი სიახლეებით აღინიშნება. მათგან უმთავრესი მაინც მრავალგვაროვანი და შესაბამისად სხვადასხვა თვისებით აღჭურვილი შენადნობების მიღება და დამუშავება იყო, რაც, თავის მხრივ, მეტნაკლებად სრულყოფილი სამეურნეო და საომარი იარაღების, აგრეთვე რთული სამკაულის დამზადების ფართო შესაძლებლობას ქმნიდა.

გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური ლითონის ნაწარმის საგანგებო ქიმიურმა და მეტალოგრაფიულმა ანალიზებმა ცხადყვეს, რომ მათი უმრავლესობის ქიმიური შემადგენლობა მრავალი კომპონენტის შემცველია. განსაკუთრებით ზშირად კი მაინც, კალიანი ბრინჯაოა გამოყენებული⁸.

ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ სპილენძის ზოდები საკმაოდ ზშირად გვხვდება ისეთ ადგილებში, სადაც წიაღისეული მადანი არ მოიპოვება და სამართლიანად ასკენიან, რომ ასეთ შემთხვევებში აქვე ხდებოდა ლითონის ზოდების ხელმეორე გადადნობა და გადამუშავება. საგანგებოა აღსანიშნავი უაღრესად რთული ტექნიკური ხერხების ფართო გამოყენება: ქვისა და თიხის ყალიბებთან ერთად, ლითონის ყალიბებით სარგებლობა, კვერვა (საგანგებო მოწყობილობებში), შედუღება, ტვიფრა, ჭედვა, დაწურვა⁹. ამ რთულ და მაღალტექნიკურ საფუძველზე ვითარდებოდა ძვ. წ. XV—XI საუკუნეებში (და შემდეგ კიდევ რამდენიმე საუკუნე) შესანიშნავი კოლხური ბრინჯაოს კულტურა.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა ეთნიკურად დასავლურ-ქართული ტომების — კოლხების ანუ ზანების (მეგრელ-ჭანების) კულტურაა, ამასთან ამ კულტურის შექმნაში ჩრდ. აღმ. შავიზღვისპირეთში მოსახლე ძველი აფხაზურ-ადიღეური ტომების მონაწილეობაც ივარაუდება¹⁰.

დადგენილია, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა მეტალურგიის საში ძირითადი მძლავრი კერა: ჭოროხის აუზი, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი. ამას გარდა, ივარაუდება წვრილი მეტალურგიული კერების არსებობაც¹¹.

გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხ მელითონე-ხელოსანთა ნაწარმი ძალზე მრავალრიცხოვანია და გასაოცრად მრავალფეროვანი: საომარი, სამეურნეო თუ

საირტიულო ცულები (ე. წ. კოლხური ცული, რომელიც ხშირად შემკულია გრაფირებული, თუ პლასტიკური მალალმხატვრული ორნამენტით), სამიწათ-მოქმედო იარაღები (სულ სხვადასხვა ტიპის თოხები, წალდი, ნამგალი, ე. წ. „სეგმენტისებური იარაღი“), საბრძოლო იარაღ-საჭურველი (სხვადასხვაგვარი სატყვარები, შუბისპირები, ჩაფხუტი), ტანისამოსთან დაკავშირებული საგნები (სარტყლის ბალთები — მეტწილად გრაფირებული ან ამოტვიფრული სახეებით შემკული, სხვადასხვაგვარი მშვილდსაკენძები და ქინძისთავეები), მრავალსახოვანი სამკაული (სამაჯურები, მძივები, ზანზალაკები, საკიდები, ხატისულლები), მღალი ოსტატობით შექმნილი მცირე ზომის ქანდაკებანი — ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა გამოსახულებანი და მრავალი სხვა. სწორედ ეს მრავალფეროვანი ლითონის ნაწარმი განსაზღვრავს ძირითადად კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახეს.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის დამახასიათებელ და განმსაზღვრელ კომპონენტებად მიჩნეულია ცული, თოხი, სეგმენტისებური იარაღი, წალდი, ე. წ. ის იარაღები, რომლებიც შეურნეობისა და, კერძოდ, მისი მთავარი დარგის — მიწათმოქმედების განვითარებას ემსახურებოდნენ, ასე მაგ., თუ ცული და წალდი ტყის გასაკაფად იყო განკუთვნილი, თოხები, ბარ-თოხები და ე. წ. სეგმენტური იარაღები ახოს აღებისა, ნიადაგის მომზადებისა და შემღვობი დამუშავებისათვის იყო აუცილებელი¹².

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ყველაზე არსებითი (და ყველაზე უფრო შესანიშნავი) კომპონენტი მაინც ბრინჯაოს ცულია, რომლის დამახასიათებელი ელემენტები, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურის წიაღში ისახებოდა. ხოლო ძვ. წ. XIV საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბდა მისი ძირითადი ტიპი, რამდენიმე საუკუნის მანძილზე (ძვ. წ. XIV—XII სს.) განვითარების რთული გზა რომ განვლო და რამდენიმე თავისებური ვარიანტიც შექმნა. ამასთან ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ საკუთრივ კოლხეთის მიწა-წყალზე¹³, არამედ აგრეთვე ჩრდ. კავკასიაში, ე. წ. ყუბანისპირეთისა და ყოზანის კულტურების გავრცელების ფარგლებში¹⁴.

ძირითადად კოლხური ცულის (და აგრეთვე, რა თქმა უნდა, სხვა ელემენტების) გავრცელების საზღვრების მიხედვითაა დღეს შემოფარგლული კოლხური კულტურის გავრცელების არეალი, რომელიც მოიცავს მთლიანად დღევანდელ დასავლეთ საქართველოს და აგრეთვე მის მეზობელ მხარეებსაც: აღმოსავლეთით — ნაწილობრივ შიდა ქართლს (დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ჩრდ.-დასავლეთ ოლქებს), სამხრეთ-დასავლეთით უკიდურეს საზღვრად მიჩნეულია ორდუ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — მეხჩის ციხე¹⁵.

კოლხური ცულის ტიპოლოგიურ განვითარებას ემყარება, ჯერჯერობით

მინც არსებითად, კოლხური კულტურის ისტორიის ქრონოლოგია. უახლეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კოლხური ბრინჯაოს კულტურის განვითარების ორ ძირითად ეტაპს გამოყოფენ: 1 ეტაპი მოიცავს ძვ. წ. XIV-XII სს: (ე. ი. საკუთრივ გვიანი ბრინჯაოს ხანას), ხოლო II ეტაპი— ძვ. წ. XI-VII სს., რომელიც კოლხეთის ზოგიერთ რაიონში უკვე ადრეულ რკინის ხანას ემთხვევა¹⁶.

კოლხური ცული მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია (სურ. 4—6). თითქმის ათსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე კოლხურა ცულის ყველა სახეობა გამოირჩევა ფორმის არაჩვეულებრივი სინატიფითა და იშვიათი პროპორციულობით. ამასთან, იგი ხშირად შემკულია პლასტიკური და გრავირებული მხატვრული სახეებით, რომელთა მიხედვით შეიძლება თვალა გადავინათ ძველი ქართული სახვითი ხელოვნების ჩასახვა-განვითარებასაც.

კოლხური ბრინჯაოს ცულების შემკობა დეკორაციული ორნამენტით კოლხური კულტურის განვითარების შედარებით გვიანდელ ეტაპს განეკუთვნება: დაახლოებით ძვ. წ. XI—X საუკუნეებს. ეს ის ხანაა, როდესაც კოლხეთის მიწა-წყალზე ვითარდება რკინის მეტალურგია, ხოლო მეურნეობაში წამყვანი ხდება რკინის იარაღი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის ბრინჯაოს კოლხურმა ცულმა თანდათანობით დაკარგა სამეურნეო და, იქნებ, საომარი დანიშნულება და მას მხოლოდ სარიტუალო-საკულტო ფუნქცია შემორჩა. მით უფრო, რომ, როგორც უკვე აღენიშნეთ, ცულის კულტი ქართველ ტომებში ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში ივარაუდება, ისევე როგორც მისი სარიტუალო დანიშნულება¹⁷.

კოლხური ბრინჯაოს ცულების ერთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი მორთულია გრავირებული სახეებით¹⁸ (სურ. 4—6). საკმაოდ ხშირია, მეტწილად, სარტყლებად განაწილებული გეომეტრიული ორნამენტი: ტეხილხაზოვანი სახეები, ზიგზაგები, ირიბი მოკლე ხაზები, თევზიფხური ანუ ფართო წიწვიანი ორნამენტი, მოკლე ვერტიკალური ჭდეები, რომბისებური ბაღე (ზოგჯერ წვრილი ჭდეული წერტილებით დაფარული), წრეები, ერთი მეორეზე გადაბმული სპირალები, ჯვარი და სვასტიკა და ა. შ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იგივე ორნამენტი მეორდება ხოლმე აგრეთვე თანადროულ შუბისპირებზეც და ლითონის სხვა ნივთებზეც.

ამას გარდა, გვხვდება აგრეთვე მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ასტრალურ ნიშნებად მიჩნეული სიმბოლური გამოსახულებანიც. კოლხური კულტურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ცულის სხვადასხვა ნაწილის მორთვა გრავირებული ცხოველური სახეებით (სურ. 4—6), საკმაოდ ხშირია ძალის გამოსახულება, რომელიც, როგორც წესი, მთელი ტანითაა მოცემული პრო-

ფილსა და ძლიერ მოძრაობაში. დამახასიათებელია მოქნილი ტანი, მაღალი მორკალული კისერი, დიდი (მეტწილად წვეტიანი) აცქვეტილი ყურები და ფართოდ გაღებული ხახა, მოხრილი ფეხები და ელასტიკურად მოღუნული კლდი. ნიშანდობლივია ზოგჯერ ცხოველის ტანის დაფარვა ჭდეური წერტილებით, ან ირიბი ჭდეებით. ძაღლის ზუსტად ამგვარივე გამოსახულება გვხვდება კოლხური კულტურის ბრინჯაოს სხვა ნივთებზეც: მაგ. შუბისპირებზე¹⁹, ან კიდევ — მასიურ რგოლებზე, ქინძისთავებსა და პირისსაფარეშო პატარა მაშებზეც კი²⁰. რაჭის ერთ-ერთ სოფელში (მეჭვენა) ნაპოვნია ცული, რომლის ერთ მხარეს გამოსახულ ცხოველს ორი კლდი აქვს, ხოლო მეორეზე — სამი²¹. რამდენადმე უფრო სქემატურია მელიის გამოსახულებები, საკმაოდ ხშირია აგრეთვე ცხენის, ირმის, გველის, თევზის და სხვა გამოსახულებები²².

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძეგლებზე ცხოველთა გრაფირებული სახეები ოსტატურადაა შერწყმული გეომეტრიულ ორნამენტთან. ამასთან ერთად დამახასიათებელია გამოსახულებისა და მისთვის განკუთვნილი კადრის ურთიერთ-შეთავსება, რაც ძველი კოლხური გრაფიკული ხელოვნების თავისებურებად და მხატვრული სტილიზაციის ერთ-ერთ ძირითად სახედაა აღიარებული²³. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ძველი კოლხური სახვითი ხელოვნება გამოსახულების შესრულების მანერითა და ზოგჯერ შინაარსითაც (განსაკუთრებით ძაღლის გამოსახულება და ორნამენტის ზოგიერთი სახეობა) ძალიან ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდ. კავკასიის ე. წ. ყობანურ კულტურასთან. ზოგიერთი მკვლევარი ადრე კოლხური სახვითი ხელოვნების საწყისებს ყობანურ კულტურაშიც კი ეძიებდა. მაგრამ დღეს უკვე აღიარებულია (ყოველ შემთხვევაში მკვლევართა უმრავლესობის მიერ), რომ ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ცული კოლხური ცულის ვარიანტს წარმოადგენს. ამას გარდა, გრაფირებული გამოსახულებებით შემკული ბრინჯაოს უძველესი ნივთები ჯერჯერობით ნაპოვნია კოლხური კულტურის გავრცელების ფარგლებში (ე. წ. უდის განძი, რომელიც ძვ. წ. XI—X სს. თარიღდება), ამასთან ერთად გრაფირებული ცხოველური და გეომეტრიული სახეებით მორთულია ბრინჯაოს ისეთი ნივთები (სურ. 7), რომლებიც საერთოდ უცხოა ყობანური კულტურისათვის და პირიქით, ტიპურია მხოლოდ კოლხურისათვის (მაგ., ცულების ზოგიერთი სახეობა, შუბისპირები).

აღსანიშნავია ის, ზემოთ არაერთგზის აღნიშნული, საოცარი სტილისტური და ტიპოლოგიური ერთიანობაც, რომელიც წარმოდგენილია სულ სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე (ცულები, სატეგები, შუბისპირები, სარტყლები, მასიური რგოლები, მშვილდსაკინძები, ქინძისთავები და სხვ.). ყველას ამკობს ერთი წესით (გრაფირებით) შესრუ-

ლებული მსგავსი ცხოველური სახეები, თუ საერთო ტიპოლოგიური იერის გეომეტრიული დეკორი. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ დამახასიათებელ ნიშნებს კოლხური სახეითი ხელოვნება შემოინახავს საქმაოდ დიდხანს: ე. წ. ანტიკურ ხანაშიც — ბერძნულ კულტურასთან ურთიერთობის ეპოქაშიც.

კოლხური ბრინჯაოს ცული გრავირებულ ორნამენტთან ერთად ხშირად შემკულია ხოლმე ცხოველთა პლასტიკური გამოსახულებებითაც, უპირატესად გვიან ეტაპზე (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში). ძირითადად გამოყენებულია ორი ხერხი. ერთ შემთხვევაში, ცხოველი (იგი მიჩნეულია ჯიქის გამოსახულებად) მუცლის ქვეშ მოკეცილი ფეხებით შერწყმულია ყუასთან და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს²⁴. მეორე შემთხვევაში, ცხოველის ქანდაკება ცულის ყუაზე მთელი ტანითაა აღმართული. გვხვდება ცხენის, ხარისა და ძაღლის გამოსახულებანი²⁵. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა: ყულანურხევას ძვ. წ. VIII—VII სს. დათარიღებულ სამარხში²⁶ ნაპოვნია ცული, რომელზედაც გამოქანდაკებული პირდაღებული და ყურებდაცქვეტილი ძაღლის გამოსახულება თითქოს იმეორებს კოლხურ ცულზე ხშირად გამოსახულ ძაღლის სახეს. აღსანიშნავია, რომ კოლხური ცულის ყუაზე გამოქანდაკებული სახეები მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით დიდ ერთიანობას ამჟღავნებს ყულანურხევასა და განსაკუთრებით ბრილის სამაროვანზე ნაპოვნ ცხოველთა ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებებთან²⁷. მხატვრული ხელოსნობის დაწინაურების თვალსაზრისით მოწმობაა აგრეთვე ითიფალური ხასიათისა და აგრეთვე მხედართა ქანდაკებანი, რომელთა უმრავლესობა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედს ვანეკუთვნება²⁸. სამწუხაროდ, კოლხური ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ძეგლები ჯერ არაა სრულად გამოქვეყნებული და სათანადოდ შესწავლილი.

საქმაოდ რთულია კოლხური ლითონის ნივთების შესამკობად გამოყენებული ცხოველური სახეებისა და განსაკუთრებით დეკორაციულ-გეომეტრიული ორნამენტის რეალური შინაარსისა და აზრის ახსნა²⁹. კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს მხატვრულ აღმოჩენად სამართლიანადაა აღიარებული ორნამენტი, რომელიც ძველ ხალხთა სახეით ხელოვნებაში, განსაკუთრებით პირველყოფილი საზოგადოების კულტურის განვითარების აღრინდელ ეტაპზე, გამოხატავს გარემომცველი სამყაროს უმთავრეს ელემენტებს — ცასა და დედამიწას, წყალს, ხოლო მათი მეშვეობით საერთოდ ყოველივე სულიერს — ცხოველებს, ფრინველებს, აგრეთვე მცენარეულ გარემოს. ძველ ხალხთა წარმოდგენით გეომეტრიზებული ნიშნები გამოხატავდნენ ბუნების ძალებს. თანამედროვე მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ორნამენტის საწყისი ელემენტები უკვე შეიცავდა საერთო მნიშვნელობის სიმბოლოებს, ხოლო დეკორაციული

ორნამენტის სილამაზის შეცნობა ადამიანს, მის მიერ გამოყვანილი პირობითი ნიშნების მეოხებით, ბუნების მოვლენების დამორჩილების შინაგან შემოქმედებით ძალას ანიჭებდაო. კაცობრიობის ისტორიის ადრინდელმა ეტაპმა ორნამენტი შექმნა, როგორც დეკორაციული ხელოვნების განსაზღვრული სახეობა. დღეს ჩვენთვის ხშირად გაუგებარია კონკრეტული შინაარსი იმ ნიშნებისა, ადამიანმა მაშინ რომ ააგო რიტმისა და სიმეტრიის წესების გასაოცარი დაცვით, ხოლო გეომეტრიული ნიშნებით გამოსახა თავისი პრიმიტიული აბსტრაქტული განზოგადოებანი. ამიტომაც ვერ ვიტყვით ჩვენ, თუ რას წარმოსახავდა, მაგალითად, ის წნული ორნამენტი, რომელიც საჩხერაში აღმოჩენილ ადრე ბრინჯაოს ხანის სატევრებს ამკობს, ასევე გვიმძიმს კოლხური ბრინჯაოს კულტურის ნივთებზე წარმოდგენილი სხვა მეთად მრავალფეროვანი გეომეტრიული სახეების შინაარსის ამოცნობა³⁰. იქნებ ამ დროისათვის ამ ნიშნებს უკვე დაკარგული ჰქონდათ კიდევ პირვანდელი სიმბოლური მნიშვნელობა და ისინი მხოლოდ დეკორაციულ-ორნამენტულ ფონს ქმნიდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე აგრე ხშირად გამოსახული ცხოველების სემანტიკა გარკვეულ ტოტემისტურ შეხედულებათა ანარეგლია. კერძოდ, მაგ., ძაღლისა და ირმის თავისებურ გამოსახულებებს უკავშირებენ ოდესღაც რეალურად არსებულ სამეურნეო მნიშვნელობის მონადირეობას. მაგრამ ამასთან ერთად მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ დროთა განმავლობაში ამ ტოტემურმა წარმოდგენებმა დაკარგეს თავდაპირველი აზრი და მისმა ნივთიერმა გამოხატულებამაც თანდათანობით წმინდა დეკორაციული სახე მიიღო. ამიტომაცაა კოლხური კულტურის ძეგლებზე ზომომორფული სახეები უაღრესად ორნამენტული და წმინდა დეკორაციული³¹.

ძველ კოლხურ სახეით ხელოვნებაში გრავირებასთან ერთად გამოყენებულა ფერადი ინკრუსტაციაც. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანია სოფ. უდეში ნაპოვნი განძის ბრინჯაოს დიდი ზომის აბზინდები, გეომეტრიული და ზომომორფული სახეებით შემკული (სურ. 8). ამასთან გამოყენებულა, როგორც გრავირება, ასევე ლითონით (ბაცი ფერის ბრინჯაო, რკინა) და მინისებური ფერადი პასტიტ ინკრუსტაცია. ამ წესით აბზინდებზე გამოყვანილია ირმებისა და ძაღლების გამოსახულებანი. თავისი იერიითა და სტილიზაციის მანერით ისინი თითქმის არ განსხვავდებიან კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზე წარმოდგენილი ანალოგიური გრავირებული სახეებისაგან³². უდის განძში, რომელსაც ჩვეულებრივ ძვ. წ. XI—X სს. ათარილებენ³³, ხოლო ზოგიერთი მკვლევარი ძვ. წ. XIII საუკუნის დასასრულსა და XII ს. პირველ ნახევარსაც კი მიაკუთვნებს³⁴, თავს იჩენს რკინა, რაც უკვე მაუწყებელია ახალი მძლავრი ლითონის გამოჩენისა, მართლაც, როგორც უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, ძვ. წ.

II ათასწლეულის დასასრულიდან კოლხეთში იწყება რკინის ათვისების ხანა და რკინის მეტალურგიის სწრაფი განვითარება.

დაახლოებით იმავე ხანას განეკუთვნება, როგორც ფიქრობენ, კოლხთა ეთნიკური სახელის პირველი მოხსენიება წერილობით ძეგლებში, კერძოდ ძველ აღმოსავლურ წყაროებში. ასურეთის ცნობილი მეფე ტიგლათპილესერ I (მეფობდა ძვ. წ. XII—XI სს. მიჯნაზე) ერთ-ერთ თავის წარწერაში თავის თავს უწოდებს „ნაირისქვეყნების“ დამპყრობელს თუმედან ვიდრე დაიანამდე³⁶, (აგრეთვე) კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე“. აკად. გ. მელიქიშვილი „კილხი“ სახელს „კოლხს“ უკავშირებს, ხოლო „დიდ ზღვას“ შავ ზღვასთან აიგივებს³⁷. ეს უკანასკნელი ძველ ასურულ წყაროებში იხსენიება აგრეთვე „ზემო ზღვის სახელწოდებით“. ამიტომ ძველ კოლხურ ტომთა ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე „ზემო ზღვისა“ (შავი) და მის „ნაპირას მდებარე ქვეყნების 40 მეფის მოხსენიება“ ასურეთის მეფის თქულთი-ნინურტას წარწერებში. (ძვ. წ. 1245—1209)³⁸. ეს ფაქტი სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული ძვ. წ. XIII საუკუნეში შავი ზღვისპირეთში კოლხურ ტომთა დიდი გაერთიანების არსებობის დოკუმენტურ მოწმობად³⁹, რაც აისახა კიდევ ვრცელ ტერიტორიაზე მეტნაკლებად ერთგვაროვანი მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურის წრის („ბრინჯაოს ცულის კულტურის“) ჩამოყალიბებაში. ამ კულტურის შემქმნელ და მატარებელ კოლხურ ტომთა გაერთიანების ძლიერების ხანა უნდა იყოს არეკლილი აგრეთვე ძველ ბერძნულ თქმულებებში არგონავტთა ლაშქრობის შესახებ.

ანტიკური ტრადიციის თანახმად (ჰეროდოტე, ერატოსთენე, ევსევი კესარიელი⁴⁰), არგონავტების ლაშქრობა წინ უსწრებდა ტროას ომს (აღსანიშნავია, რომ არგონავტთა შორის იყვნენ ტროას ომის მონაწილეთა მამები და პაპები). ტროას ომის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა⁴¹, მაგრამ უმრავლესობის აზრით იგი ძვ. წ. XIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო. მაშასადამე, არგონავტთა მითში ასახული ურთიერთობა აქედრ საბერძნეთსა და კოლხეთს შორის ამაზე უწინარეს უნდა დამყარებულიყო⁴², რაც ქრონოლოგიურად დაახლოებით ემთხვევა შავი ზღვისპირეთში კოლხთა ტომების დიდი გაერთიანების მოხსენიებას ასურულ წყაროებში.

შავი ზღვისპირეთის კოლხურ ტომთა გაერთიანება ძვ. წ. I ათასწლეული დასაწყისში თანდათანობით იქცა სახელმწიფო ერთეულად: უკვე ძვ. წ. VIII ს. ურარტულ წარწერებში იგი იხსენიება, როგორც „კულხას“ სამეფო, სისხლისმღვრელ ბრძოლებს რომ აწარმოებდა მეზობელ სახელმწიფოებთან (ურარტუსა და დიუხის სამეფოებთან). გ. მელიქიშვილის აზრით, კულხას პოლიტიკური ცენტრი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში (კოროზის აუზში)

მდებარეობდა, ხოლო მისი გავლენა ვრცელდებოდა აღმოსავლეთ შავი ზღვის-პირეთის ვრცელ ტერიტორიაზე. ძვ. წ. VIII ს. 20-იან წლებში კულხას სამეფო კიმერიულმა ტომებმა გაანადგურეს, რის შემდეგაც პოლიტიკურმა ცენტრმა გადმოინაცვლა ჩრდილოეთით — დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (მდ. რიონის აუზში)⁴³, სადაც ამ დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა რკინის მეტალურგიის განვითარება. ამჟამად აღიარებულია, რომ ძვ. წ. VII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში დგება განვითარებული რკინის ხანა⁴⁴. ამასთან დიდმნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უკვე ძვ. წ. VII ს. მაინც რკინის წარმოებას კოლხეთში მასიური ხასიათი ჰქონდა⁴⁵. ამის მაუწყებელია ერთი მხრივ, რკინის წარმოების ნაშთების (ქურები, წიდები, თიხის საბერველი მილები, ქურების შელესილობათა ნატეხების) სიმრავლე დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე (ჭოროხის აუზი, ჩოლოქის მიდამოები, სუფსა-ნატანები, სვანეთი, ენგურის ხეობის შუა წელი)⁴⁶. მეორე მხრივ, რკინის მეტალურგიის განვითარების ფართო მასშტაბების პირდაპირი მოწმობაა რკინის სამეურნეო და საომარი იარაღების (ცულები, სატევრები, „ცულ-მახვილა“, დანები და სხვ.) მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნება ძვ. წ. VII—VI სს. კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში. ამრიგად, კოლხეთში დადგა „ეპოქა რკინის მახვილისა და ამასთანავე რკინის გუთნისა და ცულისა, ადამიანის სამსახურში ჩადგა რკინა — უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს ისტორიაში“ (ფ. ენგელსი)... ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყება ახალი ეტაპი კოლხური კულტურის ისტორიაში.

„მოქრომრავალი კოლხეთი“

(კოლხური კულტურა
ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში)

ძვ. წ. VI საუკუნისათვის დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ყალიბდება ძლიერი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო¹. ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამა“, ჰეროდოტე წინა აზიის პოლიტიკური ვითარების დახასიათებისას წერს: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც მეწამულს უწოდებენ. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფასისი. ეს ოთხი ხალხი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე“ (IV, 37). მახლობელი აღმოსავლეთის დიდი და ძლიერი ცნობილი მონარქიების — მიდიისა და ირანის გვერდით კოლხების მოხსენიება, უდავოდ აგრეთვე მოწმობს კოლხთა ძლიერი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ერთეულის არსებობას².

რამდენადაც მიდიამ ფრავარტიშის აჯანყების დამარცხების (521 წ.) შემდეგ საბოლოოდ დაკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და აქემენიდური ირანის რიგით სატრაპიად იქცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰეროდოტეს ზემოთ დამოწმებული ცნობა ძვ. წ. VI ს. 20-იან წლებზე ადრინდელ ვითარებას ასახავს, კოლხთა ერთიანი და ვრცელი პოლიტიკური ერთეულის არსებობის მაუწყებელია აგრეთვე ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობაც („აზია“, ფრ. 81), რომელიც კოლხთა საცხოვრის საკმაოდ ფართოდ უჩვენებს: ზღვის სანა-

პირო ზოლში ჩრდილოეთით კოლხთა ფარგლებშია დასახლებული ქალაქი დიოსკურია, ხოლო სამხრეთით — მდინარე აფსაროსი (მდ. ჳოროხი). ასევე ერთიანი და დიდი კოლხეთია ასახული I ს. ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის ცნობებში (XI, 2, 15—17), რომლებიც, როგორც ცნობილია, უფრო ადრეული წყაროებიდან (ერატოსთენე კვირენელი, პოლიბიოსი, ერატოსთენე ეფესელი) მომდინარეობენ⁵.

ძველი (ძვ. წ. VI—IV სს.) ტრადიცია უნდა იყოს შემონახული აგრეთვე ახ. წ. V საუკუნის ანონიმი ბერძენი გეოგრაფოსის ცნობაშიც: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული ვიდრე აფსაროსამდე ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად“ (XL, II, 7).

ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში მთელი დასავლეთ საქართველოს კოლხებად მოხსენიება ანუ მრავალტომიანი კოლხური სამყაროს მთლიანობა, როგორც აკად. სიმონ ჯანაშია შენიშნავდა, დამყარებული იყო პოლიტიკურ პრიორიტეტზე წამყვანი და სოციალურად თავისთავად რთული ეთნიკური ელემენტისა, რომელიც აძლევდა სახელს (ერთიანობის ხანაში) მთელ ტერიტორიას („კოლხეთი“, „ეგრისი“, „ლაზიკა“).

უთუოდ დიდმნიშვნელოვანია, რომ მოგონება კოლხეთის ძლიერი სახელმწიფოს შესახებ მის მოსახლეობას თან გაჰყვა საუკუნეების მანძილზე: ახ. წ. VI ს. ბიზანტიელი მწერლის ავათიას ცნობით, „... ლაზები მრავალრიცხოვანი და მეომარი ხალხია. ისინი ბატონობენ სხვა მრავალ ტომზე. ლ ა ზ ე ბ ი ა მ ა ყ ბ ე ნ კ ო ლ ხ ე ბ ი ს ძ ე ვ ე ლ ი ს ა ხ ე ლ ი თ დ ა ზ ო მ ა ზ ე მ ე - ტ ა დ მ ო ა ქ ე თ თ ა ვ ი, შესაძლოა არც თუ უსაფუძვლოდ...“ (III, 5).

კოლხეთის სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ცნობაა შემონახული ქსენოფონთან, ცნობილ ბერძენ ისტორიკოსთან და მხედართმთავართან, რომელმაც ძვ. წ. 401 წ. პირადად ილაშქრა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში: „ფასიანების ქვეყანაში (კოლხეთში—ო. ლ.) ახლა აიეტის შთამომავალი მეფობს“ („ანაბასისი“, V, 6, 36—37). თუ ძვ. წ. V ს. დასასრულის (ქსენოფონტის თანამედროვე) კოლხეთის მეფის მოხსენიება აიეტის შთამომავლად მხოლოდ ბერძენთა გააზრებული არაა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თვით კოლხეთის მეფის კარზე შემეშუყებული შეხედულებაა, რომელიც მისი უფლების თეორიულ დასაბუთებას და ხელისუფლების უზენაესობის რწმენის განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით სტრაბონის ცნობაც საინტერესოა: „... რომ აიეტი კოლხეთზე მეფობდა (კოლხეთში — ო. ლ.) სარწმუნოდაა მიჩნეული: იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია“ (I, 2, 34). მართლაც, ახ. წ. VI საუკუნის კოლხეთში ცნობილია ისტორიული პირი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც აიეტი ერქვა⁶.

წერილობითი წყაროებისა და ახლა აგრეთვე უკვე მეტად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალების მიხედვით ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხეთის სამეფო წარმოგვიდგება, როგორც ძლიერი, ეკონომიურად და კულტურულად მძაღდაწინაურებული სახელმწიფო, მრავალრიცხოვანი ქალაქებითა თუ ქალაქური ტიპის დასახლებებით, განვითარებული ხელოსნური წარმოებითა და ფულადი მეურნეობით, გაცხოველებული სავაჭრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობით ვარსამყაროსთან⁵.

უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად უკვე მრავალადა ამოჩენილი კოლხური ნამოსახლარები და სამაროვნები, რომელთა გათხრები გვაძლევს უმდიდრეს მასალას ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ნივთიერი კულტურის ისეთი დარგების დასახასიათებლად, როგორიცაა კერამიკული წარმოება და რკინის დამუშავება, მხატვრული ხელოსნობა საერთოდ და ოქრომჭედლობა განსაკუთრებით. იქნებ სწორედ მრავალფეროვანი სამკაულისა და საერთოდ ოქროს ნივთების სიმრავლე ქმნიდა ვარკვეულ საფუძველს ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული შეხედულებისათვის — კოლხეთის, როგორც ოქროთი მდიდარი ქვეყნის შესახებ.

კოლხეთში ოქროს მოპოვებასა და დამუშავების შესახებ თვით ბერძენი მწერლები მოგვითხრობენ. ამასთან მას ოქროს საწმისის შესახებ ლეგენდას უკავშირებენ. სტრაბონის ცნობით „კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებითა და ტყავებით აგროვებენ. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ტყავზე...“ (XI, 2, 19). ხოლო ახ. წ. II ს. მწერლის აპიანეს ცნობით, „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს ოქროს ქეიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიანი ცხერის ტყავებს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“ („მითრიდატეს ომები“, 103).

ოქროს მოპოვების ზემოაღწერილი წესი თითქმის უკანასკნელ დრომდე შემონახა სვანეთში. ე. ი. ისტორიული კოლხეთის მთიან რაიონებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის ცნობით: „...ოქროს მოპოვებას სვანები ცხერის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხერის ტყავს სათანადო დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული. ბეწვი ოქროს დაიკერდა და წყალი კი გადაივილიდა, სველი ტყავი ოქროს კენჭებს მოიწებებდა, რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ ქეიშა ზევით რჩება და ოქრო ძირს ჩადის. განსაზღვრული დროის

შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ, გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბერ-ტყავდნენ და „ოქროს კენჭებს“ გადმოჰყრიდნენ“⁷.

ძნელია მოიძებნოს სხვა უფრო მჭევრმეტყველი დადასტურება კოლხეთის შესახებ ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებისა, რომელიც ცდილობდნენ აეხსნათ ოქროს საწმისის შესახებ მითის წარმოშობა.

ახ. წ. II—III საუკუნეების მწერლის ხარაეს პერგამონელის მტყიცებით „ოქროს“ საწმისი არის ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოც, როგორც ღირსსაარწმუნოა, მოეწყო „არგოს“ ლაშქრობა“⁸. ხოლო სტრაბონი კი ირწმუნებოდა: „აქაური ქვეყნის (კოლხეთის — ო. ლ.) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის ლაშქრობის სწორ საბაბს“ (XI, 2, 18).

მრავალმხრივია საინტერესო ბერძენთა მიერ შეთხზული „კოლხეთში დაკრძალული აიეტის“ ეპიტაფიაც, დიდ ბერძენ ფილოსოფოსს არისტოტელეს რომ მიეწერება (თუმც, როგორც ფიქრობენ, მას არ ეკუთვნის):

„ოპრომაპალი კოლხეთის მიუზე აიეტის
ღმერთების ყოვლისმძლე სვემ აჲ გააპატიონსა“

აქ უწინარეს ისაა მნიშვნელოვანი და ყურადსაღები, რომ კოლხეთი ოქროთი მდიდარ ქვეყნადაა გააზრებული და მოხსენიებულია იმავე ეპითეტით („ოქრო-მრავალი“, πεισχυρτος), რომლითაც ძველ ბერძნულ მწერლობაში ჩვეულებრივ ამკობდნენ მხოლოდ იმდროინდელ მსოფლიოში სიმდიდრით სახელგანთქმულ ქალაქებს: მიკენს, სარდს და ბაბილონს⁹. ამ ქალაქების სიმდიდრე და „ოქრომრავლობა“ შემდეგში არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დადასტურდა: საყოველთაოდ ცნობილია პენრიზ შლიმანის. გათხრები აგამემონის ქალაქ მიკენში, სადაც ნაპოვნია უთვალავი რაოდენობით ოქრო-ვერცხლის იარაღ-სამკაული. იგივე დასტურდება ახლა კოლხეთის მიმართ, სადაც აღმოჩენილია არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ოქროს ნივთები და მით სრულიად რეალური საფუძველი ექმნება ძველ ბერძნულ ეპითეტს — „ოქრომრავალი კოლხეთი“¹⁰. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ვანის ნაქალაქარი, რომელიც განლაგებულია მდ. რიონის მარცხენა შენაკადის მდ. სულორის ულამაზეს ხეობაში (დღევანდელი დაბა ვანი).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაზეთი „დროება“ ჯერ კიდევ 1876 წელს წერდა „ისე წვიმა არ მოვა, რომ არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვი ხან ბეჭდები...“ ვანში ოქროს ნივთების ხშირ აღმოჩენებს აღნიშნავდა აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო

მოღვაწე გიორგი წერეთელი⁹. მეტად საინტერესოა აგრეთვე აკად. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობა, რომ ვანში XIX ს. დასასრულს „...ადგილობრივ მცხოვრებთა მონათხრობით, იპოვეს მდიდარი საფლავი და შიგ ჩატანებული ოქროს სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, ოქროს ფულები, დიადემა, ცხენის საკაზმი ოქროს სამაჯურები, ოქროს კვერთხი თავში გველისებური მოკაზმულობით, სპილენძის ტაშტი და სხვა ნივთები... მაგრამ არაა ცნობილი მერე სად წავიდა ეს ნივთები“¹⁰. ოქროს ნივთები შემდეგშიც მრავლად ჩნდებოდა ვანში. მათგან ერთი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საცავებში მოხვდა, ბევრი სხვა კი უკვალოდ დაიკარგა¹¹.

ზემოთ აღმოწმებული ცნობები საინტერესოა იმით, რომ ისინი დაახლოებით მაინც ვეიქმნიან წარმოდგენას ოქროს სამაჯურთა არაჩვეულებრივ სიმრავლეზე ძველ კოლხეთში, რასაც თვალნათლივ ადასტურებენ ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1961 წ. აღმოჩენილ ძვ. წ. V—IV სს. მხოლოდ ერთ სამარხში ათასზე მეტი ოქროს ნივთი აღმოჩნდა¹², ხოლო 1969 წ. აღმოჩენილ სამარხში კი — ათას ექვსასზე მეტი¹³. ეს მონაპოვარი უთუოდ მჭევრმეტყველი ილუსტრაციაა ბერძენ მწერალთა ცნობებისა, რომლებიც კოლხეთს „ოქრომრავალ“ ქვეყნად იხსენიებენ.

ოქროს ნივთები უპირატესად ნაპოვნია წარჩინებულთა სამარხებში და ამიტომაც ისინი წარმოდგენას ვეიქმნიან კოლხეთის საზოგადოების მაღალი ფენის მორთვა-მოკაზმულობის შესახებ.

ძვ. წ. V საუკუნეში კოლხ წარჩინებულთა თავსამაჯურის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია საკმაოდ თავისებური ფორმის დიადემა. ესაა გრეხილი რკალი, რომელიც დაბოლოებულია 2 ორნამენტირებული რომბისებური ფირფიტით და ორი კავით იკვრება შუბლთან. ძველი კოლხეთის სხვადასხვა ცენტრში ნაპოვნია უმთავრესად ვერცხლისა და ელექტრონის, ხოლო ვანში კი — აგრეთვე ოქროს დიადემები. ვერცხლის დიადემები თითქმის ყველა ერთნაირადაა შემკული: რომბული ფირფიტა გაყოფილია ორ ნაწილად, ხოლო ამგვარად მიღებულ თითოეულ სამკუთხედში გამოსახულია თავისებური ვარდულა და თითისტარისებური მოყვანილობის ბურცობები. ამგვარად შემკული ვერცხლის დიადემები ნაპოვნია ვანში¹⁴, ითხვისსა¹⁵ და ბრლის სამაროვანზე¹⁶. გუადიხუს სამაროვანზე (სოხუმის მახლობლად) ნაპოვნია სრულიად ანალოგიური ფორმის დიადემა, რომლის რომბულ ფირფიტებს ზეისებური გამოსახულება ამკობს¹⁷. საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯერჯერობით ცნობილია ზემოაღწერილი დიადემის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა. ეს გახლავთ ჩრდ. კავკასიაში ნესტეროვის სამაროვანზე ნაპოვნი დიადემის გრეხილი რკალის ნატეხი, რომელსაც შემორჩენია ზუსტად კოლხური (ვანური და ითხვისური) დია-

დემების მსგავსად მოჩუქურთმებული რომბული ფირფიტა. ამგვარი დიადემის აღმოჩენა ნესტეროვის სამაროვანზე ჩრდ. კავკასიის არქეოლოგიის სპეციალისტებს უჩვეულო მოვლენად მიაჩნიათ¹⁹. და ამიტომაც სავსებით მართებულია მოსაზრება, რომ ზემოაღნიშნული დიადემა ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოდან უნდა იყოს მოხვედრილი¹⁹. ასე რომ, ჰენდური ორნამენტით მორთული რომბისებურ ფირფიტანი და გრენილკალიანი დიადემა წმინდა კოლხური თავსამკაულია. განსაკუთრებით შესანიშნავია ვანში ნაპოვნი ოქროს დიადემები, რომლებიც ძვ. წ. V ს. კოლხური ოქრომქედლობის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ (სურ. 9). ფორმით ისინი თითქმის ზუსტად იმეორებენ ვერცხლის დიადემებს, მაგრამ მათი რომბული ფირფიტები მორთულია ცხოველთა ბრძოლის სცენებით. 1961 წელს გათხრილ სამარხში ნაპოვნი ოქროს დიადემაზე გამოსახულია ლომები და ტახები. გამოსახულება გამყოფებულია ოთხჯერ: ორ-ორჯერ თითოეულ ფირფიტაზე — გამყოფი ხაზის ზემოთ და ქვემოთ²⁰.

1969 წელს აღმოჩენილ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში²¹ ნაპოვნი ოქროს დიადემის ერთ ფირფიტაზე ლომები თავს ესხმიან ქურციკს, ხოლო მეორეზე — ხარს. თითოეულ ფირფიტაზე გამოსახულება ორ-ორჯერ მეორდება (ორრიგი ნაჭდევებით შემკული გამყოფი ჰორიზონტალური სარტყელის ზემოთ და ქვემოთ). ორივე ფირფიტაზე გამოსახულია ბრძოლის ფინალი. ერთზე ორი ლომი გლეჯს უკვე დამარცხებულ და ზურგზე გართხმულ ხარს, ხოლო მეორეზე — წინა მუხლებზე წაჩოქილ ქურციკს. ორსავე შემთხვევაში დამარცხებული ცხოველი გამოსახულია ცენტრში, ხოლო ლომები — მათ აქეთ-იქით (ე. ი. ლომები ამ ფიგურის მიმართ მოცემულია პერალდიკურად).

ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდაა გავრცელებული ძველ წინა აზიაში: მაგ., ლომის მიერ დამარცხებული ხარის გამოსახულება მესოპოტამიის გლიპტიკურ ძეგლებზე ჩნდება უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს (ე. წ. ჯემდეტ-ნასრის ეპოქა)²², ხოლო ძვ. წ. XXIX—XXVIII საუკუნეებში დათარიღებულ ირანულ სტეატიტის ქურქელზე გამოსახულია ზურგზე გართხმული ხარი, რომელსაც ლომი გლეჯს²³. შემდგომ ხანებში ცხოველთა ბრძოლის სცენები ფართოდ იკავებს ადგილს ასურულსა და განსაკუთრებით აქემენიდური ხანის ხელოვნებაში — როგორც ტორეტიკაში (ვერცხლის თასი ფორთვის კოლექციიდან), ასევე მონუმენტურ რელიეფებზე (ძვ. წ. VI—V სს სასახლის კომპლექსი პერსეპოლისში)²⁴.

ფიქრობენ, რომ ძველ აღმოსავლურ ხელოვნებაში ლომის მიერ დათრგუნული ხარის გამოსახულებას ასტროლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა და აღქმული იყო გაზაფხულის ბუნიობის სიმბოლოდ: თებერვლის დასაწყისში, ასურე-

თისა და ირანის მეფეთა სასახლეებიდან ჩანდა, თუ როგორ გადაეფარებოდა („კლავდა“) ხოლმე ლომის თანავარსკვლავედი ხარისას. ამ დროს კი იწყებოდა ახალი სამიწათმოქმედო წელი²⁵... ასურეთისა და შემდეგ აქემენიდურ ეპოქაში ეს ძველადმოსავლური მოტივი აღიქმებოდა, როგორც ზოროსტრული კალენდრის უმთავრესი დღე და რელიგიური დღესასწაული, როდესაც ხდებოდა მეფეთა-მეფის საზეიმო კორონაცია. ამიტომაც ლომის მიერ დამარცხებული ხარის გამოსახულება აღიქმებოდა აგრეთვე, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლო²⁶.

ძვ. წ. VIII ს. დასასრულსა და VII საუკუნეში ე. წ. ორიენტალიზირებული სტილის ხანაში, ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდ ვრცელდება აგრეთვე ბერძნულ სამყაროში²⁷, როგორც აღმოსავლურ-ბერძნულ, ასევე კონტინენტური საბერძნეთის ხელოვნებაში. თუ ძველი აღმოსავლეთისა და შემდეგ კი აქემენიდური ირანის სახვით ხელოვნებაში, როგორც წესი, წარმოდგენილია ორი ცხოველის ბრძოლა (ლომი და ხარი, ლომი და ირემი, ლომი და თხა, და ა. შ.), ბერძნულ ხელოვნებაში ვხვდებით კომპოზიციის გართულებას, ამასთან დრამატული ეფექტის გაძლიერებას. ასე მაგ., კამირის სტილის ერთ-ერთ ლარნაჯზე (ძვ. წ. VII ს. მესამე მეოთხედი) უკვე წარმოდგენილია ორი ლომი, ორი მხრიდან რომ უახლოვდებიან თავის მსხვერპლს (ხარს)²⁸, ხოლო VII ს. დასასრულსა და VI ს. ატიკურსა და კორინთულ კერამიკულ ფერწერაში საკმაოდ ხშირად ვხვდებით სცენას, სადაც ორი ლომი გლეჯს მუხლზე წაჩოქილ ან ზურგზე გართხმულ ხარს²⁹.

აღსანიშნავია, რომ ორი ლომის ხარზე თავდასხმის სცენები წარმოდგენილია აგრეთვე ძვ. წ. VI ს. შუა ხანებით დათარიღებულ ატიკურ შეფიგურულ ჰიდრიაზე, რომელიც, როგორც წარწერა გვამცნობს, მოხატულია კოლხი ოსტატის მიერ³⁰.

ძვ. წ. VI ს. იგივე სცენა ძირითად ადგილს იკავებს აგრეთვე აკროპოლისის მთავარი ტაძრის ფრონტონის მორთულობაში (დაახლოებით ძვ. წ. 560 წ)³¹, ხოლო რამდენადმე თავისებური სახით — დელფოში სიფნოსელთა საგანძურის ფრიზზე³². მაგრამ VI ს. დასასრულიდან ეს თემა ატიკურ მონუმენტურ ხელოვნებაში თანდათანობით ადგილს უთმობს მითოლოგიურ სიუჟეტებს და ძვ. წ. V და IV სს. შემორჩენილია მხოლოდ სამარხ რელიეფებზე³³. სამაგიეროდ, ძვ. წ. V ს. ცხოველთა ბრძოლის თემატიკა ვრცელდება გვიანი არქაული ხანის (ძვ. წ. 540—480 წწ.) ეტრუსკულ ხელოვნებაში³⁴, და კვლავ განაგრძობს არსებობას იონიურ საბერძნეთში³⁵, სადაც ძლიერი იყო აღმოსავლური ტრადიციები და გავლენა³⁶.

ამრიგად, ვანის ოქროს დიადემაზე წარმოდგენილია აღმოსავლურსა და

ანტიკურ ხელოვნებაში ძვ. წ. VI—V საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი ცხოველთა ბრძოლისა, რომელიც შესრულებულია უთუოდ გამოჩენილი ოსტატის მიერ (დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნის შუახანებში)³⁷. ამას მოწმობს მარჯვედ აგებული ჯგუფური კომპოზიცია, ცხოველთა დამახასიათებელი ნიშნების ხაზგასმა, ნათელი და მკვეთრი ნახატი... უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი და პირდაპირი ანალოგია ვანის დიადემის გამოსახულებებს ვერ ეძებნება. ჩანს, ოსტატმა-დეკორატორმა უბრალოდ კი არ გაიმეორა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომელიმე ცნობილი ნაწარმოები, არამედ თავისებურად და მაღალი მხატვრული ოსტატობით დაამუშავა იმ დროს მახლობელ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტები, რომელთაც იქნებ ძველ კოლხეთშიც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, თუმც ამ სიმბოლიკის რეალური შინაარსი დღეს, არსებითად მაინც, ძნელად გამოსაცნობია³⁸. დიადემის ოსტატმა-ოქრომჭედელმა შეძლო ჭედური ხელოვნების ხერხებით ხარსა და ქურციკზე ლომების თავდასხმის სცენების გადმოცემა, სარკისებურად ასახვა რომბული მოყვანილობის ფირფიტებზე და ამასთან სამფიგურიანი კომპოზიციების სამკუთხა ჩარჩოში მოთავსება, რაც უფრო მონუმენტური რელიეფისა და, კერძოდ, ფრონტონული კომპოზიციისთვისაა დამახასიათებელი. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვანის დიადემის დეკორატორი კარგად იცნობდა ბერძნული ფრონტონული რელიეფის წარმოსახვის პრინციპებს. თანაბარი ზომის ფიგურები ზომიერად ავსებენ გამოსახულებისათვის განკუთვნილ მთელ სამკუთხა სივრცეს, რაც აგრე დამახასიათებელია გვიანი არქაული ხანის ბერძნული ხელოვნებისათვის. ფიგურების განლაგება ემორჩილება ერთ საერთო გეგმას, თუმცა დეტალებში შეინიშნება ერთგვარი თავისუფლება და ვადახვევა. ამასთან ერთად, გამოსახულების შესრულების მანერა საესებით განსხვავებულია ბერძნული-საგან და ახლოს დგას აღმოსავლურთან ე. წ. აქემენიდურთან, თუმცა არც მის კანონიკურ ნორმებს ემორჩილება. „აქემენიდურია“ პირველ რიგში ქურციკი, დამახასიათებელი დაღარული რქები³⁹, მაგრამ უჩვეულოა მის ზურგზე გამოსახული ბეწვი⁴⁰. აქემენიდური ხელოვნების გავლენა იგრძნობა ზურგზე გართხმული ხარის ზოგიერთ დეტალშიც (რელიეფური და მკვეთრად მოდელირებული სახე, ამოზიდული რელიეფური თვალი, რქა)⁴¹. საკმაოდ თავისებური და ლომების გამოსახულება. თუ პროფილში მოცემული მოქნილი, ძლიერი და მკვეთრად მოდელირებული ტანი ბრძოლის დაძაბულობას გამოხატავს, სამაგიეროდ მყურებლისაკენ მომზირალი პატარა თავი რამდენადმე გაყინული და უსიცოცხლოა. სხეულის გამოსახვა აღინიშნება ზოგიერთი ანატომიური დეტალის გადმოცემით (ნეკნები, დაკუნთული კიდურები), რასაც ნატურალის-

ტური ასურული ხელოვნებისაგან მომდინარედ მიიჩნევენ და რაც შესანიშნავადაა წარმოდგენილი სარკონიდების ხანის ასურულ რელიეფებზე. იქვე კუინჯიკის რელიეფებზე გამოსახულ ლომებს აქეთ ისეთივე ფოთლისებური ყურები, როგორც ვანის ოქროს დიადემის ლომებს⁴². საქმაოდ თავისებურადაა გადმოცემული ვანურ დიადემაზე ლომის ფაფარი: თავსა და კისერზე იგი რომბულად დაშტრიხული გრავირებული ხაზებითაა გადმოცემული, ხოლო ზურგზე კი — ირიბი მოკლე ქდებით. ფაფარის რომბული სახეებით გადმოცემა გვხვდება აქემენიდურ საბეჭდავებზე⁴³ და იგიც მიჩნეულია ასურულ ტრადიციად⁴⁴, მაგრამ სრულიად უჩვეულოა ძვ. წ. VI—V სს. აქემენიდური (და ანტიკური) ხელოვნების ძეგლებზე ლომის ზურგზე ფაფარის აღნიშვნა. ჩემთვის მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა ცნობილი. ირანის ქურთისტანში, სპეციალურ ლიტერატურაში კარგად ცნობილ ზივიეს ვანში, ნაპოვნია ძვ. წ. VII ს. დასასრულის ოქროს და სპილოს ძვლის ფირფიტები, რომლებზეც სიცოცხლის ხესთან აღმართული ლომების ფაფარი დაშტრიხულია რომბულად და ზურგზეც აღნიშნულია ქდებით⁴⁵. ეს ძეგლები მიჩნეულია ადგილობრივი, მანუური ხელოვნების ნიმუშებად.

ამრიგად, ვანში ნაპოვნი ოქროს დიადემა, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებშია დამზადებული, თავისი ფორმით წმინდა კოლხურია; მაგრამ მისი მორთულობა მეტად რთულია. იგი თითქოს აერთიანებს ძველად მოსავლურ და ანტიკურ სიუჟეტებსა და კომპოზიციებს, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, წინა აზიის (ასურეთის, მანას სამეფოს, აქემენიდური ირანის) ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილისტურ თვისებებს, სახეებსა თუ ცალკეულ ნიშნებს⁴⁶. ეს გარემოება მოწმობს კოლხური ცივილიზაციის ძველად მოსავლურ ისტორიულ-კულტურულ ფესვებს და მკიდრო კონტაქტს მისი თანადროული აქემენიდური ირანისა და ანტიკური სამყაროს კულტურებთან.

ვანის დიადემა, ჩემი აზრით, ადგილობრივი ოსტატის ნახელავია. იგი აღზრდილი იყო ძველ წინა აზიურ ტრადიციებზე, მაგრამ განიცდიდა თანამედროვე ირანული და აკრეთვე რამდენადმე ბერძნული ხელოვნების გავლენას⁴⁷.

თავსამკაულის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს აკრეთვე საყურეები და სასაფეთქლე რგოლები, რომლებიც კოლხეთში ძვ. წ. V საუკუნეში რამდენიმე ნაირსახეობითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ე. წ. სხივანა საყურეები; ასეთი საყურეები გავრცელებულია ამ დროის მთელ კოლხეთში და, როგორც წესი, არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს⁴⁸ გარეთ. ამიტომაც ისინი, ისევე როგორც დიადემები, მიჩნეულია ტიპურ კოლხურ სამკაულად.

კოლხეთის სხვადასხვა ცენტრში ნაპოვნი ოქროს, ელექტრონისა და ვერ-

ცხლის სხივანა საყურეები ერთმანეთისაგან შექმულობის ცალკეული დეტალებითა და უპირატესად კი „სხივები“ რაოდენობით განსხვავდებიან⁴⁹. ამ ტიპის სამკაულის საუკეთესო ნიმუშები ნაპოვნია ისევე ვანში. აქაური სხივანა საყურეები დამზადებულია რთული წესით. საყურე რგოლის საფასადო მხარე მორთულია ვარდულით, ხოლო „სხივები“ კი ცვარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება⁵⁰. განსაკუთრებით მდიდრულია 1969 წ. აღმოჩენილი სხივანა საყურეები, თუ სასაფეთქლე რგოლები⁵¹, რომლებიც ამავე დროს კოლხ ოქრო-მჭედელთა ფილიგრანული ტექნიკის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ (სურ. 10): საყურე რგოლი დამზადებულია მრგვალი განიკვეთიანი მავთულისაგან. რკალი გახსნილია, ხოლო ბოლოები გახვრეტილია ისე, რომ ფრინველის თავს მოგვაგონებს. საყურე რგოლის წინა მხარე დამშვენებულია (ზედა ნაწილში) 16 ფურცლიანი მინიატიურული ვარდულით, სიგრძივ დაცვარულია, ხოლო ნაპირები შექმულია დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი „მარყუქებით“. რგოლს ქვემოთ განფენილი 6 „სხივიც“ ცვარათი შედგენილი პირამიდებითაა დაბოლოებული და ჩიტის მინიატიურული გამოსახულებებით მორთული. ამასთან ფრინველის გამოსახულებაც უხვადაა დაცვარული (თავი, მკერდი, ფრთები, ხოლო მკერდზე გამოყვანილია ორ რიგად განლაგებული სამკუთხედები). სულ 8 სმ-ს არ აღემატება თითოეული საყურე და მის მოსართავად კი, სხვასთან ერთად, დამზადებულია რამდენიმე ასეული ოქროს ცვარა, რომელთა დიამეტრი ნახევარ მილიმეტრსაც კი არ აღემატება და მით გამოყვანილია რთული სახეები (პირამიდები, ფრინველის ცალკეული დეტალი).

ძვ. წ. V—IV საუკუნეების კოლხეთში გავრცელებულია აგრეთვე ე. წ. ბურთულიანი ოქროს საყურეები და სასაფეთქლეები (სურ. 11). ნაპოვნია ისინი ვანში, როგორც ძვ. წ. V ს. სამარხებში, ასევე ძვ. წ. IV ს. სამარხებში⁵². ამას გარდა, ამავე ტიპის ოქროს საყურე აღმოჩენილია ითხვისში ძვ. წ. V—IV სს. დათარიღებულ სამარხში⁵³. საგანგებოდ აღსანიშნავია ვანში 1969 წ. გათხრილ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი ოქროს შესანიშნავი საყურეები: 14 ფურცლიანი ვარდულით, დაკეჭნილი მავთულით შედგენილი „მარყუქითა“ და ცრუცვარათი მორთულ ოვალური ფორმის საყურე რგოლზე დამაგრებულია ღერძი, რომლის შუაში მოთავსებულია 6 სარტყლისაგან შედგენილი ჭვირული ბურთულა და ბოლოვდება ცვარათი შედგენილი პირამიდებით. საყურე რგოლიცა და ჭვირული ბურთულის სარტყლებიც უხვადაა დაცვარული.

ზემოაღწერილი ორივე ტიპის საყურეები თუ სასაფეთქლე რგოლები დამახასიათებელია მხოლოდ კოლხეთისთვის და არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ⁵⁴. ვანში ნაპოვნია ოქროს საყურეები, (სურ. 12) ეტლზე მდგარი ცხენოსნების გამოსახულებით⁵⁵ მოგვაგონებენ ახალგორის სასაფეთქლე-

ებს⁵⁶, რომელთაც ანალოგიები ძვ. წ. V—IV სს. აქემენიდური ირანის ხელოვნებაში ვერ ეძებნებოთ⁵⁷.

ვანშივია ნაპოვნი ე. წ. ნახევარმთვარისებური (თუ ნავისებური) მოყვანილობის საყურეები, რომელთა ფორმა ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებიდან მოკიდებული ფართოდაა გავრცელებული როგორც წინა აზიაში (ჯერ ურარტუში⁵⁸, ხოლო შემდეგ მიდიასა და აქემენიდურ ირანში⁵⁹), ასევე ხმელთაშუა ზღვისპირეთსა (კვიპროსი, კონტინენტური საბერძნეთი, ეტრურია⁶⁰) და ჩრდილო შავი ზღვისპირეთში⁶¹. მაგრამ მათგან განსხვავებით კოლხეთში ნაპოვნი ნახევარმთვარისებური საყურეები (და ცხენოსნის გამოსახულებიანი სასაფეთქლეებიც) შედგენილია ისევე, როგორც წმინდა კოლხური ტიპის (სხივანა და ჭვირულბურთულიანი) საყურეები: ოთხივე ტიპის საყურეებზე რგოლის საფასადო მხარე შემკულია მინიატიურული ვარდულთა და ცვარათი გაწყობილი ან დაკეჭნილი მეფთულით გამოყვანილი „მარყუქებით“. ესაა საყურე გროლის მხატვრული გაფორმების თავისებურება⁶², რომელიც ამ სახით არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ⁶³. მასთან ერთად საყურეებისა და სასაფეთქლეების მორთვაში უხვადაა გამოყენებული ზედაპირის დაცვარვა სამკუთხა თუ რომბული სახეებით, ხოლო სხივანა და ჭვირულბურთულიანი საყურეების შემკობა — ცვარათი შედგენილი პირამიდებით. ასეთივე სტილისტური ნიშნებით ხასიათდება და სრულიად უეჭვოდ კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებს წარმოადგენს ძვ. წ. V ს. ვანის სამარხებში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი და ნაირსახოვანი ოქროს მძივები და საკიდები (სურ. 14—17). მათ შორისაა ჩიტის, ვერძისა და ხბოს თავის მინიატიურული გამოსახულებანი. სავანგებოდაა აღსანიშნავი ძვ. წ. V ს. წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი დოლისებური საკიდები (სურ. 13), შემკული დაცვარული გეომეტრიული სახეებით: სვასტიკა, მევანდრი და სხვა. ეს უძველესი ორნამენტი (სვასტიკა), რომლის საწყისი ფორმები ახლა ძველ აღმოსავლეთში ცნობილია უკვე ენეოლითის ხანიდან, კოლხურ ხელოვნებაში გვიანი ბრინჯაოს ხანიდანაა გავრცელებული. ძვ. წ. V ს. იგივე ნიშანი აღნიშნულია ვანში 1961 წ. ნაპოვნი ცხენოსნის გამოსახულებიანი ოქროს საკიდებზე (ცხენის გავაზე), აგრეთვე კოლხურ ბრინჯაოს სიტულებზე. იგივე გამოსახულება გვხვდება აგრეთვე უფრო გვიანაც: ელინისტური ხანის კოლხურ ამფორებზე და თიხის პირამიდული ფორმის საწაფებზე. დაბოლოს ისიც აღსანიშნავია, რომ იგივე ორნამენტი სხვადასხვა ვარიანტით დღემდე შემონახულია ქართული „დედაბოდის“ მორთულობაში და საერთოდ ქართულ ხალხურ ორნამენტში⁶⁴.

ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშებია კუს გამოსახულებიანი საკიდები, ყელსაბამის ნაწილებს რომ წარმოადგენენ. კუს თვალები პასტითაა ინკრუს-

ტირებული, ხოლო ზურგი მორთულია ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით (სურ. 15).

ვანის მდიდრულ სამარხებში ნაპოვნია აგრეთვე ოქროს სამაჯურები, რომელთა ბოლოებს ამშვენებს ცხოველთა თავების სკულპტურული გამოსახულებები. მათგან ერთი ნაწილი, სრულიად აშკარად, შესრულებულია აქემენიდური სტილით და იმეორებს ძვ. წ. V—IV სს. ფართოდ გავრცელებულ ცხოველსახოვან სამაჯურებს⁶⁵. ასეთებია 1961 წელს წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი სამაჯურები, ჭიხვის, ლომისა და ხბოს თავებით დაბოლოებული⁶⁶. სტილისტურად სრულიად ანალოგიური გამოსახულებებით (ჭიხვისა და ხბოს თავები) შემკული ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები ნაპოვნია კვიპროსზე (გუნე), სირიაში (რასშამრა), ეგვიპტეში და სხვა. ჩერტომლიკის ერთ-ერთ ოქროს სატევრის თავს ამკობს ისეთივე ხბოს თავი, როგორც ზემოაღნიშნულ სამაჯურებს, რომელთაც პ. ამანდრი⁶⁷ თანმხლები კომპლექსებისა და სტილის მიხედვით ძვ. წ. V საუკუნის დასასრულითა და IV ს. პირველი ნახევრით ათარიღებს⁶⁸. ამ სამაჯურების დამზადების ცენტრი ჯერ განსაზღვრული არაა და ფიქრობენ, რომ შესაძლოა მათ აქემენიდური სამყაროსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების სხვადასხვა სახელმწიფოში ამზადებდნენ⁶⁹.

ზემოაღწერილ სამაჯურებზე რამდენადმე უფრო ადრეულია (დაახლოებით ძვ. წ. V ს. შუა ხანებისა) 1969 წ. ვანში წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი ოქროს სამაჯურები, რომელთაგან ერთი წყვილი ვერძის თავებითაა შემკული, ხოლო მეორე — ტახის სკულპტურული გამოსახულებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებითაა საინტერესო და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია — ჯერჯერობით უნიკალურიც. ეს სამაჯურები ოვალური ფორმისაა. საკმაოდ მასიური მრგვალგანივკეთიანი რგოლი ჩამოსხმულია ტახის სკულპტურულ გამოსახულებებთან ერთად. ტახის მკვეთრად მოდელირებული დრუნჩი დაყრდნობილია წინგბართხმულ ფეხის ჩლიქებზე. ტახს რელიეფურად გამოყვეთილი ეშვი აქვს. თვალის ბუდე დიდი ზომისაა, რომელშიც ჩასმულია ასევე დიდი ამოზიდული თვალი. დაცქვეტილი ყური ფოთლისებური მოყვანილობისა და ვერტიკალურად დამსული. უკანა ფეხები მოკეცილი აქვს მუცელს ქვემოთ. სკულპტურულადაა გადმოცემული თეძოები და ღონიერი ჩლიქები. ჯაგარი თავიდან ბოლომდე ზურგის მთელ სიგრძეზე გადმოცემულია ვერტიკალური ღრმა ღარებით. კული გადაგდებულია მარჯვენა მხარეს... (სურ. 18).

სტილისტური თვალსაზრისით ვანის სამაჯურის ტახის გამოსახულებანი რამდენადმე უახლოვდებიან ირანისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე ცნობილ ბრინჯაოს ტახის გამოსახულებებს⁷⁰. მაგრამ მათგან განსხვავდება ზოგიერთი დეტალის (ყურის, ჯაგრის) გადმოცემით, და რაც მთავარია, უფრო გრაფიკულ-

დეკორაციული სტილითა და რამდენიმე სულბტურულობით. საინტერესოა აღინიშნოს; რომ იმავე სამარხში ნაპოვნი ვერცხლის საკიდები, რომლებიც თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ სამაჯურზე გამოსახულ ტახის ფიგურას.

ვანის მდიდრულ სამარხებში მრავლადაა აგრეთვე ნაპოვნი ოქროს წვრილი ნივთებიც: მძივსაკიდები, სამოსის მოსართავი ღილაკები და კილიტები, ჰერალდიკური ნიშნები, რომელთაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებანი და სხვ.

ამგვარად; ვანში მოპოვებული ოქროს სამკაული საკმაოდ მრავალფეროვანია და მეტად მრავალრიცხოვანი. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თითქმის ყველა ხასიათდება გასაოცარი მხატვრულ-სტილისტური ერთიანობით. მათ ადგილობრივ ე. ი. კოლხურ წარმომავლობაზე მიუთითებს მხატვრული ფორმის ორიგინალობა, რაც მეტწილად მხოლოდ კოლხეთს ახასიათებს, ზოგიერთ შემთხვევაში გენეტურად უკავშირდება (როგორც ფორმით, ასევე დეკორით) წინამორბედი ხანის ბრინჯაოს კულტურის ძეგლებს და, როგორც წესი, არ გვხვდება კოლხეთის, (და საერთოდ ძველი საქართველოს) ფარგლებს გარეთ. ასეთებია, პირველ რიგში: დიადემა, „სხივანა“ და ჰვირთულ ბურთულიანი საყურეები თუ სასაფეთქლე რგოლები, მძივსაკიდების ზოგიერთი ფორმა და სხვა, რაც მეორდება აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობაზე. ვანსა და კოლხეთის სხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროს ნივთების ადგილობრივი წარმოშობის უტყუარი მოწმობაა მათი სტილისტური და ტექნიკური ერთიანობა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საყურეებსა და სასაფეთქლეებში: სულ სხვადასხვა საყურე, რომელთა ფორმა ორიგინალურია („სხივანა“ და „ჰვირთულბურთულიანი“) თუ ნასესხები („ნახევარმთვარისებური“), მაინც ერთნაირადაა შემკული: რგოლის საფასადო მხარე მორთულია მინიატიურული ვარდულით და უხვადაა დაცვარული, რაც ძვ. წ. V საუკუნეში მხოლოდ კოლხეთისათვისა დამახასიათებელი და ამ სახით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გვხვდება ძველი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძვ. წ. V—IV საუკუნეების კოლხური ოქროს სამკაულისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გავარსის ფართოდ გამოყენება: სულ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნივთები (საყურეები, სასაფეთქლეები, ნირსახოვანი საკიდები და მძივები, ბალთები) ამ დროს უხვადაა დაცვარული და ამასთან შემკულია ცვარათი გამოყვანილი პირამიდებით, სამკუთხედებით, რომელი ან სხვა გეომეტრიული სახეებით. ფრიად საინტერესოა, რომ ძვ. წ. V ს. ვანის მდიდრულ სამარხებში გვხვდება აგრეთვე ასეთივე წესით შემკული ვერცხლის ნივთებიც, (სურ. 19), რაც საერთოდ იშვიათია²¹ და, თავის მხრივ, კოლხეთში გავარსის ტექნიკის ფართოდ გავრცელების კიდევ ერთი თვალსაჩინო მოწმობაა²².

ოქროს ნივთებისა და სამკაულის ცვარათი გამოყვანილი პირამიდებითა და სამკუთხედებით, რომელი თუ სხვა გეომეტრიული სახეებით შემკობა ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული მხატვრულ-სტილისტური ხერხია აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის მძალაქულტურულ ქვეყნებში. მის საწყისებს ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ, ძვ. წ. II ათასწლეულის შემგერის მხატვრულ კულტურაში ეძიებენ⁷³. მაგრამ სრულად ჩამოყალიბებული სახით, დაცვარული პირამიდებით დაბლოებული საყურეები და ცვარათი შედგენილი სამკუთხედებით მორთული ოქროს ნივთები ამას წინათ აღმოჩნდა დღევანდელი ირანის ქურთისტანში, მარლიკის სამაროვანზე, რომელსაც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დასაწყისით (1200-900 წწ.) ათარიღებენ⁷⁴.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მარლიკის ძეგლებს უკავშირებენ მანას სამეფოს⁷⁵ კულტურას, რომლის უფრო გვიანდელი (ძვ. წ. VIII—VII სს.) ძეგლები 1947 წ. ზივიეში აღმოჩნდა⁷⁶. როგორც ჩანს, სწორედ მანას სამეფოს ტერიტორიაზე, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ყალიბდებოდა ოქროს ნივთების და სამკაულის მორთვა დაცვარული პირამიდებით თუ სამკუთხა და სხვა გეომეტრიული სახეებით, რაც ძვ. წ. VIII და განსაკუთრებით VII საუკუნიდან თანდათანობით გავრცელდა მახლობელ აღმოსავლეთში⁷⁷, ხრლო ძვ. წ. VII—IV საუკუნეებში თავისებურ მოდად იქცა მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთსა (კვიპროსი, სამოსი, კონტინენტური საბერძნეთი და მაკედონია, ეტრურია⁷⁸) და შავი ზღვისპირეთში⁷⁹. ამ დიდმა მხატვრულმა ტალღამ⁸⁰, როგორც ჩანს, მოაღწია აგრეთვე კოლხეთამდეც, სადაც მოხდა მისი თავისებური ათვისება, გადამუშავება და ორგანულად დაკავშირება საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ადგილობრივ მხატვრულ ფორმებთან და სახეებთან. ამის შედეგად შეიქმნა კოლხური ოქრომჭედლობის თავისებური და განუმეორებელი სტილი, რომლის შესანიშნავი ნიმუშებიც ვანშია მრავლად აღმოჩენილი.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ძვ. წ. VI—V საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ოქრომჭედლობის ცნობილი ცენტრების (აქემენიდური ირანი, ეგვიპტე, კვიპროსი, ლიდია, არმენია, მიდია, ბაქტრია-ნა)⁸¹ გვერდით კოლხეთიც დავასახელოთ. მით უფრო რომ, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, კოლხეთში ოქროს მოპოვებასა და დამუშავებაზე ბერძენ-ლათინი მწერლებიც მოგვითხრობენ და მას „ოქრომრავალ“ ქვეყანას უწოდებენ.

განსაკუთრებით მრავლად კი, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ოქროს ნივთები აღმოჩენილია ვანში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი მოამაგე, აწ განსვენებული აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, ჯერ კიდევ 1907 წელს და-

ბეკითებით წერდა: „ოქროს ნივთები, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენის აზრით, უმეტეს შემთხვევაში შორიდან მოტანილი არ არიან, არამედ აქ ნაკეთები. არც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან მოტანილი. ძველი ვანის ნიადავს ყოველგან ემჩნევა ოქროს სილა, მეტადრე ღელე საქვებისაში, რომელიც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უელის გორაკს. ხშირად აქ კარგა მოხრდილი მარცვლითიც შეგვხვდებიან ოქროსი. ქალები და ბავშვები ზოგჯერ თითო მისხალსაც აგროვებენ აქ ოქროს სილას. თუ თქვენ ღელე საქვების ნაწილს აყვებით, ადვილად დარწმუნდებით, ქარხნების ნაშთებიდან, ვეირაბებიდან, ქვებიდან და ზოგჯერ ნაპოვნ ტყეის დაურჩავებიდან, რომ ამ ღელეში ოქროს სილა უტრიათ და უტრეცხიათ“⁸².

ახლა, უახლოესი აღმოჩენების საფუძველზე, შეგვიძლია სრულიად თამამად გავიზიაროთ დიდი მეცნიერის მოსაზრება და ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. V—IV სს. (აგრეთვე უფრო გვიან III—II საუკუნეებში) ძველ ვანში არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა ძლიერი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა-ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტეიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს. და იქნებ ამ ნივთებმაც გაუთქვეს კოლხეთს მთელ ანტიკურ სამყაროში „ოქრომრავალი“ ქვეყნის სახელი.

ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხეთში ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე ვერცხლის სამკაულიც, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, არსებითად იმეორებს იმავე ფორმებს, ჩვენ რომ უკვე განვიხილეთ ოქრომჭედლობის ნიმუშების შესახებ საუბრისას (ღიადემები, საყურეები და სხვ.)⁸³. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ვერცხლის სამაჯურები, რომელთაგან უმრავლესობა V—IV საუკუნეებში ე. წ. ზურგშენიქილი ფორმისაა⁸⁴ და დაბოლოებულია სხვადასხვა ცხოველის (ლომი, ხბო, ვერძი, დრაკონი, გველი და ა. შ.) გამოსახულებებით, ხოლო ფორმისა და სტილის მიხედვით ხშირად ანალოგიურია V—IV სს. მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული სამაჯურებისა.

კოლხური კულტურის განვითარების ამ ეტაპზე (ძვ. წ. V—IV სს.) კვლავ გრძელდება ბრინჯაოს მხატვრული დამუშავება (ნაირსახოვანი სამკაული, საკულტო და სარიტუალო ნივთები, ჭურჭლები). უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ბრინჯაოს ნაწარმში იჩენს თავს გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ტრადიციები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მთელი წყება ძვ. წ. V ს. ბრინჯაოს სიტულებისა, რომელნიც აღმოჩენილია ქობულეთ-ფიჭვნარში, რაჭასა და ითხვისში⁸⁵, ხოლო სულ უკანასკნელ ხანს კი (1969 წ.) ვანში ძვ. წ. V ს. ქალის სამარხში (სურ. 20-21). აქ ნაპოვნია სამი ბრინჯაოს სიტულა, რომელნიც თავის ფორმით თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ ძვ. წ. I ათასწლეულის პირ-

ველ ნახევარში საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ ბრინჯაოს ჭურჭ-
ლებს, რომელთა ერთ-ერთ საწარმოო ცენტრად მიჩნეულია კოლხეთი⁸⁸. ძვ.
წ. V ს. სიტულები უფრო ადრინდელებისაგან პროპორციებითა და ძირითადად
კი ყურის მოყვანილობით განსხვავდებიან. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნა-
ხევრით დათარიღებული ჭურჭლების ყურის ზედა ნაწილი ზედმიწევნით იმეო-
რებს იმავე ხანის კოლხური თიხის ჭურჭლის ე. წ. „ზომომოფული“ ყურების
შემკულობას⁸⁷. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ყურები ძვ. წ. I ათასწლეულის პირ-
ველი ნახევრისთვისაა დამახასიათებელი და, როგორც წესი, აღარ გვხვდება ძვ.
წ. V—IV საუკუნეებიდან. შესაბამისად განსხვავებულია ბრინჯაოს სიტულების
ყურების ფორმაც ძვ. წ. V საუკუნეში. ვანში ნაპოვნი ერთი სიტულის ყური ზე-
და ნაწილში ცხოველის დაცქვეტილი და თავწაწვეტებული ყურების იმიტაციას
წარმოადგენს და მით ზუსტად იმეორებს თიხის ჭურჭლის ყურების ფორმას,
რომელიც გვხვდება ძვ. წ. VI და V საუკუნეებში⁸⁸. ამრიგად, ჩანს, ერთი მხრივ,
ჭურჭლის ტრადიციული ფორმის შენარჩუნება და განვითარება, ხოლო მეო-
რე მხრივ, მისი მორთვა ეპოქის მხატვრული სტილის მიხედვით. სიტულების
მეორე ჯგუფის ყურები შემკულია წნული ორნამენტით, ამასთან ვანში ნაპოვნი
ერთ სიტულას ძირზე სვასტიკის გამოსახულება ამკობს. საგანგებოდაა აღსანიშნა-
ვი ვანში 1969 წ. აღმოჩენილ ქალის სამარხში მიცვალებულის თავთან ნაპოვნი
ბრინჯაოს ჭურჭელი (დაახლ. 14 სმ სიმაღლის), თითქმის ზუსტად რომ იმეორებს
ზემოაღნიშნული სიტულების ფორმას: ყურები შემკულია წნული ორნამენ-
ტით, ხოლო ძირზე გამოსახულია სვასტიკა. შემორჩენილია სახურავი რომელ-
ზეც ცხოველთა გრაფირებული გამოსახულებაა (ჯიხვი, ტახი, მამალი, ლომი
და სხვა), რომელიც კოლხური ცულებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული
სტილითაა შესრულებული (სურ. 21).

ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხეთის ერთ-ერთ განვითარებულსა და მა-
ღალდაწინაურებულ დარგს წარმოადგენს კერამიკული წარმოება. ამ ხანის
კოლხური თიხის ჭურჭელი მეტად მრავალფეროვანია თავისი დანიშნულებით
(სამეურნეო, სუფრის, საკულტო, სარიტუალო). ამასთან გამოირჩევა უაღრე-
სად ნატიფი და ორიგინალური ფორმებით. ძვ. წ. VI—V საუკუნეების კოლხური
კერამიკა ძირითადად შავი ფერისაა (ან ზოგჯერ ნაცრისფერზედაპირიანი), კარ-
გადაა გამომწვარი⁸⁹, შემკულია მეტწილად გეომეტრიული ორნამენტით (ტალ-
ლისებური, სამკუთხა, რომბული, წიწვისებური, გრეხილი, თევზიფხური სა-
ხეებით) და ზოგჯერ გაპრიალებულიცაა.

კერამიკული წარმოების ფართო მასშტაბს მოწმობს კოლხეთის არქეო-
ლოგიურ მონაპოვარში (ძვ. წ. VI—IV სს. ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე)
კერამიკულ მასალის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მათი მრავალფეროვან-

ბა: სხვადასხვა ფორმის დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი (ქვევრები, დერგები), მრავალგვარი ქოთნები, დოქები, კათხები, მათარები, სხვადასხვა ფორმის სასმისები, ჯამები, თეფშები, საბეჭდავები, რკინის სადნობი ქურა, სახელოსნოებისათვის განკუთვნილი საბერველის თიხის მილები...

განსაკუთრებით დამახასიათებელია შავზედაპირიანი ქვევრები და დერგები. ძვ. წ. VI—IV სს. მათ აქვთ კარგად პროფილირებული (ჭრილში სამკუთხა მოყვანილობის) პირის გვირგვინი, რომელიც ყოველთვის ორნამენტირებულია (თევზიფხური, გრეხილი, რომბული თუ სხვა სახეებით). ქვევრის მუცელგამობერილი ტანი დაფარულია წვრილი, მკაცრად ჰორიზონტალური ღარებით (თითქოს დაშტრინხულია) და შემკულია აგრეთვე რელიეფური ქედებით. ზოგიერთ ქვევრზე გვხვდება ცხოველთა და ფანტასტიკურ არსებათა გამოსახულებანი, რომელნიც სტილისტურად თითქოს იმეორებენ კოლხური ბრინჯაოს ცულების გრავირებულ გამოსახულებებს⁸⁰.

კოლხეთში ძვ. წ. IV საუკუნიდან ქვევრებს სამარხებადაც იყენებენ.

ძვ. წ. VI და V სს. კოლხური ქვევრები აღმოჩენილია აგრეთვე ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთშიც, კერძოდ, ბოსფორის სამეფოს დედაქალაქ პანტიკაპეონში⁸¹ და აგრეთვე ნიფეიონში⁸². საფიქრებელია, რომ ქვევრებით კოლხეთიდან გაქონდათ თავლი და სელის ზეთი⁸³.

საკმაოდ მრავალფეროვანია ძვ. წ. VI—V სს. კოლხური დოქები, რომელთაგან ტიპიურია ყურმილიანი ჭურჭლები, უპირატესად ბიკონუსური ფორმისა, საერთოდ ბიკონუსური მოყვანილობა კოლხური თიხის ჭურჭლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია (სურ. 22—24).

თავისებურ ჯგუფს ქმნიან აგრეთვე სხვადასხვა ფორმის სასმისები, რომელთაგან ერთი ნაწილი მაღალფეხიანია, ხოლო მეორე — კონუსისებურძირიანი⁸⁴.

ქუთაისის მახლობლად ს. მალაკში ნაპოვნია მზის სიმბოლოთი შემკული შესანიშნავი შავპირილა მათარა⁸⁵.

აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. VI—V საუკუნეებში კერამიკის ძირითადი და განმსაზღვრელი ტიპები, როგორც ფორმით, ასევე ორნამენტაციით, ერთიანადაა დამახასიათებელი კოლხეთის ზღვისპირა და შიდა რაიონებისათვის (ბარისა და მთისათვის). ასეთივე ვითარებაა, როგორც უკვე ვნახეთ, ნივთიერი კულტურის სხვა დარგებშიც, რაც მოწმობს კოლხეთის სამეფოს კულტურის ერთიანობასა და მის უაღრესად კომპაქტურ ხასიათს ძვ. წ. VI—V სს⁸⁶. ეს იყო სრულიად აშკარად მაღალგანვითარებული, დიდი ტრადიციების მქონე კულტურა, თავისი სახე და თავისებურება რომ შეინარჩუნა დიდ ანტიკურ ცივილიზაციასთან ურთიერთობის ხანაშიც.

ანტიკური კულტურა და კველი კოლხეთი

კოლხეთის სამეფოს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის აუზისა და მახლობელი აღმოსავლეთის მალაღაწინაურებულ ქვეყნებთან. განსაკუთრებით საინტერესოა საკითხი კოლხეთის ურთიერთობისა ძველ ბერძნულ ცივილიზაციასთან.

ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის რეგულარული ურთიერთობა ე. წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე ჩნდება პირველი მუდმივი ბერძნული სამოსახლოები, რომლებიც ზღვის ნაპირის გასწვრივ ხომალდთა რეიდისათვის განკუთვნილი ბაზების როლს ასრულებდნენ. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სინოპეს დაარსება¹, რომელიც „ფასისისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა“ (პოლიბიოსი, IV, 36)..

ამ დროს (ძვ. წ. VIII—VII სს.) ბერძნებს, როგორც ჩანს, ძირითადად ურთიერთობა აქვთ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთთან — დასავლურ ქართველ ტომთა მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებასთან, რომელიც, როგორც ვნახეთ, ურარტულ წყაროებში ცნობილია „კულხას“ სახელით. სამწუხაროდ, ჩვენთვის თითქმის უცნობია ამ ურთიერთობის კონკრეტული ხასიათი, მაგრამ საესებით აშკარაა, რომ ამ დროის ურთიერთობის ანარეკლია ძვ. წ. VIII—VI სს. ბერძნულ ეპიკურ ძეგლებში არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის შესახებ თქმულებათა პოპულარობა (ჰესიოდე და მისი სკოლა, ევმელოს კორინთელი, კინთონი, ე. წ. „ნავაპტიკური ეპოსი“, ეპიმენიდე). მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უკვე ძვ. წ. VIII ს. ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში პირველად იხსენიება „კოლხეთი“ (პოეტ ევმელოს კორინთელის „კორინთიკა“ ფრ. 2, რომე-

ლიც შემონახულია პინდარის სქოლიასტან)², ხოლო მდ. ფასისი კი მსოფ-
ლიოს უდიდეს მდინარეთა შორისაა დასახელებული (პესიოდეს „თეოგონია“,
1, 340).

ძვ. წ. VIII ს. 20-იან წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის
პირველი ბერძნული ახალშენები, ისევე როგორც კულხას სამეფო, კიმერიე-
ლებმა გაანადგურეს და მხოლოდ ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევრიდან იწყება ბერ-
ძენთა მიერ შავი ზღვის სანაპიროების ინტენსიური კოლონიზაცია და უკვე ძვ.
წ. VI ს. დასასრულისათვის შავი ზღვის სანაპიროების ოთხივე მხარე თითქ-
მის მთლიანად ბერძენთა ახალშენებით დაიფარა. ამ დროს ბერძენთა სამოსახ-
ლოები ჩნდება აგრეთვე კოლხეთშიც — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო-
ზე³.

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოცენებული ბერძნული სამოსახლოების ხა-
სიათის ვარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს
შორის ურთიერთობის ფორმებისა და მისი შედეგების კვლევისათვის. დიდი
მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რა როლი შეასრულა ბერძნულმა კო-
ლონიზაციამ კოლხეთის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციის
და აგრეთვე, მისი მოსახლეობის მატერიალური თუ სულიერი კულტურის გან-
ვითარების საქმეში.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ კოლხეთის სანაპიროს ზღვისპირა ბერძნულ
სამოსახლოებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავდნენ, რო-
გორც ბერძნული კოლონიზაციის შედეგად წარმოქმნილ ელინურ პოლისებს და
ასეთებად მიიჩნევდნენ ფასისს, გიენოსს და დიოსკურიას (ს. ჟებელიოვი, ვ. გაი-
ლუკევიჩი, ბ. კუფტინი, ა. ბოლტუნოვა და სხვ.)⁴.

მაგრამ უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-
ძიების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე, სრულიად სამართლია-
ნად, აღინიშნა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების წარმოქმნა-განვითარებაში ად-
ვილობრივი მოსახლეობის წამყვანი როლი და შესაბამისად კოლხეთში ბერძ-
ნული კოლონიზაციის თავისებური ხასიათიც⁵. ძვ. წ. VIII—VI სს. „დიდი ბერძ-
ნული კოლონიზაცია“, როგორც ცნობილია, გამოიხატებოდა მეტროპოლიიდან
(ანუ პირველსაცხოვრისიდან) მოქალაქეთა ერთი ნაწილის გადასახლებაში უც-
ხო ქვეყანაში და იქ, ახალ ადგილზე მეტროპოლიისაგან დამოუკიდებელი, ახა-
ლი პოლისური ორგანიზაციის შექმნაში. კოლონიზაცია საკუთარი პოლისიდან
მოქალაქეთა იძულებითი ემიგრაციის ფორმას წარმოადგენდა და მას, როგორც
ცნობილია, საკუთარი, ბერძნული საზოგადოების შინაგანი განვითარებით გა-
პირობებული მიზეზები ჰქონდა (საწარმოო ძალთა არასაკმარისი განვითარება,
გაცხარებული სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა და ა. შ.). მაგრამ

ესაა ბერძნული კოლონიზაციის შინაგანი მიზეზების საკითხი. ამ პრობლემის მეორე მხარე კი იმაში მდგომარეობს, რომ გაირკვეს, თუ როგორ მიმდინარეობდა ბერძნული ახალშენების (კოლონების) დაარსების პროცესი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ბერძნული კოლონიზაციის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე, სრულიად აშკარაა, რომ ეს პროცესი არ იყო ყველგან ერთნაირი და კოლონიზაციის წარმატება გაპირობებული იყო ადგილობრივი (დამხვედური) მოსახლეობის განვითარების დონით. ჯერ კიდევ ბერძნული ახალშენების წარმოქმნამდე დიდი ხნით ადრე და თვით კოლონიზაციის პერიოდშიც მთელი შავი ზღვისპირეთის მრავალრიცხოვან ტომთა განვითარება ძალზე არათანაბარი იყო (ეს გარემოება ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა ეთნიკური სხვადასხვაგვარობითა და პონტოს სანაპიროების უძველესი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების სრულიად სხვადასხვაგვარი დონით იყო გაპირობებული). უკვე კოლონიზაციის ადრინდელ ეტაპზე ბერძენ მოახალშენებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პირობები ხვდებოდათ. უკვე ამიტომაც არამართებულია კოლონიზაციის, როგორც ერთიანი პროცესის განხილვა და დასმა საკითხისა პონტოს ერთიანობის შესახებ.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მაღალგანვითარებული ხელოსნური წარმოებისა და ინტენსიური მიწათმოქმედების მქონე ადგილობრივი მოსახლეობის არსებობას მნიშვნელოვნად უნდა შეეფერებინა ამ ტერიტორიაზე ელნიური ახალშენების წარმოქმნა. ეს უკანასკნელნი დაფუძნებულნი იყვნენ ირგვლივ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლოატაციაზე. მიწის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესთაგანი იყო კოლონიზაციის პროცესში. ძველ ბერძნულ წყაროებში შემონახული ცნობები მოწმობენ, რომ შავი ზღვის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე ბერძნული კოლონიების დაარსებას თან სდევდა ადგილობრივი მოსახლეობის დაპყრობა-დამორჩილება, ან კიდევ მათი აყრა—გადასახლება^ა. ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის მაგალითზე ცნობილია, რომ აქ მთელი რიგი ბერძნული სამოსახლოებისა წარმოიქმნა უფრო ადრე დაარსებული ახალშენების (პოლისების) ზრდის შედეგად. ამ ქალაქებიდან მოსახლეობის ნაწილი ვადადიოდა ახლადორგანიზებულ სამოსახლოებში (ე. წ. შინაგანი კოლონიზაცია), რის შედეგადაც მთელი ჩრდ. შავი ზღვისპირეთის სანაპირო ზოლი მთლიანად ბერძნული სამოსახლოებით დაიფარა^ბ. დაახლოებით ასეთივე იყო ბერძნული კოლონიზაციის განვითარების შედეგი შავი ზღვის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროებზე. სრულიად სხვაგვარი სურათია ამ მხრივ კოლხეთში.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ კოლხეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების მაღალი დონე ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლე-

ულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისისათვის. ამ დროს კოლხეთის დაბლობში სრულიად აშკარად შეინიშნება ხელოსნობისაგან მიწათმოქმედების გამოყოფის პროცესი, სატომთაშორისო გაცვლითი ურთიერთობის გაძლიერება, გვაროვნული არისტოკრატის გამოყოფა, ქონებრივი დიფერენციაცია... ხოლო ძვ. წ. VI საუკუნეში კი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ძლიერი სახელმწიფო ერთეული — კოლხეთის სამეფო.

იმ დროისათვის, როდესაც ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთისაკენ უნდა წარმართულიყო, კოლხეთში, როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა რაიონებში, მიმდინარეობს მსხვილ სამიწათმოქმედო სამოსახლოების ქალაქური ტიპის სამოსახლოებად (ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრები) გარდაქმნის პროცესი. ამჟამად ძვ. წ. VI—V სს. ქალაქური ტიპის სამოსახლოები მიკვლეულია ძველი კოლხეთის ყველაზე უფრო ეკონომიურად დაწინაურებულ რაიონებში — რიონის დაბლობზე (საჩხერე, ქუთაისი, ვანი-დაბლაგომი).

აღრე ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიურ რუკაზე დაკვირვება ცხადყოფს მოსახლეობის არაჩვეულებრივ სიმჭიდროვეს კოლხეთის დაბლობში, და რაც განსაკუთრებითაა ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანი (კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციის პირობების საკითხთან დაკავშირებით) — მთელ ზღვისპირა ზოლში. უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან სრულიად აშკარად შეინიშნება კოლხეთის დაბლობის შიდა და ზღვისპირა რაიონების მოსახლეობის განვითარების მეტნაკლებად ერთიანი პროცესი.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება კოლხეთის ზღვისპირა ზოლში (ბათუმის რაიონი, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფოთი და მისი მიდამოები, ყულევი, ქარბეტა, ოჩამჩირე, სოხუმი და მისი მიდამოები, ეშერი, ბიჭვინტაღდა) ცხადყოფს, რომ მთელი ზღვისპირა ზოლი მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობის მიერაა მჭიდროდ დასახლებული, როგორც წინარე ანტიკურ (ე. ი. კოლონიზაციის წინარე ხანაში), ასევე ძვ. წ. VI—V სს. (კოლონიზაციის პერიოდში). ამასთან მიწათმოქმედებასა და ხელოსნურ წარმოებასთან ერთად (კერამიკულ წარმოება, რკინის მეტალურგია), მოსახლეობის საწარმოო საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ზღვისთან (მეთევზეობა).

ზემოაღნიშნულ ვითარებას საგრძნობლად უნდა შეეფერხებინა კოლხეთში ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის განვითარება: ძვ. წ. VI—V სს. კოლხეთის სახელმწიფოსა და ადგილობრივ საქალაქო ცენტრების არსებობის პირობებში (როგორც შიდა რაიონებში, ასევე ზღვის სანაპირო ზოლში) აღარ რჩებოდა საფუძველი ბერძნული კოლონიების — დამოუკიდებელი სოციალურ-ეკონომიური ბაზის მქონე და ირგვლივ მდებარე ადგილობრივი სასოფლო თემების ექსპლოატაციაზე დაფუძნებული პოლისების წარმოქმნა-არსებობისათვის⁸.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ ბერძნულ ცენტრად მიჩნეულია ფასისი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქალაქის სახელწოდება — „ფასისი“ არაა ბერძნული. „ფას“ ძირიანი სახელები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში⁹, ხოლო ფასის მთიდან¹⁰ იღებს სათავეს მდ. რიონი — ძველი ფასისი და ეს სახელი შეერქვა ძველი რიონის შესართავთან აღმოცენებულ ქალაქს. მაგრამ ეს გარემოება განმსაზღვრელი როდია ამ ქალაქის ხასიათის (მისი ელინურობის თუ არაელინურობის თვალსაზრისით) გასარკვევად. კარგადაა ცნობილი, რომ ბერძნები ხშირად ადგილობრივი მდინარის სახელს შეარქმევდნენ ხოლმე მის შესართავთან დაარსებულ ახალშენს (მაგ., მდ. პანტი-კაპა და ქ. პანტიკაპეიონი, მდ. პისტროსი და ქ. პისტრია და სხვ). ჩვენი აზრით, უთუოდ დიდმნიშვნელოვანია და საგანგებო ყურადღების ღირსიც, პოეტ თეოკრიტესთან სქოლიოებში დაცული ცნობა: „მნასეასი (ალექსანდრიული ეპოქის მეცნიერი, შესაძლოა ერატოსთენეს მოწაფე — ო. ლ.) ამბობს, რომ კოლხებმა თავიანთი სახელწოდება მიიღეს კოლხოსისაგან, ფასისის ვაჟისაგან“. ამგვარად, ქალაქი კოლხთა პანთეონის უმალღესი ღვთაების სახელს ატარებს. ხოლო უფრო გვიან, ახ. წ. II ს. არიანეს ცნობით, ქალაქის შესასვლელთან ფასისელთა ქალღმერთის ქანდაკება იყო აღმართული¹¹.

ფასისის მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ფიქსირებულ იქნა მთელი რიგი ძვ. წ. VI—V სს. წმინდა კოლხური ნამოსახლარებისა. ამასთან დადგინდა მათი გენეტიური კავშირიც უშუალოდ წინარე ხანის (ძვ. წ. VIII—VII) სამოსახლოებთან, ძველი ფასისის მიდამოებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები იქნებ ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს საბოლოო დასკვნებისათვის, მაგრამ მაინც ამ ეტაპზე ფრიად ანგარიშგასაწევი და მეტად მნიშვნელოვანია კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის ხასიათისა და შედეგების კვლევისათვის. ფასისი რომ ბერძნული კოლონიზაციის შედეგად წარმოქმნილი ქალაქი ყოფილიყო, აქ ამ ვრცელ ტერიტორიაზე (ქალაქის გარეუბნებში) თუ ყველაფერი არა, ძირითადი და წამყვანი მაინც ბერძნული უნდა ყოფილიყო (საცხოვრებელი ნაგებობანი, საოჯახო ინვენტარი და საერთოდ მატერიალური კულტურა). ელინურობა ფოთის არქეოლოგიურ მონაპოვარში წარმოდგენილია მხოლოდ მეტად მცირერიცხოვანი იმპორტული კერამიკით — ისიც აღმოსავლურ-ბერძნული და ატიკის სახელოსნოებს პროდუქტია, რაც აქ სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობის გზითაა მოხვედრილი. ჩვენი აზრით, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ძვ. წ. VI—IV სს. კერამიკის ნიმუშებს შორის ჩვენ არ გვხვდება არცერთი ადგილობრივ დამზადებული წმინდა ბერძნული იერისა და ფორმის. ბერძნუ-

ლი კოლონია ხელოსნური წარმოების გარეშე წარმოუდგენელია. ამ ნაწარმის მომხმარებელი პირველ რიგში ქალაქისა და მის ირგვლივ მდებარე მოსახლეობა უნდა ყოფილიყო და ეს აუცილებლად იჩენდა თავს არქეოლოგიურ მონაპოვარში. ანალოგიური მასალების დამოწმება შეიძლებოდა სხვა, ბერძნულად მიჩნეული ქალაქების (დიოსკურია, გიენოსი) შესახებაც¹². ამიტომ ვფიქრობთ, რომ დღესდღეობით ჩვენი ხელთ არსებული მასალები არ გვაძლევენ უფლებას შევიზღვის კოლხურ სანაპიროზე დაარსებული ბერძნული სამოსახლოები განვიხილოთ როგორც ელინური პოლისები. ჩვენი აზრით, ბერძნული სამოსახლოები კოლხეთში ძირითადად წარმოადგენდნენ ემპორიონებს¹³ — ადგილობრივ საქალაქო ცენტრებთან დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიებს, რომელთა მეშვეობით ხორციელდებოდა კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან.

ექსპორტის მთავარ საგანს, როგორც ჩანს, შეადგენდა ადგილობრივი ნედლეული, პირველ რიგში კი ხე-ტყე. სტრაბონის ცნობით, კოლხეთში მოიპოვება „გემთმშენებლობისათვის საჭირო ყოველი მასალა: აქ იზრდება მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება, მრავლად ამუშავებენ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს“ (XI, 2, 17). მ. ბერძნიშვილის აზრით, იმავე გემთმშენებლობისათვის იქნებოდა განკუთვნილი ფისიც და ცვილიც, რომელიც, სტრაბონის სიტყვით, უხვად მოიპოვებოდა კოლხეთში¹⁴. საფიქრებელია, რომ გემთსაშენ მასალასთან ერთად, კოლხეთიდან გაჰქონდათ აგრეთვე რკინა და შესაძლოა რკინის ნაწარმიც¹⁵. ხოლო ანტიკურ მწერალთა (სტრაბონი, აპიანე) ცნობები კოლხეთში ოქროს მოპოვების შესახებ, ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს ოქროს ექსპორტსაც¹⁶.

მთელ ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული კოლხური ხოხობი, რომელსაც პირველად არისტოფანე (ძვ. წ. V ს.), ხოლო შემდეგ ძვ. წ. III—II სს. ბერძენი მწერალი აგათარქიდე კნიდოსელი იხსენიებს¹⁷.

ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ხოხობიც და მისი სახელიც ანტიკურ სამყაროში კოლხეთის ფასისიდანაა გავრცელებული: იუვენალის სქოლიასტი წერს: „ხოხობი ფასისიდან წარმომავლობს“, ხოლო ესტატე თესალონიკელის ცნობით „მდ. ფასისის მიხედვით მიიღეს ეს სახელი (ფასიანები) ფრინველებმაც, რომლებიც აქ დიდი რაოდენობითაა“, ამიტომაც, რომ ბერძნულად ხოხობს ეწოდება Φασιανός, ლათინურად — Fasianus¹⁸.

მხოლოდ ნედლეული და ბუნებრივი სიმდიდრე რადი შეადგენდა კოლხეთიდან ექსპორტის საგანს: ჩანს, უკვე ადრე ანტიკურ ხანაში ფართოდ გაჰქონდათ კოლხური ხელოსნური ნაწარმი, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფართო სასაქონლო ხასიათი ჰქონდა. უკვე ძვ. წ. V ს. (და შესაძლოა, რამდენად-

მე უფრო ადრეც) მთელ ანტიკურ სამყაროში იყო კოლხური სელი სახელგანთქმული. სტრაბონი წერდა: „კოლხეთში უხვად მოჰყავთ სელი... სელის წარმოებას სახელიც კი გაითქვა; იგი უცხო ქვეყნებშიაც კი გაჰქონდათ და ზოგიერთი, ვისაც სურს დაამტყიცოს კოლხების ნათესაობა ეგვიპტელებთან, ამაში ხედავს დამამტყიცებელ საბუთს“ (XI, 2, 17). სწულიად აშკარაა, რომ „ზოგიერთებში“ სტრაბონი გულისხმობს ჰეროდოტეს, რამდენადაც ამ უკანასკნელს ეკუთვნის ჩვენთვის ცნობილი პირველი მითითება კოლხური სელის შესახებ და კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის იდეაც. ჰეროდოტეს ცნობა: „მხოლოდ ესენი (კოლხები — ო. ლ.) და ეგვიპტელები ამზადებენ სელს ერთნაირად... ხოლო კოლხურ სელს ელინელები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს. კი — ეგვიპტურ სელს“ (11, 105), მოწმობს, რომ ბერძნულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული კოლხური სელი და იგი, უნდა ვივარაუდოთ, ეგვიპტურსაც კი უწევდა მეტოქეობას. ქსენოფონტი წერდა: „წმინდა ფასიანური ან კართაგენული სელისგან უნდა გაეეთდეს ჩასაშვები ბადები, აგრეთვე სამგზავრო და საველეც“¹⁹. ამრიგად, სელის ექსპორტს ადრე ანტიკური ხანის კოლხეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა²⁰.

საფიქრებელია, რომ ქსოვილთან ერთად კოლხეთიდან ფართოდ გაჰქონდათ სელის ზეთი²¹, რომელსაც, როგორც ცნობილია, საკვები, სანთი და სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა²². საინტერესოა, რომ კოლხთა ლეგენდარული მეფის აიეტის ასული მედეა მთელ ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული, როგორც ჯადოსნურ წამალთა დამზადების დიდოსტატი. ფიქრობენ, რომ სელის წარმოებით განთქმულ კოლხეთში, როგორც სამკურნალო, ისე სურნელოვანი ზეთის შემზადება სელის ზეთის საფუძველზე იყო აღმოცენებული²³. ვარაუდობენ, რომ კოლხეთიდან გაჰქონდათ აგრეთვე ლითონის ხელოსნური მზანწარმოც²⁴.


კოლხეთის აქტიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ჩრდ. შავი ზღვისპირეთთან ურთიერკავშირების მაგალითებზე, სადაც (პანტიკაპეიონი, ნიმფეიონი და სხვ.) უკვე მრავალადა ნაპოვნი კოლხური კერამიკა და აგრეთვე მონეტები²⁵.

ბერძენ ვაჭრებს კი კოლხეთში ძირითადად მხატვრული და სუფრის ფაქიზი კერამიკა, ძვირფასი ლითონის კუთრკელი, მაღალი ხარისხის ღვინო, ზეთუნის ზეთი და ნელსაცხებლები შემოჰქონდათ.


არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ბერძნული სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობაში ორი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: პირველი მოიცავს ძირითადად ძვ. წ. VI საუკუნეს, ხოლო მეორე კი — ძვ. წ. V—IV საუკუნეებს²⁶.

ანტიკური სამყაროს კოლხეთთან რეგულარული სავაჭრო-ეკონომიური




































ურთიერთობის ადრინდელ ეტაპზე სრულიად აშკარაა აღმოსავლურ-ბერძნული (იონიური) სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების აქტიური როლი. ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარში ურთიერთობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძალზე სპორადულ ხასიათს ატარებს (ამ ხანის მხოლოდ ერთეული აღმოჩენებია ჯერჯერობით ცნობილი). სამაგიეროდ, უკვე ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან და განსაკუთრებით ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარში, ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის უკვე საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჩანს. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ, როგორც ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური იმპორტული კერამიკის შესწავლა გვიჩვენებს, ძვ. წ. VI ს. ბერძნებს ურთიერთობა აქვთ ძირითადად კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მოსახლეობასთან, ვიდრე ქ. ფასისამდე და ამ უკანასკნელის მეშვეობით კოლხეთის შიდა რაიონებთან, ხოლო რამდენადმე უფრო გვიან — ძვ. წ. VI ს. მიწურულს, უფრო კი, ძვ. წ. V საუკუნიდან იწყება ურთიერთობა ჩრდ. დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობასთანაც.

ძვ. წ. VI ს., როგორც ითქვა, კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში აქტიურ როლს იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები ასრულებენ, ამ ცენტრების ნაწარმი, უპირატესად მხატვრული კერამიკა, უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობითაა კოლხეთში აღმოჩენილი.

აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის ჯამები, მოხატული თეფშები, პოლიქრომული სარტყლებით შემკული სურები, ჭრაქები და სხვა. აქ კარგად გამოიყოფა ე. წ. იონიურ-როდოსული (კამირესის ჯგუფი), ფიკელურას და „იონიური“ სტილის კერამიკა. ამ კერამიკის ნაწილი როდოსის და სამოსის სახელოსნო ცენტრების პროდუქტია. ჯერჯერობით ვერ ხერხდება აღმოსავლეთის ბერძნული კერამიკის ე. წ. „იონიური“ ჯგუფის სახელით ცნობილი კერამიკის საწარმოო ცენტრების განსაზღვრა. თიხების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება მკვლევართ სხვადასხვა საწარმოო ცენტრების (ქოსი, ნავკრატისი, მილეტი) არსებობას ავარაუდებინებს. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ აღმოსავლური ბერძნული კერამიკის მკვლევართა უმრავლესობის აზრით, საშუამავლო როლს იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების პროდუქტით ვაჭრობაში უდიდესი სავაჭრო ცენტრი მილეტი ასრულებდა. იონიური მხატვრული კერამიკის ინტენსიურ იმპორტზე კოლხეთში მოწმობს ამ კერამიკის აღმოჩენა არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში (ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთის მიდამოები), არამედ კოლხეთის შიდა რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოშიც კი.

გარდა მხატვრული კერამიკისა, იონიური ცენტრებიდან კოლხეთში შემოჰქონდათ ზეთიუნის ზეთი, მაღალი ხარისხის ღვინო და სხვა. ამაზე მიუთითებს დიდი ზომის სატრანზიტო თიხის ჭურჭლის, ე. წ. ამფორების ძალზე ხში-

რი აღმოჩენები ძველი კოლხეთის მრავალ პუნქტში. აღსანიშნავია, რომ კოლხეთში აღმოჩენილი ძვ. წ. VI ს. ამფორების უმრავლესობა აგრეთვე იონიურ საწარმოო ცენტრებს ეკუთვნის (ქიოსი, ლესბოსი, სამოსი და სხვა უცნობი ცენტრები).

ძვ. წ. VI ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში შეინიშნება აღმოსავლურბერძნული ცენტრების კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობის შესუსტება. ძვ. წ. V ს. მეორე ნახევრიდან კი იონიური მხატვრული კერამიკა თითქმის სრულეობით აღარ გვხვდება კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში. სამავიეროდ ამ დროიდან სრულიად აშკარად ისახება ათენის (ატიკის) აქტიური სავაჭრო როლი კოლხეთთან ურთიერთობაში.

ათენის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა კოლხეთთან, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედში იწყება. ამ დროის ცალკეული აღმოჩენები ცნობილია ქობულეთ-ფიჭვნარიდან, ფასისის მიდამოებიდან, აგრეთვე ერთი აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოშიცაა (ხოვედ) ფიქსირებული. მაგრამ არქეოლოგიურ მონაპოვარში ნათლად ჩანს; რომ ამ დროს ატიკასთან ურთიერთობა ჯერ კიდევ არაა ინტენსიური და იგი ვერ უწყევს კონკურენციას იონიურ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს. მაგრამ სულ სხვა სურათია ამ მხრივ ძვ. წ. V (განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში) და IV საუკუნეებში.

ცნობილია, რომ ძვ. წ. VI ს. დამლევს დარიოს I დაიპყრო პროზონტიდა და ჰელენსპონტი, რის შედეგადაც შავი ზღვის სრუტეები აქემენიდური ირანის გავლენას დაემორჩილა²⁷. ფიქრობენ, რომ ამ ფაქტს, მიუხედავად ბერძენ-ირანელთა ომიანობისა, დიდად არ შეუშლია ხელი ათენის შავი ზღვისპირეთთან ვაჭრობისათვის, მაგრამ ძვ. წ. V ს. 90-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისს შორის სავაჭრო ურთიერთობანი მაინც საგრძნობლად უნდა შეფერხებულიყო. მხოლოდ ძვ. წ. V ს. 70-იანი წლებიდან (ძვ. წ. 476/5 წწ. ათენელთა მიერ ქ. ბიზანტიონის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ) იწყება ათენელთა განუყოფელი ბატონობა შავი ზღვის სრუტეებზე და მათი უპირატესი როლიც მთელ შავი ზღვისპირეთთან ვაჭრობაში²⁸. როგორც სულ ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, სწორედ ძვ. წ. V საუკუნის 70-იანი წლებიდან უნდა ვივარაუდოთ ათენის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის დასაწყისი კოლხეთთანაც. ამ თვალსაზრისითაცაა დიდმნიშვნელოვანი ვანში 1969 წ. აღმოჩენილი წარჩინებული კოლხი ქალის სამარხი, რომელშიც მეტად მრავალრიცხოვან კოლხურ ნივთებთან ერთად ნაპოვნია რამდენიმე იმპორტული საგანიც, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ ზუსტად თარიღდება. საგანგებოდაა აღსანიშნავი ბრინჯაოს სურა (ენობოია) და ტაფისებური ჭურჭელი (პატერა), რიტუალური ხელის დაბანისათვის განკუთვნილი: (სურ. 25—26). პა-

ტარის ტარი ტანშიშველი ჭაბუკის სკულპტურულ ფიგურას წარმოსახავს (სურ. 26). სახისა და ტანის სტილისტური თავისებურებანი, განსაკუთრებით კი ქანდაკების მწყობრი კონტური და წაგრძელებული პროპორციები, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრული ფეხები, მარცხენა ხელის ასიმეტრიულობა, ზომები და აგრეთვე აკროტერიუმის სახით შესრულებული დამაკავშირებელი ფირფიტა, ამ პატერას აახლოვებს ატიკური წარმოების პატერებთან (მის ე. წ. აკროპოლისის ჯგუფთან), რომელთაც ძვ. წ. 500—480 წლებით ათარიღებენ²⁹. ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედით თარიღდება იქვე ნაპოვნი ატიკური წარმოების ორი ვერცხლის კილიკი³⁰ (სურ. 28) და აგრეთვე ატიკური შავლაკიანი მაღალფეხიანი კილიკი³¹. შესაბამისად იმავე ხანისაა იმავე სამარხში ნაპოვნი ასევე ატიკური მცირე ზომის ამფორა³² და რამდენიმე სრულიად უნიკალური ნივთი. ასეთია პირველ რიგში ატიკური ტიპის ვერცხლის არიბალოსი (სურ. 27), რომლის პირი ლეკითოსისებური ჭურჭლისაა, ხოლო ყურები გაფორმებული აქვს ფრინველის სახით³³. ძირზე გაოთხკეცებული ლოტოსის გამოსახულება³⁴. სფეროსებური ტანი შემკულია „ენების“ ორნამენტით, მათ შორის კი შექმნილად ფრიზი, რომელზედაც მოთავსებულია სფინქსების მსვლელობის გრავირებული გამოსახულება. სფინქსებს წინა ხელი³⁵ ზეწეული აქვთ. სფინქსის თავი (მოკლედ შეჭრილი და შუბლზე აქოჩრილი თმა) და გაორმაგებული მომრგვალებული ფრთები თითქოს იმეორებენ ატიკურ ტიპს, რომელიც წარმოდგენილია ბრიტანეთის მუზეუმის ორ წითელფიგურულ რიტონში, სფინქსს რომ წარმოსახავს. მათგან ერთი ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედში მოღვაწე ცნობილი ატიკელი ოსტატის — სოტადის ნახელავია³⁶, ხოლო მეორე — პისტოქსენის³⁷.

ჭურჭლის ატიკური ფორმა და სფინქსის (სტილის თვალსაზრისით) ატიკური იერი გვაფიქრებინებს, რომ ეს მრავალმხრივ საინტერესო ჭურჭელი ატიკური სახელოსნოების ნაწარმია. სტილისტურად ამავე რიგისაა სფინქსის სკულპტურული გამოსახულება, იმავე სამარხში ნაპოვნი ვერცხლის კოვზს რომ ამკობს. დაბოლოს აღსანიშნავია აგრეთვე ასევე სრულიად უნიკალური ვერცხლის სარწყულა ყურზე ფრთოსანი ლომის სკულპტურული გამოსახულებით, ხოლო მათ ქვემოთ ორ-ორი ვერძის გამოსახულება მუცელზე მირჩილული. თავისებურია იქვე ნაპოვნი ე. წ. ფინიკური მინის ორი თასი, რომელთაგან ერთი ცისფერი მინისაა (სურ. 29) და მორთულია ყვითელი ფერის სარტყლებით, ხოლო მეორე ღია მელნისფერია.

ამრიგად, აქ აღწერილი ნივთების უმრავლესობა ზუსტად თარიღდება ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედით და წარმოადგენს ძველი ბერძნული ტორეკტიკის უნიკალური ნიმუშებს. მათი აღმოჩენა ვანში არაპირდაპირი მოწმობაა იმისა, რომ ამ დროს ვანი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურსა და

სავაჭრო ცენტრს. ეს აღმოჩენა იმითაცაა საინტერესო, რომ იგი გვიჩვენებს ათენის კოლხეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისს ბერძენ-ირანელთა ომიანობის შემდეგ, როდესაც ათენი დაიკავებს დომინირებულ მდგომარეობას მთელ შავი ზღვისპირეთთან ვაჭრობაში.

ძვ. წ. V—IV სს. ატიკური მხატვრულ შავფიგურიანი, წითელფიგურიანი და სადა შავლაკიანი კერამიკა (კრატერები, სკიფოსები, ლეკითოსები, კილიკები, ასკები, კანთაროსები, პელიკები, გუტუსები) უკვე ძველი კოლხეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ანტიკურ ნამოსახლარზეა მოპოვებული (ქობულეთ-ფიჭვნარი, ბათუმის მიდამოები, ურეკი, ფოთის მიდამოები, ოჩამჩირეს ანტიკური ნამოსახლარი, ქ. სოხუმი და მისი მიდამოები, ეშერი). მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ძვ. წ. V—IV საუკუნეებში ატიკური იმპორტი რიონ-ყვირილის სავაჭრო მაგისტრალით საკმაოდ ინტენსიურად იკვლევს გზას კოლხეთის შიდა რაიონებშიც (ვანი, დაბლაგომი, ქუთაისი, ჭოგნარი, საჩხერე, ითხვისი) და მთიან ზოლშიც (რაჭა, სვანეთი). ათენის კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაზე მიუთითებს აგრეთვე ნუმისმატიკური მასალებიც (კოლხეთში აღმოჩენილი ათენური ტეტრადრაქმები, ქიზიკინი). ამასთანავე ათენი ასრულებდა საშუამავლო როლს კოლხეთთან კუნძულ თაზოსის პროდუქციით ვაჭრობაში.

ათენსა და კოლხეთს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით, დიდ ინტერესს იწვევს ათენში აღმოჩენილი და ამჟამად ბერლინის მუზეუმში დაცული ჰიდრია (თინის სამყურა ჭურჭელი), რომელზედაც შემორჩენილია ბერძნული წარწერა „კოლხმა გამაკეთა მე“. ეს ჰიდრია ატიკური შავფიგურული ტექნიკის ნაწარმადაა მიჩნეული, მაგრამ მასში უხვადაა წარმოდგენილი იონიური მხატვრული ნაკადი. ათენშია აღმოჩენილი და ბერლინის მუზეუმშია დაცული თინის ამფორა, რომელსაც აგრეთვე ბერძნული წარწერა ახლავს: „ევქსისტოვსმა გამაკეთა, კოლხმა მომხატა“. ცნობილი გერმანელი სპეციალისტის ერნსტ პფულის აზრით, ათენში მოღვაწე იმავე კოლხი ოსტატის მიერ უნდა იყოს მოხატული კიდევ ამჟამად კოპენჰაგენის მუზეუმში დაცული ერთი ლარნაკი³⁸.

ათენში აღმოჩენილ წარწერებში იხსენიებიან აგრეთვე კოლხი მონებიც. მაგალითად, ძვ. წ. 415—414 წწ. ე. წ. პერმოკოპიდების პროცესთან დაკავშირებით შედგენილი წარწერიდან ჩანს, რომ მეტეკ კეთისოდორის კუთვნილი მონა კოლხი 153 დრაქმად იყო შეფასებული³⁹.

კოლხეთის ზღვისპირა ბერძნული სავაჭრო ფაქტორიების მეშვეობით ვრცელდებოდა კოლხეთში აგრეთვე ეგვიპტისა და სირიის სახელმწიფოების ნაწარმი (ფერადი მინისა და პასტის მძივები, პოლიქრომული მინის სანელესაცხებლე ჭურჭლები და სხვა)⁴⁰.

ბერძენთა აქტიური სავაჭრო ურთიერთობა კოლხეთის მოსახლეობასთან, როგორც ჩანს, თვით კოლხეთის სამეფოში შინაგანი სავაჭრო ურთიერთობის ორგანიზაციისა და სასაქონლო წარმოების მაღალი დონით იყო გაპირობებული, ცნობილია, რომ უკვე ძვ. წ. VI ს. კოლხეთში იჭრებოდა საკუთარი მონეტა ე. წ. „კოლხური თეთრი“, რომლის გავრცელებს არც ძირითადად კოლხეთის ტერიტორიით იფარგლება⁴¹. ამის გამო სამართლიანადაა მიჩნეული, რომ „კოლხური თეთრი“ ადგილობრივი ბაზრის ინტერესებისა და რეგულირებისათვის იყო მოჭრილი. ეს კი, უნდა ვიფიქროთ, მხოლოდ ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივას შეადგენდა და საკუთრივ კოლხეთის სასაქონლო წარმოების ინტერესებს შეესაბამებოდა.

დიდ ინტერესს იწვევს ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი მწერლის აპოლონიოს როდოსელის ცნობა: „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ („არგონავტიკა“, IV, 279-282)⁴².

აპოლონიოს როდოსელის ეს მრავალმხრივ საყურადღებო ცნობა და აგრეთვე I ს. ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის მითითება მდ. ფასისზე 120 ხიდის არსებობის შესახებ, სრულიად თამამად შეიძლება მიჩნეულ იქნას ძველ კოლხეთში სავაჭრო გზებისა და საქმის ორგანიზაციის მაღალი დონის მოწმობად.

○

საქართველოში აღმოჩენილ ანტიკური კულტურის ძეგლთაგან ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი ე. წ. სოხუმის სტელაა (სურ. 30). იგი 1953 წელს იპოვეს შემთხვევით სოხუმთან (ძველი დიოსკურია) ზღვის ფსკერზე⁴³ და ამჟამად აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმშია გამოფენილი. მარმარილოს სწორკუთხა ფილაზე (157×92 სმ) მოცემულია სამფიგურიანი რელიეფური კომპოზიცია, რომელიც განსვენებულთან გამოთხოვების სცენას ასახავს: განსვენებული გამოსახულია სავარძელში მჯდომი და მარჯვენა ხელით ეხვევა მის მუხლებთან დაჩოქილ ბავშვს (შვილს?). უკანა პლანზე გამოსახულია ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მოსავს უსახელოო სარტყლიანი ატიკური პეპლოსი და ხელში კოლოფი უკავია. მას, ისევე როგორც პატარა ბავშვს, მოკლედ შეჭრილი თმა აქვს (გლოვის ნიშნად), ხოლო თავი — მარცხენა მხრისაკენ ოდნავ დახრილი, რაც აგრეთვე მწუხარე განწყობის მაუწყებელია. ამრიგად, სოხუმის სტელაზე წარმოდგენილია ბერძნულ საფლავის ქვებზე განსვენებულთან გამოთხოვების ფართოდ გავრცელებული სცენა: გარდაცვლილი ქალი საკუთარ შვილთან

ერთადაა გამოსახული. იქვეა ახლობელი ნათესავი — ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელთ უპყრია განსვენებულისადმი მიძღვნილი საგანგებო საჩუქარი — იმქვეყნიურ ცხოვრებაში აუცილებელი, მაკიური დანიშნულების სამკაულებიანი კოლოფი⁴⁴. გამოსახულების კომპოზიციისა, რელიეფის ხასიათისა და დრაპირების მიხედვით სტელა თარიღდება ძვ. წ. 430—420 წწ. სოხუმის სტელა ანტიკური ხელოვნების მეტად საინტერესო და რთული ძეგლია. იგი იმითაცაა საინტერესო, რომ დღემდე ცნობილ იმ ბერძნულ სამარხ რელიეფებს შორის, რომლებიც შემკულია მრავალფიგურიანი კომპოზიციით, ყველაზე უფრო აღრინდელია. სოხუმში (ძველი დიოსკურია) აღმოჩენილი ეს ანტიკური რელიეფი იმავე დროს ბერძნულ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობის თავისებური მოწმობაცაა⁴⁵.

მიცვალებულის სამარხზე საგანგებო საფლავის ქვის — სტელის აღმართვა ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ სამყაროში ძვ. წ. VII ს. დასასრულიდან, ხოლო განსაკუთრებით კი ძვ. წ. V—IV საუკუნეებში. საგანგებო საფლავის ქვის აღმართვა მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, განსვენებულის ხსოვნის შენახვას მომავალი თაობისათვის, ხოლო, მეორე მხრივ — მიცვალებულისათვის კულტის შესასრულებელი ადგილის შემოფარგვლას. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ სამარხზე აღმართული სტელა, ბერძენთა წარმოდგენით, თითქოს განსვენებულის საცხოვრისად, მისი სულის მუდმივ სასუფეველად იყო აღმართული. ასე რომ, სტელის აღმართვა წმინდა ბერძნული წესია და იგი უთუოდ ბერძნის სამარხზე უნდა ყოფილიყო აღმართული.

ბერძნული მოსახლეობის არსებობა არქეოლოგიურად სხვა ზღვისპირა კოლხურ ქალაქებშიც (მაგ., ქობულეთ-ფიჭვნარსა⁴⁶ და გიენოსში⁴⁷) დასტურდება. მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები ასევე საკმაოდ თვალსაჩინოდ მოწმობენ, რომ ბერძენ მოსახლენეთა ხვედრითი წონა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით მეტად მცირე უნდა ყოფილიყო. ისევე როგორც ძველი ფასისის მიდამოებში (იხ. ზემოთ), ასევე დიოსკურიის რაიონშიც („წითელი შუქურა“, სოხუმის მთა, ჭუად-იხუ, იაშთუხი, ახვილ-აბა და სხვ) ყველგან დასტურდება ადგილობრივი მოსახლეობა და ასევე ადგილობრივ ტრადიციებზე განვითარებული ნივთიერი კულტურა, რომელსაც ელინიზაცია ვერ შეხებია⁴⁸.

საერთოდ, ძვ. წ. VI—V საუკუნეებში კოლხეთის ზღვისპირა ოლქებში ჩვენ ვერ ვხედავთ (ჯერჯერობით მაინც) ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში იმ ცვლილებებს, რომლებიც ჩვეულებრივ ახლდა ხოლმე ბერძნულ კოლონიზაციას (ასეთებია: ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის სრული ელინიზაცია, შერეული ეთნიკური ჯგუფების წარმოქმნა, ბერძნულ კოლონიებში დამ-

ზადებული ხელოსნური ნაწარმის გავრცელება და სხვ). ამიტომაც ვფიქრობთ, რომ კოლხეთში ბერძენთა მოახალშენეებმა ვერ დანერგეს ელინური სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის რთული ფორმები და არც რამდენადმე გადამწყვეტი როლი შეუძრულებიან კოლხეთის სოციალური და პოლიტიკური წყობის ფორმირებაში⁴⁶. ძვ. წ. VI—V საუკუნეებში ბერძნული კულტურის გავლენაც კოლხებზე ძალზე ზედაპირული იყო და ისიც საზოგადოების მაღალ ფენებში იჩენს მხოლოდ თავს. უადრესად ნიშანდობლივია, რომ ძვ. წ. VI—V სს. იმპორტული საგნები გვხვდება, როგორც წესი, მდიდრულ სამარხებში (ვანი, ითხვისი, ქობულეთ-ფიჭვნარი), მაგრამ ადგილობრივ ნივთებთან შედარებით მათი რიცხვი მინც მეტად მცირეა. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ვანში 1969 წ. აღმოჩენილი წარჩინებული კოლხი ქალის სამარხი, რომელიც ძვ. წ. V ს. (უფრო შუა ხანებით) თარიღდება. ამ სამარხში ნაპოვნი ოქროსა და ვერცხლის სამკაული (რამდენიმე ასეული ნივთი), აგრეთვე თიხისა და ბრინჯაოს ჭურჭელი თითქმის მთლიანად კოლხურია! იმპორტულია (ბერძნული) მხოლოდ 11 ნივთი (ბრინჯაოს სურა და პატერა, ვერცხლის სარწყულა, 2 კილიკი, არიბალონი და კოვზი, თიხის კილიკი და სანელსაცხებლე, მინის 2 თასი). საინტერესოა კერამიკის რიცხობრივი შედარებაც. სამარხში ნაპოვნი ბერძნული თიხის მხოლოდ ორი ჭურჭელი (სანელსაცხებლე და საღვინე თასი), მაშინ როდესაც კოლხური თიხის ჭურჭლების რიცხვი 20-მდე აღწევს. ამასთან ყოველი მათგანი გამორჩევა დახვეწილი, ნატიფი ფორმითა და ტრადიციული კოლხური ორნამენტით. ეს ფაქტიც თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ რა წარმატებით უწყევდა მეტოქეობას ძვ. წ. V საუკუნის კოლხური კერამიკა იმდროინდელ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ ბერძნულ მხატვრულ კერამიკას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მაშინ, როდესაც ანტიკური სამყაროს პერიფერიებში (განსაკუთრებით ძვ. წ. V—IV სს.) ბერძნულ იმპორტულ კერამიკას ვაბატონებული მდგომარეობა უჭირავს, კოლხეთში მისი რიცხვი ადგილობრივთან შედარებით მინიმალურია.

ძვ. წ. V ს. კოლხ წარჩინებულთა წრეში გზას იკვლევს ბერძნული დამწერლობაც. ამას მოწმობს ითხვისში ნაპოვნი შავლაკიანი თასი, რომელზედაც ამოკაწრულია სახელი „მეტას“⁴⁸.

ძვ. წ. IV ს. ბერძნული ასოები ჩნდება კოლხურ თეთრზეც, თუმც მონეტათა აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ ანეპიგრაფულია (სულ დღეისათვის ცნობილია 30 ბერძნულ ასოებიანი მონეტა, მაშინ როდესაც კოლხური თეთრის რაოდენობა ათასობით განისაზღვრება).

ძვ. წ. IV ს.-ის მეორე ნახევრიდან ვრცელდება კოლხეთში მიცვალებულთათვის სამარხში მონეტის ჩატანების წესი, რასაც ბერძნული რელიგიური

წარმოდგენების გავლენად თვლიან⁵¹. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ აქაც რაღაც ადვილობრივი ტრადიციის გავრცელებასთან და ტრანსფორმაციასთან გვექონდეს საქმე. ასეთი ვარაუდის საფუძველს ქმნის ვანში ძვ. წ. V ს. მდიდრულ სამარხებში ოქროს პატარა ზოდების აღმოჩენა, რომლებიც ალბათ იმავე როლს ასრულებდნენ, რასაც შვედეთში მონეტები. რა თქმა უნდა, ეს მცირერიცხოვანი ფაქტი ვერ გამოდგება. ბერძნული კულტურის რამდენადმე არსებითი გავლენის მოწმობად ძვ. წ. VI—IV სს. კოლხეთის მოსახლეობაზე და მის სულიერსა და ნივთიერ კულტურაზე, როგორც მოსალოდნელი იყო ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის ფართო მასშტაბებისას. ჩვენ უკვე ვნახეთ (ოქრომჭედლობის, ლითონის დამუშავების, კერამიკის და სხვა დარგების მაგალითზე), რომ ძვ. წ. VI—V სს. კოლხური კულტურა მკაცრად ერთიანია და უაღრესად თავისთავადი.

ბერძნულ-ანტიკურ სამყაროსთან და მისი მეოხებით აგრეთვე სხვა უცხო ქვეყნებთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ მკაფიოდ იჩინა თავი მხოლოდ თითქმის ორი ასეული წლის შემდეგ — ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1969 წ. ვანში აღმოჩენილი და მრავალმხრივ ყურადსაღები წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხი. ეს სამარხი საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრით, უფრო კი მისი მესამე მეოთხედით⁵². უკვე ამ დროს დაკრძალვის წესსა და სამარხეულ კომპლექსში მოჩანს რიგი სრულიად ახალი ნიშნებისა (სურ 32).

სამარხი კლდოვან დედაქანშია ამოკვეთილი, ხოლო მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ხის სატკობებში (შემორჩა მხოლოდ რკინის ლურსმნები), რომელიც შემდეგ თიხა-მიწითა და რიყის ქვყარით იყო დაფარული. მეომრის სამარხი სამი მხრიდან შემორჩეული იყო რკინის შუბისპირებითა და ხელშუბებით, რომელთა საერთო რაოდენობა 50-ს აღწევდა⁵³. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სამარხში ნაპოვნია (მეომრის ფერხით) რკინის ფარიც, აგრეთვე რკინის მახვილი და სატევარი, ხოლო უთვალავი რაოდენობით — რკინისა და ბრინჯაოს ისრისპირები. თუ გავითვალისწინებთ, რომ რკინის იარაღი იმ დროს ძალზე ძვირად ფასობდა და კერძო საკუთრების საგანს შეადგენდა, ადვილი წარმოსადგენი გახდება სამარხში დაკრძალული მეომრის წარჩინებულობა და მისი უთუოდ მაღალი რანგი, რასაც იქვე მრავლად ნაპოვნი ოქრო-ვერცხლის სამკაულის ხასიათიც და დაკრძალვის წესიც ადასტურებს.

მეომრის ოქრო-ვერცხლის სამკაული თითქმის მთლიანად კოლხურია. განსაკუთრებით საინტერესოა მდიდრული თავსაბურავი, რომელიც განსხვავდება ძვ. წ. V საუკუნეში გავრცელებული დიადემებისაგან, მაგრამ უშუალო ანალოგიებს ისევ კოლხეთში პოულობს. ამჟერად თავსაბურავი ოქროს ფიგურ-

რებისაგანაა შედგენილი: ეს გახლავთ ცხენოსნისა და მასზე მიჩნეული სხვა-დასხვა ზომის ორი ფრინველის დაცვარული გამოსახულება (სულ 15-ია ნაპოვნი და ყველა თავის ქალის არეში). ტიპოლოგიურად და მხატვრულ-სტილისტურ თვალსაზრისით ისინი ემსგავსებიან ოჩაჩირეში აღმოჩენილ ოქროს ფიგურებს, რომლებიც ბ. კუფტინის თქმით, „თავისებურ, არაბერძნული მხატვრული სტილის, აქლემისებრი ფართოსან ცხოველებს წარმოსახვენ“⁵⁴.

მეომარს აღმოაჩნდა ერთადერთი ოქროს საყურე (ე. წ. ჰვირულ ბურთულიანი ტიპისა), რომელიც ტიპოლოგიურად ძვ. წ. V ს. გავრცელებული კოლხური საყურეების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. რამდენადმე ახალია ოქროს მთვარისებური საყიდები, რომელთა ნაპირები ცვარათია შემკული. მეომრის ოქროს დაკბილული სამაჯურები თითქოს იმეორებენ კოლხეთსა და კავკასიაში ძვ. წ. VII—VI სს. გავრცელებულ სამაჯურებს⁵⁵, ხოლო ცხოველისთავიანი ვერცხლის სამაჯურები სავსებით ანალოგიურია ძვ. წ. IV ს. დაბლაგომის ქვევრსამარხებში და საერთოდ მთელ საქართველოში ამ დროს ცნობილი სამაჯურებისა⁵⁶.

წარჩინებულ მეომარს 4 ბეჭედი აღმოაჩნდა. ერთ-ერთ ოქროს საბეჭდავზე გამოსახულებასთან ერთად ბერძნული ასოებით ამოკვეთილია საკუთარი სახელი „დედატოს“. ჯერჯერობით ძნელია თქმა ბეჭდის მფლობელის (ე. ი. დაკრძალული მეომრის) სახელია თუ არა „დედატოს“, მაგრამ იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ეს სახელი არ ჩანს ბერძენთა საკუთარ სახელებს. შორის⁵⁷.

ამგვარად, წარჩინებულ მეომარი კოლხურ იარაღ-სამკაულს და ბერძნულ წარწერიან ბეჭედს ატარებდა. ბერძნული კულტურის გავლენა ჩანს აგრეთვე აბჯარ-საჭურველის ზოგიერთ დეტალში: მეომრის ქვედა კიდურებს მოსავდა ბრინჯაოს აბჯარი, რომელიც ტიპოლოგიურად იმეორებს ბერძნული ფეხის აბჯრის ე. წ. კნემიდების ფორმას. ეს უკანასკნელი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით ძვ. წ. V ს. შუა ხანებიდან ძვ. წ. II ს. დასასრულამდე⁵⁸. უღრესად საინტერესოა, რომ კოლხი მეომრის ფეხის აბჯარი ორწილადი იყო და იცავდა ფეხს როგორც მუხლს ქვემოთ, ასევე მუხლს ზემოთ, რაც საკმაოდ იშვიათია თვით ბერძენთა შორისაც, ვინაიდან იგი ძვირად ფასობდა და ამიტომ თქმობს ფარზე მიმაგრებული ტყავით იფარავდნენ. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმ გარემოებას, რომ ვანში 1969 წ. აღმოჩენილ სამარხში დაკრძალული მეომარი წარჩინებული იყო⁵⁹.

ამავე სამარხში ვხვდებით ჩვენ მონეტის ჩატანებას: ნაპოვნია ფილიპე II მაკედონელის (ალექსანდრე მაკედონელის მამის) ოქროს სტატერი.

მისწრაფება ბერძნული ჩვევებისაკენ ჩანს დაკრძალვის წესის ზოგიერთ დეტალში და საიქილოდ გატანებული ნივთების ხასიათშიც: კოლხურ თიხის ჯამ-

თან და წითლად მოხატულ აღმოსავლურ დოქთან ერთად, კოლხი მხედართმთავრისათვის ბერძნული (მცირე აზიური) ბრინჯაოს ლანგარი და თიხის შავლაკიანი საღებო თასი (ატეკური კანთაროსი) გაუტანებიათ. თუ ბერძნულ სუფრის კურჩქელსა და პირისსაფარეშო ნივთებს კოლხ წარჩინებულთა სამარხებში ვაწიში ძვ. წ. V საუკუნეშიც ვხვდებით, სამავიეროდ თითქმის ახალი მომენტია ამფორების ჩატანება: საკუთრივ მეომრის სამარხში ერთი ამფორა აღმოჩნდა, ხოლო მის გარეთ — 5. მათგან ორი კოლხურია, ერთი სინოპური (დამლიანი), ხოლო ორი—ე. წ. სოლოხა I ტიპისა. ზოგიერთი ამფორა, ალბათ, ღვინით იქნებოდა სასვსე, შესაძლოა აგრეთვე მარცვლეულით ან ზეთითუნის ზეთით (მაგ., ცნობილია, რომ სინოპეს ამფორებით ჩვეულებრივ ზეთითუნის ზეთი შემოჰქონდათ), რომლის გამოყენებაც დაკავშირებულია აგრეთვე ძველ ელინურ ჩვევებთან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარჩინებული მეომრის ფერხთით აღმოჩნდა კიდევ ორი ჩონჩხი (ქალისა და მამაკაცისა). ისინი თითქმის ყოველგვარი სამკაულის გარეშე იყვნენ დასვენებული ძაღლის ჩონჩხზე. საფიქრებელია, რომ ესენი იყვნენ წარჩინებული მეომრის მსახურნი თუ ტყვე-მონები. როგორც ჩანს, ისინი „იმ ქვეყანაში“ სამსახურად გაატანეს „ამა ქვეყნის ძლიერს“. ეს წესი რამდენადმე უცნაური, უჩვეულო და მოულოდნელი ჩანს ძვ. წ. IV ს. კოლხეთისათვის, მაგრამ მრავალ ანალოგიას პოულობს სკვითურ-ირანულ სამყაროში⁸⁰. საინტერესოა, რომ იქ, სადაც „მონებია“ დაკრძალული, გათხრებისას ფიქსირებულია ხის ბორბლის ანაბეჭდი. ხომ არ ეკუთვნოდა იგი დასაკრძალავ ეტლს, რომელიც დაკრძალვის რიტუალის შესრულების შემდეგ იქვე დაამსხვრიეს (ასეთი წესი სკვითებშია დადასტურებული)⁸¹?

ამრიგად, წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში ტრადიციულ ელემენტებთან ერთად (სამარხის აღნაგობა, სამკაული) ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ახალ წესსაც, რომელიც ბერძნულ და სკვითურ-ირანულ სამყაროსთან კონტაქტებით შეიძლება აიხსნას. ამ თვალსაზრისით, ეს მრავალმხრივ საინტერესო სამარხი თითქოს პირველი მაგნია იმ ახალი და რთული მოვლენებისა, რომლებიც სულ მალე, ძვ. წ. IV ს. მიწურულიდან სწრაფად იჩენენ თავს ძველი კოლხეთის სოციალურ-ეკონომიურ წყობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურაში: იწყება ახალი, დიდი და საინტერესო ეპოქა მსოფლიო კულტურის ისტორიაში — ელინიზმის ეპოქა. იგი მოიცავს პერიოდს ძვ. წ. IV ს. უკანასკნელი მეოთხედიდან (ტრადიციული დათარიღებით ესაა ძვ. წ. 323 წ. — ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების)—ძვ. წ. I ს. მეორე ნახევრამდე (ძვ. წ. 31—30 წწ. რაც ემთხვევა ავგუსტუსის მიერ რომის იმპერიის შექმნას და რომის მიერ უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფოს — ეგვიპტის დაპყრობას).

ელინიზმის ხანაში კვლავ გრძელდება ანტიკური სამყაროს ცხოველი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა კოლხეთთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებზე, და მათ შორის კოლხეთზეც, გადიოდა „მსოფლიო“ მნიშვნელობის ერთ-ერთი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, დასავლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან რომ აკავშირებდა. ბერძენ-რომაელ ავტორთა (პატროკლე, არისტობულე, სტრაბონი, ვარონი, პლინიუსი) ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ეს გზა მოემართებოდა ინდოეთიდან კასპიის ზღვამდე (სანაოსნო მდინარის ოქსოსის—აწინდელი ამუ-დარიის მეშვეობით), ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავლით — მდ. მტკვარი, სურამის უღელტეხილი, მდ. ფასისი (რიონ-ყვირილის მაგისტრალი) — აღწევდა შავი ზღვის სანაპიროებს ქალაქ ფასისთან და მერმე უკვე საზღვაო გზით უკავშირდებოდა შავი ზღვისპირეთისა და მცირე აზიის ქალაქებს⁸². უთუოდ მნიშვნელოვანია, რომ ბერძნული წყაროები ამ დროს ფასისს „კოლხთა ემპორიონს“ (ანუ სავაჭრო ადგილს) უწოდებენ (სტრაბონი, XI, 2, 17).

ძვ. წ. III—I სს. კოლხეთთან ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა აქვთ სამხრეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქებს (სინოპე, პერაკლეა), მცირე აზიის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს (პერგამონი, სამოსი და სხვა), ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქებს (როდოსი, კოსი, კნიდი, თასოსი და სხვა), რაც დასტურდება ამ ცენტრებში დამზადებული კერამიკის (შავ და წითელაქიანი, რელიეფური და მონატული თიხის ჭურჭელი, ამფორები) და აგრეთვე მონეტების ხშირი აღმოჩენებით თითქმის მთელ კოლხეთში⁸³. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ძვ. წ. III—I სს. სავაჭრო ურთიერთობათა პროცესში ფართოდაა ჩაბმული კოლხეთის როგორც ბარის, ასევე მთიანეთის მოსახლეობა. კიდევ მეტი, შეინიშნება მეურნეობის „ანტიკური ფორმების“ დანერგვის ცდაც. ამის მოწმობა უნდა იყოს კოლხეთში ანტიკური ტიპის სავაჭრო-სატრანზიტო ჭურჭლის — ამფორების დამზადება (ე. წ. ყავისფერ-კეციანი ამფორები, ამჟამად კოლხურს რომ უწოდებენ)⁸⁴. ამასთან ერთად, წმინდა ადგილობრივ ტრადიციულ კოლხურ ფორმებსა და ორნამენტულ სახეებთან ერთად, და მათ გვერდით, ძვ. წ. III—II სს. ვრცელდება ბერძნულ-ელინისტური კერამიკის გავლენით შექმნილი ჭურჭელი (ანტიკური ფორმის სათევზე ლანგრები, კანთაროსის ტიპის თასები, უნგვეტარიუმის მსგავსი სანელსაცხებლები და სხვა). ზოგჯერ ადგილობრივ დამზადებული ბერძნული ფორმის ჭურჭელი შემკულია ტრადიციული კოლხური ორნამენტით... აქ ჩვენ წინაშე დგება რთული და საინტერესო საკითხი: ბერძნულ-ელინისტური კულტურისა და ძველი კოლხური ცივილიზაციის ურთიერთობის საკითხი⁸⁵. რაც დღესდღეობით ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ვანის ნაქალაქარზე ვლინდება.

ტაქარტა ქალაქი

ვანის ნაქალაქარი მდინარე სულორის (როინის მარცხენა შენაკადი) უღამაზეს ხეობაშია განლაგებული. დაბა ვანის გორაკ-ბორცვიან ნაწილში, ადგილობრივი მოსახლეობა „ახვლედიანების გორას“ რომ უწოდებს, თითქმის ყველა ეზოში, გზის ყოველ მონაკვეთზე ჩანს ალიზის მძლავრი კედლებითა და ქვათლილებით ამოყვანილი საძირკვლები, ხოლო მიწის სამუშაოების დროს ხშირად ჩნდებოდა უძველეს ნაგებობათა ნაშთები, მდიდრული ნივთების შემცველი სამარხები...

ვანის არქეოლოგიურმა ძეგლებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიქციეს მკვლევართა და ენთუზიასტ მხარეთმცოდნეთა ყურადღება (მ. ბროსე, გ. წერეთელი, ა. სტოიანოვი, ე. თაყაიშვილი)¹. მაგრამ მხოლოდ 1947 წლიდან დაიწყო ვანის სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა აწ განსვენებული არქეოლოგის ნინო ხოშტარის ხელმძღვანელობით. 1963 წ. დროებით შეწყვეტილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება კვლავ განახლდა 1966 წლიდან და ამჟამადაც გრძელდება საქმოდ ფართო მასშტაბებით.

რიგი წლების მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ძვ. წ. III—I საუკუნეებში ქალაქი განლაგებული იყო სამკუთხა მოყვანილობის მაღალ ბორცვზე. მთელი მისი ფართობი დაახლოებით 12 ჰექტარია და დანაწილებულია 3 ძირითად ტერასად. ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან ეს ბორცვი გამაგრებულია მძლავრი თავდაცვითი კედლებით, ამასთან შესანიშნავადაა გამოყენებული ბუნებრივი პირობებიც — აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან მას იცავს ღრმა ხეეები, მიუვალი, ციკაბო კლდეები. გალანის კედლების სისქე, როგორც წესი, სამ მეტრამდე აღწევს და ამოყვანილია დიდი ზომის (55×80 სმ; 50×70 სმ; ან 50×50; 40×50, 30×50 სმ) სწორკუთხა ქვათლილებით, რომელთა ნაპირები საგანგებოდაა ჩამოთლილი, ხოლო მათ შორის შექმნილი ბალიში დაკეპნილია წვეტიანი იარაღით, ესაა ბერძნულ-ელენის-

ტური ხელოვნობისათვის აგრე დამახასიათებელი „რუსტებიანი“ წყობა², რომელიც სიმაგრესთან ერთად განსაკუთრებულ სილამაზესაც ანიჭებდა საფასადო კედლებს. ამგვარი ქვათილებით, ჩვეულებრივ, გალავნის კედლის გარე და აგრეთვე ზოგჯერ შიდა პერანგია შედგენილი³, ხოლო მათ შორის სივრცე უწესრიგოდ გათლილი ქვებით, დიდი ზომის რიყის ქვებითა და თიხითაა ამოვსებული. ქვასთან ერთად საშენ მასალად გამოყენებულია ალიზის აგურიც, ამასთან, როგორც გამოუწვავი, ასევე გამომწვარიც. ძალზე საინტერესოა, რომ ვანური ალიზის აგური სიგრძით დაახლოებით 52-სმ-ია, ხოლო სისქით—8-10 სმ. ამგვარად იგი განსხვავდება ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ალიზის აგურებისაგან და თითქმის ზუსტად ემთხვევა ქართლის სამეფოში (იბერია) იმავე ხანებში ფართოდ ხმარებულ ალიზის აგურთა ზომებს⁴.

ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გამართულია ნახევარწრიული კოშკით და-
ცული კარიბჭე. იგი წარმოადგენს ძვ. წ. IV—III სს. მიჯნაზე აგებულ რთულ არქიტექტურულ კომპლექსს⁵.

კარიბჭის საძირკველი საგანგებოდ მოსწორებულ კლდოვან დედაქანშია (თირში) ჩადგმული. ძირითადი კედლის სისქე 2,76 მეტრია. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ საფასადო მხარის ერთი ნაწილი თეთრი ფერის მავარი ჯიშის კირ-ქვის დიდი ზომის რუსტებიანი ქვათილებითაა ამოყვანილი, ხოლო დანარჩენ ნაწილში გამოყენებულია ერთგვარი რუხი ფერის ქვიშა-ქვა: კედლის შიდა და გარე პერანგს შორის სივრცე სხვადასხვა ზომის ქვებითაა შევსებული და ერთ-მანეთთან თიხითაა დაკავშირებული. ამასთან, პერანგს შიგნითაც ქვები ჩაწყობილია პორიზონტალურად და შეინიშნება სრულიად გარკვეული ცდა შიდა ქვების დალაგებისას მათი საფასადო წყობის ქვათილებთან ნიველირებისა. საესე-
ვით აშკარაა, რომ კედლის მთელი სისქე ერთდროულადაა ნაშენი, ე. ი. ჯერ პერანგი კი არაა ამოყვანილი და მის შემდეგ შიდა სივრცე ამოვსებული, არამედ კედელი მთელ მის სიგანეზე ერთდროულადაა ზუსტად პორიზონტალურ რიგებდ ამოყვანილი, ხოლო შიდა და საფასადო ნაწილში ჩადგმულია საგანგებოდ და კარგად დამუშავებული სწორკუთხა ქვათილები.

საკმაოდ რთული პროფილირებისა და კონსტრუქციისაა აღწერილი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი (სურ. 33): კუთხიდან 45 სმ-ის დაცილებით ქვა-ქვიშის სწორკუთხა (31 × 25 სმ) პოსტამენტზე აღმართულია 67 სმ. სიმაღლის სწორკუთხა სვეტი, უშუალოდ კედლის წყობას რომ ებჯინება. ამ სვეტზე დგას მარმარილოს თითქმის კვადრატული კვარცხლბეკი. მის ზედა ნაწილში ამოკვეთილია სწორკუთხა ფოსო, რომლის ნაპირები შევსებულია ტყვიით, ხოლო შიგნით კი შემორჩენილია ტყვიითვე ჩამაგრებული წვრილმარცვლოვანი მარმარილოს ნატეხები... როგორც ჩანს, ოდესღაც ამ კვარცხლბეკზე აღმართული

მარმარილოს ქანდაკების უკანასკნელი ფრაგმენტები. იქვეა კედელზე ძველი ბერძნული ასოებით (ვერტიკალურად ზემოდად ქვემოთ) ამოკაწრული წარწერა: „გვევდრები (შენ) მუფეო-ქალღმერთო“⁸, ასე რომ, ქალაქის შესასვლელთანვე, გარეთ იდგა ქალაქის მფარველი ღვთაების ქანდაკება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველი კოლხეთის ქალაქებში შესასვლელთან მფარველი ღვთაების ქანდაკების აღმართვა წერილობითი წყაროებითაცაა დადასტურებული⁹. რომაელი მწერლის არიანეს ცნობით: „ფასისში რომ შეიღიხართ, მარცხნივ აღმართულია ფასისელი ქალღმერთის ქანდაკება“.

ქანდაკების პოსტამენტიდან 0,27 მ-ის დაცილებით კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოკვეთილია 10 სმ. სიგანის ვერტიკალური საგანგებო ნიში, რომელიც განკუთვნილი იყო ჩამოსაშვები რკინის კარებისთვის. გისოსისებური კარი (ძველ ბერძნულად ასეთ კარს კატარაქტა ეწოდებოდა) ჩამოკიდებული იყო ბავირზე, რომელსაც საშიშროების დროს გაწყვეტდნენ და კარი ზემოაღნიშნულ ნიშში ჩამაგრდებოდა. ამას მოსდევდა შიდაკარი, არსებითად კუტიკარს რომ წარმოადგენდა: ძირითადი კედელი, რომელშიც ჩამოსაშვები კარისათვის განკუთვნილი ნიშა ამოკვეთილი, კუთხიდან 2,40 მ-ის დაცილებით 0,52 მ-ითაა წინ გამოწეული და ქმნის თავისებურ ბურჯს და მას სრულიად გარკვეული კონსტრუქციული დანიშნულება ჰქონდა: მის შიდა კუთხესთან იატაკის ფილაზე ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო (9×9 სმ), რომლის ნაპირები გამოყვანილია ტყვიით და განკუთვნილი იყო კარის ჩასადგმელი ღერძისათვის. ასე რომ, „ბურჯი“ კარის ზურგის საყრდენს წარმოადგენდა (ბუნებრივია ასეთივე, თუნდაც ცალკე მდგარი, საგანგებო კედელთან მიშენებული საყრდენი „ბურჯის“ არსებობა მოპირდაპირე მხარესაც, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, არ შემორჩენილა). კარი, როგორც ჩანს, ხისა იყო, მაგრამ რკინის ფურცლით გარშემოკრული (კარის გარსაკრავის ნაწილები იქვეა ნაპოვნი) და იდებოდა გარედან შიგნით, ამაზე მიუთითებს კლდოვან დედაქანზე დაგებულ ქვის ფილაზე შემორჩენილი კარის მოძრაობისაგან შექმნილი რკალისებური ხაზები... აქვე უნდა დავძინოთ, რომ კარიბჭის ძირითადი კედლის მისასვლელთან დაგებულია ერთმანეთთან რკინის საგანგებო სამაგრებები (ე. წ. პირონებით) დაკავშირებული ქვის დიდი ფილები, ეს ფილებიც ზედ ხშირი სიარულისაგან შესამჩნევადაა გაცვეთილი... ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ვანლაგებული ზემოაღწერილი კარიბჭე არ იყო ბორბლძანი ტრანსპორტისათვის განკუთვნილი და მხოლოდ ქვეთად მოსიარულეთ ემსახურებოდა. ძველი ქართული ტერმინოლოგიით ეს იყო „ცოტა კარი“. აღმოსავლეთის მხრიდან მას იცავდა ნახევარწრიული კოშკი და ნაგებობათა მთელი სისტემა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქ მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა ზომის ქვის ჭურვები, რომლებსაც, როგორც ცნობილია, საგანგებო მანქანებით ტყორცნიდნენ. ეს ფაქტიც მოწმობს ქალაქის დაცვის მაღალ ორგანიზაციას⁹.

კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსის სამშენებლო ტექნიკა, კარგების კონსტრუქცია და საერთოდ გამაგრების სისტემა ძალიან ახლო დგას ბერძნულ-ელინისტური ქალაქების ანალოგიური დანიშნულების ნაგებობებთან. მაგრამ იმავე დროს ძალზე მკაფიოდ იჩენს თავს ადგილობრივი ტრადიციებით გაპირობებული თავისებურებები (მათგან ერთი ჩვენ უკვე ვახსენეთ: შესასვლელის წინ მფარველი ღვთაების ქანდაკება). ასეთია პირველ რიგში, კარიბჭის ძირითად კედელზე შიდა მხრიდან მიშენებული საკულტო ნაგებობა (სურ. 34). აღსანიშნავია, რომ ამ ნაგებობის სამი კედელი მთლიანად ამოყვანილია რუსტიანი ქვებით. მშენებლობის მაღალი დონის მაუწყებელია, რომ წყობის ყველარიგბ მკაცრად ჰორიზონტალურია და საგულდაგულოდაა ნიველირებული. დასავლეთ კედელთან აღმართული საკურთხეველი — ქვის სწორკუთხა საძირკველზე მდგარი ოთხწახანაგა სვეტი, რომელზედაც ორ საფეხურად დევს კარგად გათლილი ბრტყელი ფილები. საკურთხეველის ირგვლივ აღმოჩნდა თიხის 23. ჭურჭელი: ჯამები, ქოთნები, წითელი სარტყლებით მოხატული ორყურა ქილა და სამტუჩა დოქები, აგრეთვე ხუთი ამფორა. ყველა ეს ჭურჭელი, რომელიც შეწირულებას წარმოადგენს, ადგილობრივ მეთუნეთა ნახელავია. ძალზე საინტერესოა, რომ ორი ამფორა ფეტვის მარცვლით იყო სავე. ფეტვი კი, მეგრული და სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დიდ როლს ასრულებდა ნაყოფიერების ღვთაებებთან დაკავშირებულ რიტუალში¹⁰.

ზემოაღწერილი საკულტო ნაგებობის (ტაძრის) გარეთ, მის სამხრეთ კედელთან, მონოლითში ამოკვეთილია როფი, რომელიც პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, შესაძლოა მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ჩასადღერად იყო განკუთვნილი. ამ პატარა ტაძარს სამლოცველოს რიყის წვრილი ქვით მოკირწყლული 18 მ. სიგრძისა და 2 მ. სიგანის საგანგებო მისასვლელი ჰქონდა¹¹ (სურ. 35)

ამრიგად, ქალაქის შესასვლელშივე საკულტო შენობა — ტაძარია აღმართული, რაც საკმაოდ უჩვეულოა ბერძნულ-ელინისტური ქალაქებისათვის. მაგრამ საინტერესოა პარალელს პოულობს ადგილობრივ საკრალურ ტრადიციებში, რომელიც საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილია „ღვთის კარის“ სახელწოდებით. „ღვთის კარი“ („ჯვრის კარი“ თუ „ხატის კარი“), პროფ. ვ. ბარდაველიძის განმარტებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამლოცველოს („ხატი“) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სადაც „დიდი“ დღესასწაულები იმართებოდა და მოსახლეობას ღვთაებისადმი შესაწირავი მოჰქონდა. საინტერესოა, რომ საერთო ხევისურულ სალოცავში (საღმრთო გუდანის ჯვარი) „ღვთის კარი“ აგრეთვე სამი მხრიდანაა შემოზღუდული, ხოლო მის შიგნით აღმართულია ქვის საძირკველზე მდგარი ბომონი¹². თუ

გავიზიარებთ, ჩემს შიგერ ყდრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ვანის ძველი ქალაქი წარმოადგენდა სატაძრო ქალაქს — ადგილობრივი უზენაესი ღვთაების სალოცავად აღმართულს¹³, მაშინ კარიბჭესთან გამართულ პატარა ტაძარ-სამლოცველოს მართლაც შეიძლება ეწოდოს „ღვთის კარი“ (საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ღვთის კარი“ ტაძარ-სამლოცველოს მნიშვნელობით ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც იხსენიება)¹⁴.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი. ქვის საკურთხეველი უშუალოდ კედელზეა მიდგმული (ისე როგორც ღვთაების ქანდაკების პოსტამენტი). ეს ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც იქნა შენარჩუნებული პირველ ქართულ ქრისტიანულ ეკლესიებში, სადაც ტრაპეზი (წარმართული ხანის საკურთხეველი)¹⁵ კედლის პირას იყო აღმართული, მაშინაც კი, როდესაც ბიზანტიურმა და რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა კედელთან მიდგმული ქვის ტრაპეზი მწველებლობად მიიჩნიეს.

ამრიგად, ვანის ძველი ქალაქის კარიბჭე თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორაა ერთმანეთთან მჭიდროდ შერწყმული ბერძნულ-ელენისტური და ადგილობრივი საკრალური სამშენებლო ტრადიციები.

მთელი ეს კომპლექსი აგებულია ძვ. წ. IV—III საუკუნეებში და ქალაქის დანარჩენ ნაწილებთან ერთად დანგრეული და გადამწვარია ძვ. წ. I საუკუნეში.

კარიბჭის კომპლექსიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 200 მეტრის დაცილებით, უფრო ძველი ნაგებობის ადგილზე (შემორჩენილია ძველი ნაგებობის წითლადმოღესილი შესანიშნავი იატაკი) აღმოჩენილია ძვ. წ. II საუკუნეში აგებული საკმაოდ დიდი ზომის კიდევ ერთი ტაძარი¹⁷. ტაძარი წარმოადგენს აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ მარტივი მეგარონის ტიპის სწორკუთხა ნაგებობას, რომლის პარალელური (ჩრდ. და სამხ.) კედლების სიგრძე 13 მეტრია, ხოლო დასავლეთი კედლისა — 5 მეტრი. ტაძრის შიგნით, მის დასავლეთ ნაწილში აღმართულია სწორკუთხა პოსტამენტზე მდგარი მრგვალი სვეტი-საკურთხეველი. ტაძარს ჰქონია მოზაიკური იატაკი, კირხსნარით შეკავშირებული თეთრი და ღია ვარდისფერი რიყის ქვებით შედგენილი. ეს იატაკი მთლიანად, თითქოს საგანგებოდაა დანგრეული (სურ. 36). ტაძრის მოზაიკური იატაკის ნანგრევებში აღმოჩენილია მდიდარი შეწირულობა: კოლხური ქვევარი და 40-ზე მეტი (!) ამფორა, 120 სპილენძის მონეტა. იქვეა ნაპოვნი საბრტუალო საგნები: ორი ნაწილისაგან შედგენილი რკინის სასაქმველე: „ჯამისა“ და დაფანჯრულკედლიანი კონუსური ქუდისაგან. „ჯამის“ კალთები ნატეფრი ორნამენტით (ოვები და მარგალიტები, ვარდულები, მცენარის ფოთლოვანი ღეროები, ფრინველის გამოსახულებანი) მორთული ბრინჯაოს ფირფიტით ყოფილა გარშემოკრული.

იქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი (თუ სხვა საგანი), რომელიც ცეცხლისაგან ძლიერ დეფორმირებულია და ჭერჭერობით მაინც ვერ მოხერხდა მისი ფორმის აღდგენა. სამაგიეროდ, თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი მისი სკულპტურული მორთულობა. ჭურჭელი, როგორც ჩანს, იდგა ფრინველის (არწივის) ბრჭყალებიანი კლანჭების გამოსახულებაზე (ასეთი „კლანჭი“ ნაპოვნია ექვსი). ამავე ჭურჭელს ამკობდა ბრინჯაოსგანვე ჩამოსხმული არწივის სამი გამოსახულება. დიდებულია სამივე ქანდაკება: ფრთაგაშლილი არწივები, რომელთა თითოეული დეტალი (ნისკარტი და თვალები, განსაკუთრებით ბუმბული და ღონიერი ქვედა კიდურები) დიდი მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული.

ჭურჭლის მხატვრული გვირგვინია გამარჯვების ფრთოსანი ქალღმერთის — ნიკეს გამომსახველი 18 სმ. სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება. სრული შთაბეჭდილებაა, თითქოს ქალღმერთი სწრაფად ეშვება ზეციდან გამარჯვების მაცნედ და მაუწყებლად. მას ამაყად გადაუგდია უკან თავი, რომელსაც ნაზად ვარცხნილი თმა უმშვენებს. ქალღმერთის ტანს მოსაგვს დიდებული კვართი, ხოლო მის მოსასხამს ქარი აფრიალებს. სამოსლის ვერტიკალური ნაოჭები შესანიშნავადაა შეხამებული ქანდაკების საერთო რიტმთან — დაუოკებელსა და უსწრაფეს მოძრაობას რომ გამოხატავს. კვართი გადახსნილია და მოჩანს ქალღმერთის ნატიფი შიშველი ფეხი (სურ. 41):

მთელი რიგი ნიშნებით (ტანის წაგრძელებული პროპორციები და შედარებით პატარა ზომის თავი, წინ გაშვებული შიშველი ფეხი) ვანის ნიკე ანალოგიებს პოულობს ნიკეს იმ ტიპთან, რომელიც ძვ. წ. II ს. მეორე ნახევარში შექმნა მცირეაზიული ქალაქის მირინის კოროპლასტიკამ¹⁷.

ჭურჭლის მოსართავ ნაწილებს ეკუთვნის აგრეთვე ექვსი ჰორელიეფური გამოსახულება (10—12 სმ. სიმაღლის), მეღვინეობა-მევენახეობის ღმერთის — დიონისეს წრის ღვთაებებს რომ გამოხატავს. მათგან ერთი ძლიერ დაზიანებულია, თუმცა შემორჩენილი ვახის ფოთლებისაგან შედგენილი გვირგვინი მოწმობს, რომ აქ, ისევე როგორც დანარჩენ შემთხვევებში, დიონისეს წრის გამოსახულებებთან გვაქვს საქმე. მეორე გამოსახულება წვეროსანი მოხუცი პანისაა (ბერძნული მითოლოგიის თანახმად ესაა ტყის ღმერთი, მწყემსებისა და მონადირეების მფარველი ღვთაება). მას თხისებური წვეტიანი ყურები აქვს, ხოლო მეჩხერი თმა ცხოველის ჩლიქებზევითაა ამოზიდული. პირი ფართოდ აქვს გაღებული და მოჩანს კბილების ქვედა რიგი. სწორედ, ფართოდ გაღებული პირი და ზემოთკენ მომხირალი თვალები, ღრმა ჰორიზონტალური ნაოჭებით დაღარული შუბლი, აძლიერებენ სახის უადრესად პათეტურ გამომეტყველებას. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მოხუცი პანი ახლა გამძვინვარე-

ბულია და თავისი საზარელი ყვირილით პანიკურ შიშს გვრის იმათ, ვინც მას სიმშვიდეს უფრთხობს (სურ 37).

სტილისტურად ეს გამოსახულება მოგვაგონებს კარგად ცნობილი წვეროსანი ვალის ქანდაკებას იმ ჭგუფური კომპოზიციიდან, ათენში რომ აღმართეს. პერგამონელმა ოსტატებმა (ე. წ. ატალოს I-ის ვოტივუმი)¹⁸. საერთოდ კი ვანში ნაპოვნი გამოსახულება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და, იქნებ, დამაკავშირებელი რგოლიც გვიან ელინისტური ხანის სატირთა გამოსახულებების იმ რიგში, რომელმაც ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა საყოველთაოდ ცნობილ „მოცეკვავე ფაუნს“ ქანდაკებაში (პომპეუმში ნაპოვნი და ნეაპოლის მუზეუმში გამოფენილი)¹⁹.

მესამე ჰორელიეფური გამოსახულება დიონისეს მუდამ მხიარული თანამგზავრის — სატირისა (სურ. 38). მის თავს ამკობს სუროს ფოთლებითა და ნაყოფით დაწნული გვირგვინი. ოსტატს იგი თითქოს ოდნავ შემთვრალი გამოუსახავს და ამიტომაც აქვს ცბიერი გამომეტყველება. სტილისტურად ეს გამოსახულება ძალიან ახლო დგას ე. წ. პერგამონული სტილის სატირების იმ ჭგუფთან, რომლის საუკეთესო ნიმუშები კანზას-სიტის (აშშ) მუზეუმშია დაცული და ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება²⁰.

მეოთხე გამოსახულება ქალისა და გამოირჩევა პათეტიკური იერით (სურ. 39). აქ ჩვენ უკვე ვხედავთ კლასიკურად სწორ ნაკეთებს. მას თავს ვაზის ფოთლებით შეკრული გვირგვინი უმკობს, ხოლო ყურებზე ყურძნის მტევნები ჰკიდია. სავსებით აშკარაა, რომ ესეც დიონისეს წრის ღვთაებაა. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს არიადნე, თეზევსისაგან მიტოვებული, რომელიც მითის თანახმად გახდა დიონისეს მეუღლე და მისი ქურუმი.

დანარჩენი ორი ჰორელიეფური გამოსახულება წარმოსახავს დიონისეს მუდამ მხიარულსა და მომხიბლავ თანამგზავრებს — სახემშვენიერ მენადებს. ორივეს თავს ამკობს ვაზის ფოთლების გვირგვინი. ერთ-ერთ მათგანს ფართო, ვანიერი სახე აქვს, მოკლე ნიკაპი. ამ ნიშნებით იგი უახლოვდება პერგამონის საყურთხევის დიდსა და მცირე ფრიზებზე წარმოდგენილ ჭაბუკთა და ყმაწვილ ქალთა სახეებს. კერძოდ, სტილისტურად ძალიან ახლო ანალოგიას წარმოადგენს „კაბუქის“ თავის გამოსახულება ე. წ. მცირე ფრიზზე²¹.

პერგამონული წრის მხატვრულ პლასტიკასთან დიდი მსგავსება და სიახლოვე კიდევ უფრო მკაფიოდ მუდამდება მეორე მენადის გამოსახულებაში (სურ. 40). ძალზე დამახასიათებელია და ტიპური, მაგალითისათვის, თვალის გადმოცემა, მშვილდით მორკალური წარბები და ნაზად მოხაზული ქუთუთოები. სახის ოვალი, თვალები, მსუქანი ტუჩები და ნაზი ღიმილიც კი თითქოს იმეორებს ბერლინის მუზეუმში დაცულ ცნობილ პერგამონულ ქალის თავს, რომელსაც ძვ. წ. II ს. მეორე მეოთხედით (დაახლ. 160 წ.) ათარიღებენ²².

მთლიანად ეს სკულპტურული მორთულობა ელინისტური ხანის ბერძნული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. მათი აგრე დამახასიათებელი მხატვრული სახეების მრავალფეროვნება სათავეს ძვ. წ. IV ს. უდიდესი ბერძენი მოქანდაკეების პრაქსიტელესა და სკოპასის შემოქმედებაში იღებს. მათი დათარიღება ეჭვს არ იწვევს: ძალზე ახლო მსგავსება პერგამონული წრის მხატვრულ სახეებთან მიუთითებს პერგამონის საკუთხეველის ე. წ. მცირე ფრიზის შექმნის შემდგომ ხანაზე, ე. ი. ძვ. წ. II საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ პერიოდზე, მაგრამ არა უგვიანეს 40-იანი წლებისა.

გაცილებით უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ სადაა დამზადებული ეს ჭურჭელი და მისი სკულპტურული მორთულობა. ვიდრე არაა დასრულებული მხატვრული სახეების კიდევ უფრო დეტალური სტილისტური ანალიზი, აღუდგენელია ჭურჭლის ფორმა და არც მისი ტექნოლოგიური თვისებებია ჯერონად შესწავლილი, იძულებული ვართ ჯერჯერობით ღიად დაეტოვოთ ეს საინტერესო საკითხი. მაგრამ თვით ამ აღმოჩენის ფაქტია ჩვენთვის ამჯერად ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი. იგი მოწმობს, რომ ელინისტური ხანის ვანის მოსახლეობისათვის ცნობილია დიონისეს კულტთან დაკავშირებული ბერძნული მითოლოგიურ-რელიგიური სახეები (ამას სხვა რიგის მონაცემებიც მოწმობენ). მაგრამ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის გარემო, რომელშიც აღმოჩენილია დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით შემკული სარიტუალო ჭურჭელი. ტაძარში აღმოჩენილი მთელი კომპლექსი: მღვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით მორთული სარიტუალო ჭურჭელი, საღვინე ქვევრი და შეწირული ამფორები (40-მდე) ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტაძარი სწორედ მღვინეობა-მევენახეობის კულტთან იყო დაკავშირებული. არქეოლოგიური აღმოჩენებით დადასტურებული ეს საინტერესო ვითარება ძალზე ჰგავს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ქართულ საკულტო მარანს. ქართველმა ეთნოგრაფებმა საკმაოდ დამაჯერებლად უჩვენეს ვაზის მოსავლიანობასთან დაკავშირებული მაგიური და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება, რაც სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული ჩვენში მღვინეობა-მევენახეობის კულტურის სიძველედ. დადგინდია, რომ ქართული მარანი სალოცავ ადგილს წარმოადგენდა და არსებობდა საგანგებო საკულტო მარნები, სადაც მარჯვენა კუთხეში იდგა საზედაზე ქვევრები, ე. ი. ღვთაებისათვის შესასწირავად გამიზნული ღვინის ჭურჭლები (ვანში აღმოჩენილ ზემოხსენებულ ტაძარში სწორედ აღმოსავლეთ ნაწილში ელაგა შეწირულობა—40-მდე ამფორა).

ქართული მარანი საჯვარე, საზედაზე-საკულტო ნაგებობაა, სალოცავი ხატის

როლს რომ ასრულებდა. აქვე სრულდებოდა ლოცვა-ვედრების და მსხვერპლის შეწირვის რთული რიტუალი²³. ძალზე საინტერესოა აგრეთვე, რომ ვანში გათხრილ ამ ტაძარში, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა საუბარი გვაქვს, აღმოჩენილია თირში ამოკვეთილი ორმოც. ვფიქრობთ, რომ იგი მსხვერპლად შეწირული პირუტყვისა თუ ფრინველის სისხლის ჩასაღვრელად იყო განკუთვნილი. ერთი სიტყვით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილი სურათის შედარება ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებთან უაღრესად საინტერესო პარალელს ავლენს და ამ მიმართებით შემდგომი კვლევა-ძიება, ალბათ, კიდევ უფრო პერსპექტიული იქნება.

ამჟამად კი ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოაღწერილი ნაგებობის არქეოლოგიური შესწავლით დასტურდება ქართული რელიგიური წარმოდგენების ღრმა და ადგილობრივი ფესვები. ამავ დროს მას, გარეგნულად მაინც, იმდროინდელი მოდის შესაბამისად, გარკვეული ელინური იერიც აქვს მიღებული. მხედველობაში გვაქვს სწორედ ის რიტუალური საგანი, მეღვინეობა-მეღვინახეობის მფარველი ბერძნული ღვთაების დიონისეს წრის მხატვრულ-რელიგიური სახეებით რომ არის მორთული და მოწმობს დიონისეს კულტის არსებობას ვანში. მით უფრო, რომ ამის მოწმობად შეიძლება სხვა საბუთიც დავასახელოთ, არქეოლოგიური გათხრებისას ვანში აღმოჩენილია ერთი ნაწილი ტერაკოტული ნიღბებისა, დიონისეს, აგწითვე მის თანამგზავრებს—სილენსა და სატირს რომ გამოსახავს²⁴. დიონისეს კულტის გავრცელების მოწმობად მიიჩნევენ აგრეთვე ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილ დღესასწაულებს და მათი ზოგიერთი მომენტი — თხის ტყავებში გახვევა, ნიღბების გაკეთება და სხვა მართლაც წააგავს დიონისურ მისტიკებს. ამიტომ სავსებით სამართლიანია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმული მოსაზრება, რომ ელინისტური კულტურის გავლენით, დიონისეს სახით, აქ გვევლინება უძველესი ადგილობრივი ღვთაება. დიონისე იყო ყველაზე უფრო პოპულარული ბერძნული ღვთაება საკუთრივ საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. ელინისტური კულტურის გამოჩენილი მკვლევარი ვილიამს ტარნი წერს: „თუ ოდესმე რომელიმე ბერძნულ ღმერთს ძალუძდა მსოფლიოს დაპყრობა, ეს შეეძლო მხოლოდ დიონისეს, რომლის კულტი მისმა მსახიობებმა მთელ ქვეყანას მოჰინეს, ხოლო ხელოვნებამ და ლიტერატურამ უზრუნველყო მისი ტრიუმფალური მსვლელობა აზიაში მსგავსად ალექსანდრე მაკედონელისა“²⁵. ცნობილია, რომ ებრაელებმა გააიგივეს იგი თავის ღმერთთან სავაოფთან, ეგვიპტელებმა — სერაპისთან (იმის გამო რომ სერაპისის კულტში თავს იჩენს ოზირისის კულტის ელემენტები); დიონისე ვახდა ატალიდებისა და პტოლემეაოსების წინაპარი.

დიონისური კულტები ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური ხანის შუა აზიაშიც²⁶, მით უფრო გასაგებია „დიონისური“ კულტების პოპულარობა და გავრცელება საქართველოში, რომელიც მეღვინეობა-მევეენახეობის უძველეს ქვეყანას წარმოადგენს...

გალაუნით შემოზღუდული საკულტო-სატაძრო ნაგებობათა რთული და საინტერესო კომპლექსია გამოვლენილი ბორცვის წვერზე. მის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენს საფეხურებიანი საკურთხეველი (სურ. 42), შემორჩენილია სწორკუთხა რუსტიკული ქვათლილებით ნაგები 8 საფეხურიანი კიბე (თითოეული საფეხურის სიგრძე 2,96 მ-ია, სიგანე — 0,35 მ, სიმაღლე 0,19 მ). უკანასკნელი საფეხური გადადის სწორკუთხა მოედანში²⁷. ეს საფეხურებიანი ნაგებობა თავისი გეგმით სავსებით ანალოგიურია ბერძნულ-ელინისტურ სამყაროში გავრცელებული იმ საკურთხეველებისა, ჩვეულებრივ ტაძრის წინ რომ იყო ხოლმე აღმართული და სადაც მსხვერპლის შეწირვის საზეიმო რიტუალი სრულდებოდა. საფეხურებიანი ნაგებობის დასავლეთით გამოვლენილია ძალზე ფრაგმენტული, დაზიანებული კედელი (დასავლეთით 8 მ. სიგრძეზე შემორჩენილი), რომელიც ნინო ხოშტარას აზრით, ტაძრის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია, რომ იქვე კედელში ღრმა კრიბტა ამოკვეთილი. სამწუხაროდ, ტაძრის ნაშთები იმდენად ფრაგმენტულია, რომ მისი პირვანდელი გეგმის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ მაინც აშკარაა, რომ აქ არ უნდა გეჭონდეს ბერძნულ-ელინისტური ტიპის ტაძარი; რომლის აუცილებელი ელემენტია საფეხურებიანი სტერეობატი. საფიქრებელია, რომ ეს იყო სამი მხრიდან შემოზღუდული წაგრძელებული ფორმის სწორკუთხა შენობა, ანალოგიური კარიბჭის სამხრეთით ორასიოდ მეტრის დაცილებით გათხრილი მოზაიკურიატაკიანი ტაძრისა (ჩვენ მას ტაძარ-მარანი ვუწოდეთ), რომელიც აგრეთვე განსხვავდება ბერძნულ-ელინისტური ტაძრებისაგან.

ქალაქის ზედა ნაწილში შესწავლილ საკულტო ნაგებობათაგან კიდევ ერთია საინტერესო. ესაა თლილი ქვით ნაგები სამკედლიანი ნიშისებური შენობა, რომლის შიდა ფართობი მხოლოდ 2,5 მ (სამხრეთის მხრიდანაა ღია). ნაგებობის შიდა კედლები ცეცხლისაგანაა ძლიერ გაწითლებული, მაშინ როდესაც გარედან ცეცხლის კვალი არ შეიმჩნევა. ჩრდ. შავი ზღვისპირეთშიც, ოლბის ტემენოსზე, აღმოჩენილია სავსებით ანალოგიური; თითქმის იმავე ზომისა და გეგმის ნაგებობა, რომლის შიდა კედლებიც ცეცხლისაგანაა დაწითლებული და დამსკდარი. ფიქრობენ, რომ ეს არის მსხვერპლის დასაწვავი საგანგებო შენობა²⁸, ამგვარი დანიშნულების ნაგებობა დადასტურებულია ძველ ქართულ წარმართულ ყოფაშიც და მას საზორველი ეწოდებოდა²⁹. ამრიგად ქალაქის ზედა ნა-

წილში, სადაც გამოვლენილია საკულტო-სატაძრო ნაგებობათა კომპლექსი³⁰, უმათერესია საკუთხეველი, ტაძარი (რომელსაც ძველი ქართული ტერმინოლოგიით ბაიანი ეწოდებოდა)³¹ და საზორველი. ე. ი. ყველა ის აუცილებელი ელემენტი, რომელიც დამახასიათებელია ძველი ქართული წარმართული სალოცავებისთვის³².

ძვ. წ. IV—I საუკუნეების ნაგებობათა მთელი წყება აღმოჩენილი ე. წ. ცენტრალურ ტერასაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ძველი ქალაქის ერთ-ერთ უმათერეს ნაწილს წარმოადგენდა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. წ. მრგვალი ტაძარი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ამ ადგილზე უფრო ადრე (ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის პირველ ნახევარში) იდგა სწორკუთხა შენობა, რომელიც თავისი გეგმით ემსგავსებოდა კარიბჭესთან აგებულ ტაძარ-სამლოცველოს. თავდაპირველი, სწორკუთხა შენობიდან ამჟამად შემორჩენილია შესანიშნავად გათლილი და დამუშავებული ქვებით ამოყვანილი დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების საძირკვლები, აგრეთვე კლდოვან დედაქანში (თირში) ამოკვეთილი ბუდეები, ქვათლილების ჩასალაგებლად რომ იყო განკუთვნილი და რომელთა მეოხებით გახდა შესაძლებელი ნაგებობის თავდაპირველი გეგმის აღდგენა: მისი სიგრძე 11,4 მეტრია, ხოლო სიგანე — 10,4 მეტრი. კედლების სისქე 3 მეტრს აღწევს (შენებლობის წესი ანალოგიურია კარიბჭის კედლების, წყობისა). სწორკუთხა შენობა შიგნიდან მოგებულია სხვადასხვა ზომის თირის ქვათლილებით.

ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარში სწორკუთხა შენობის საძირკველზე მრგვალი შენობა აუგიათ (სურ. 43). საამისოდ ძველი შენობის საძირკველიც გამოუყენებიათ. შენობა რომ მთლიანად მრგვალი იყო (კოშკისებური), ამას მოწმობს მრგვალი მოყვანილობის ბუდეები აღმოსავლეთ ნაწილში (სადაც ადრე სწორკუთხა შენობას საერთოდ არ ჰქონდა კედელი და „ღია“ იყო კარიბჭის ტაძარ-სამლოცველოს მსგავსად) და აგრეთვე სამხრეთ ნაწილშიც, სადაც ძველი შენობის სწორკუთხა ბუდეების ნაკვალევზე ამოჭრილია მომრგვალებული ბუდეები. მრგვალი შენობის გარე დიამეტრი 10 მეტრია, ხოლო შიდა — 5,4 მეტრი. ჭერჯერობით ძალზე რთულია მრგვალი ტაძრის არქიტექტურული ფორმების აღდგენა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი არ ემორჩილება ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრების ძირითად პრინციპებს, თუმცა ზოგიერთი კონსტრუქციული დეტალის გამოყენება გამორიცხული არაა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სწორედ ცენტრალურ ტერასაზე 1968-1969 წლებში ნაპოვნი ტრაპეციის ფორმის 10-12 სმ. სისქის ათამდე ქვის ფილა (საშუალოდ 90×95 სმ), რომელთა ნაპირები სავანგებოდაა ამოჭრილი, როგორც ჩანს, ქვის ან ხის ძელებზე დასამაგრებლად. არქიტექტორ გიორგი ლეჟავას აზრით, ეს ფილები

წარმოადგენს კესონის უჯრედის სახურავებს და განკუთვნილი იყო მრგვალი ფორმის (ე. ი. თოლოსის ტიპის) შენობისათვის. ჯერჯერობით ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, ეკუთვნიან თუ არა ეს ფილები ზემოაღწერილ მრგვალ ნაგებობას. მაგრამ ერთი რამ მაინც საესებით აშკარაა: კონსტრუქციულად მათი გამოყენება დაკავშირებულია ელინისტური ხუროთმოძღვრების სამშენებლო ტექნიკის გავლენასთან. ჰერის პლაფონის გაფორმების კესონური პრინციპი დამახასიათებელია მრგვალი ტიპის ისეთი შენობებისათვის, როგორცაა ფიმელა ეპიდავროსში, ფილიპეონი ოლიმპიაში (ძვ. წ. IV ს. დასასრული), და განსაკუთრებით არსინოინი სამოთრაკის კუნძულზე (ძვ. წ. III ს.)³³. ყველა ეს სატაძრო-საკულტო ნაგებობაა. აღსანიშნავია, რომ ელინიზმის ხანაში ეს მრგვალი ფორმის საკულტო ნაგებობანი ბერძნული ხუროთმოძღვრების ზემოთ დასახლებული ძეგლების გავლენით ჩნდება და ვრცელდება მახლობელსა და ცენტრალურ აღმოსავლეთში: „მრგვალი ტაძარი“ პართიის ნისაში³⁴, ჩაიტის მრგვალი დარბაზი გუნტუპალეში³⁵, აბსიდიანი ტაძარი ტაქსილაში³⁶, საკულტო ნაგებობათა კომპლექსი კოი-კრილგან-კალეში³⁷; ყველა ეს საკულტო ნაგებობაა, ამასთან ზოგიერთ მათგანში ძალიან კარგად ჩანს ელინისტური საკრალური ხუროთმოძღვრების გავლენა. მაგალითად, ნისის მრგვალ ტაძარში, რომელიც წარმოადგენს ადრე პართული ხუროთმოძღვრების მეტად თავისებურ ძეგლს, სადაც მკაფიოდ იჩენს თავს ბერძნულ-ელინისტური და პართული ტრადიციების სინთეზი.

ცენტრალურ ტერასაზე უნდა მდგარიყო კიდევ ერთი მონუმენტური შენობა, რომლის მხოლოდ ცალკეული არქიტექტურული დეტალია ჯერჯერობით აღმოჩენილი. განსაკუთრებით დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა ადგილობრივი ჯიშის თეთრი ფერის კირქვისაგან გამოკვეთილი ლომის თავის გამოსახულებანი (სურ. 44—45), რომელთაგან ერთი შენობის დეკორაციული მოსართავია, ხოლო დანარჩენი ორი—სიმის ნაწილია, წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი³⁸. სამივე თითქმის ერთნაირი ზომისაა (სიგრძე 70 სმ., სიმაღლე 45 სმ., სიგანე 36 სმ.). ერთ-ერთ მათგანს შემორჩენილი აქვს კონსტრუქციული დეტალები, რომლითაც იგი შენობის სათანადო ნაწილთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული ლომის თავები კონსტრუქციულად აშკარად ელინური თუ ელინიზებული ნაგებობის ნაწილებს წარმოადგენს (სამწუხაროდ, თვით ის შენობა, რომელსაც ეს ლომის თავები ამკობდა, ჯერ ნაპოვნია არაა). იმავე დროს ცნობილია, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ იყო გავრცელებული ლომის, როგორც „მფარველი-ცხოველის“ გამოსახულება. საქმარისია დავასახელოთ ხეთური „ლომებიანი კარიბჭე“ ბოლაზ-კოეში, „ჰამადანის ლომი“, ლომის მრავალრიცხოვანი გამოსახულება პართულ ქანდაკებაში და მონეტებზე. ლომის

გამოსახულება არც კოლხეთის ნივთიერი კულტურის ძეგლებისთვისაა უცხო (კოლხური თეთრი, ვანის ოქროს სამაჯურები და დიადემები)³⁴. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა სვანური ეთნოგრაფიული მასალები, კერძოდ სვანური დროშა „ლემ“, რომელიც ლომს განსახიერებდა და ერთ-ერთი ვერსიით იგი სვანებისათვის ვადაუცია ღვთაება ლამარიას — მიწისა და ადამიანის ნაყოფიერების მფარველს⁴⁰.

მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ვანის ლომის თავებს აშკარად ეტყობათ ბერძნულ-ელინისტური გავლენა, ხოლო რამდენადმე ტრაგიკულად მოქმუხნული წარბები და პათეტიკური გამომეტყველება ანათესავებს მას ძე. წ. III—II სს. პერგამონის ე. წ. ბაროკული სტილის ქანდაკებებთან. მაგრამ ამავე დროს სრულიად აშკარად იგრძნობა ძველი აღმოსავლური ტრადიციები. მაგ., კეფაზე დასმული მომრგვალებული ყურები და პირს შემოვლებული რელიეფური სარტყელი მოგვაგონებს გვიან ხეთურ, ანუ სირო-ხეთურ ლომის გამოსახულებებს⁴¹. ამასვე უნდა დავძინოთ, რომ საერთოდ ვანური ლომების სრულიად აშკარა ანთროპომორფიზებული იერი ძალზე ემსგავსება ძე. წ. III—II სს. შუა და მახლობელი აღმოსავლეთის კოროპლასტიკაში გავრცელებულ ლომის ნიღბებს. ამრიგად, ამ გამოსახულებებში საკმაოდ კარგად ჩანს ბერძნულ-ელინისტური გავლენაც და ძველი აღმოსავლური (სირო-ხეთური) ტრადიციებიც. ამ ფაქტს კი მნიშვნელობა ენიჭება იმ ეთნო-კულტურული გარემოს დასახსიათებლად, სადაც ეს ძეგლები იქმნებოდა. ამ აღმოჩენის მეცნიერული მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ, თუ არ ვცდები, ისინი წარმოადგენენ ქართული მონუმენტური ქანდაკების უძველეს ნიმუშებს. ისინი უთუოდ ეკუთვნოდნენ რაღაც გრანდიოზულ, უდავოდ სატაძრო ტიპის ნაგებობას.

ამრიგად, დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, ვანის ნაქალაქარი თითქოს არ წააგავს „ნამდვილ“, „საერო ქალაქს.“ უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა ამ ქალაქში სატაძრო-საკულტო ნაგებობათა დიდი ზვედრითი წილი და მათი თითქოს წამყვანი როლიც. ჩვენი აზრით, აქ საკმე უნდა გვეკონდეს ელინისტური ხანის საქართველოს დიდ სატაძრო ცენტრთან ანუ სატაძრო ქალაქთან⁴². ეს უნდა ყოფილიყო იმავე რიგის ქალაქი, როგორიც იყო ძველ ეგვიპტეში კარნაკი, ხოლო არქაული და კლასიკური ხანის საბერძნეთში ოლიმპია, დელფო, დოდონა და სხვა, უფრო კი ელინისტური ხანის მცირე აზიის დიდი სატაძრო გაერთიანებანი: პონტოს კომანა და ზელა, ზევსისა და აპოლონის ტაძრები კაპადოკიაში, დმერთის დედის ტაძარი პესინუნტში, ოლბის სატაძრო სახელმწიფო კილიკიაში, ანატიის ტაძარი არმენიაში და სხვა. კარგადაა ცნობილი, რომ ეს ტაძრები მხოლოდ საკულტო-რელიგიურ ცენტრებს კი არ წარმოადგენენ; არამედ იმავე დროს იყვნენ ვრცელი მიწებისა და აურაცხე-

ლი სიმდიდრის მფლობელი მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიური ერთეულები⁴³.

სწორედ ვანში აღმოჩენილ ქალაქს უნდა გულისხმობდეს ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი, როდესაც კოლხეთის აღწერისას ასახელებს ლევკოთეას მდიდარ სატაძრო ქალაქს⁴⁴. სავსებით აშკარაა, რომ ლევკოთეას სახელით აქ იხსენიება ადგილობრივი, ძველი ქართული წარმართული პანთეონის ღვთაება, რომელიც გარეგნული ნიშნებით ემსგავსებოდა ბერძნულ ლევკოთეას — თეთრ ქალღმერთს, ზღვის ღვთაებას⁴⁵. წყლის ღვთაების კულტი კი ძველ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და მისი გადმონაშთები უკანასკნელ ხანებამდეა დასავლეთ საქართველოში შემონახული. აღსანიშნავია, მაგალითად, სამეგრელოში ცნობილი დღესასწაული „მესეფობა“. ხალხის წარმოდგენით „მესეფი იყო წყლის დედა, რომელიც ამ დროს ზღვიდან ამოდიოდა...“ ამას გარდა, გავრცელებული იყო რწმენა წყლის დედაზე („წყარიში დიდა“), რომელიც „თეთრი ქალიშვილის“ (!) სახით იყო წარმოდგენილი⁴⁶ (ლევკოთეა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „თეთრ ქალღმერთს“)⁴⁷.

ძვ. წ. III—I საუკუნეების ვანის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლაცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით ფართოდ იყენებდნენ ელინისტური არქიტექტურის უმთავრეს მიღწევებს⁴⁸, მაშინდელი კულტურული მსოფლიოს ვრცელ ტერიტორიაზე რომ იყო გავრცელებული, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში (მცირე აზია, სირია, ირანი, შუა აზია).

აქ ჩვენ წინაშე დგება საქართველოში ელინისტური კულტურის გავრცელების გზების რთული და საინტერესო საკითხი.

ძვ. წ. III—I საუკუნეებში კოლხეთი აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელმაც ძვ. წ. III—I საუკუნეებში უაღრესად ფართო მასშტაბები მიიღო⁴⁹. ეკონომიურ ურთიერთობას ელინისტურ ქვეყნებთან, ბუნებრივია, თან მოჰყვებოდა კოლხეთში ელინისტური კულტურის გავრცელებაც. მით უფრო, რომ ელინიზმის ხანაში კოლხეთზე (და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებზე) ვადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც დასავლეთს (ბერძნულ-ელინისტურ სამყაროს) აღმოსავლეთთან აკავშირებდა⁵⁰. შესაბამისად, შეიძლებოდა გვემტკიცებინა, რომ ელინისტური კულტურა საქართველოში ვრცელდებოდა შავი ზღვისპირა ოლქებიდან,

სადაც უკვე ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან არსებობდნენ ე. წ. დიდი ბერძნულ-კოლონიზაციის ხანაში დაარსებული ელინთა სამოსახლოები. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ზღვისპირა ზოლში არ ჩანს⁵¹ სწორედ ის ელინისტური კულტურა, აგრე თვალსაჩინოდ რომ გამოვლინდა მაგ., ვანში⁵². ეს გარემოება უკვე იძლევა თითქოს საფუძველს, რომ დავეჭვდეთ ძველ კოლხეთში ელინისტური კულტურის ზღვისპირა ოლქებიდან გავრცელების შესაძლებლობაში. მით უფრო, რომ იგივე კულტურა საკმაოდ მკაფიოდ იჩენს თავს შიდა კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში (სამადლო,⁵³ სარკინე, მცხეთა და მისი მიდამოები⁵⁴, წუნდა). შეიძლება დაინახოთ მთელი რიგი მსგავსება ვანის სამშენებლო წესებისა და „დიდი მცხეთის“ სხვადასხვა უბანზე (არმაზციხე, წიწამური, სარკინე) აღმოჩენილ ე. წ. არმაზციხე I რიგის ძეგლებს შორის—ისეთივე სამშენებლო წესები, ქვათილიები⁵⁵ და არქიტექტურული დეტალები (ბაზები, კაპიტელი, წნული ჩუქურთმა)⁵⁶, ზოგიერთი შენობის გეგმა⁵⁷, აგრეთვე ალიზ-აგურის⁵⁸ ფართოდ გამოყენება. ყველაფერი ეს უცხოა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონებისათვის. აღსანიშნავია აგრეთვე, ვანის კრამიტების დიდი მსგავსება სამადლოს ნამოსახლარის კრამიტებთან⁵⁴. კიდევ მეტი! ჩანს გარკვეული სიახლოვე ვანისა და მცხეთის კრამიტებზე აღნიშნულ ნიშნებს შორის⁶⁰. ყოველივე ეს ჩვენ წინაშე სვამს საკითხს ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოში ელინისტური კულტურის ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობის შესახებ. საკითხის ამგვარად დასმის შესაძლებლობას სხვა რიგის არქეოლოგიური მასალაც გუპარანახობს.

ანტიკური ხანის კოლხეთის ნივთიერი კულტურის განვითარების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში კოლხეთის ნივთიერი კულტურა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მკაცრად ერთიანია, როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე შიდა რაიონებშიც (მთასა და ბარში). ეს არის კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანა და ეთნიკურად ამ კულტურის მატარებლები იყვნენ დასავლურ-ქართული ანუ მეგრულ-ჭანური (ზანური) ტომები. მაგრამ უკვე ძვ. წ. IV და განსაკუთრებით III—II საუკუნეებში თანდათანობით ისახება ორი კულტურული არეალი, თითქოს ჩნდება გარკვეული განსხვავება ზღვისპირა ოლქებსა და დღევანდელი გურია-იმერეთის ტერიტორიებს შორის. გარდა ზემოთქმულისა (ხუროთმოძღვრებას რომ შეეხებოდა) ეს განსხვავება გამოიხატება აგრეთვე დაკრძალვის წესში: ამ დროს დღევანდელი გურია-იმერეთის ტერიტორიაზე ვრცელდება ქვევრ-სამარხები, რომლებიც ჯერჯერობით არ გვხვდება ზღვისპირა რაიონებში. შეინიშნება განსხვავება კერამიკის ზოგიერთი ფორმის გავრცელებაშიც. ასე მაგ., ორივე წრისათვის დამახასიათე-

ბელ ტიპებთან ერთად, ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში ჩნდება წითლად მოხატული კერამიკა, რომელიც ზღვისპირა რაიონებში ჯერჯერობით აგრეთვე არაა დადასტურებული. მაგრამ ძალზე საყურადღებოა, რომ იგივე ელემენტები (ქვევრსამარხები⁶¹, მოხატული კერამიკა), ისევე როგორც ელინისტური კულტურის შემოადინებული ნიშნები ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოში⁶². ეს ის ხანაა სწორედ (ძვ. წ. IV—III სს.), როდესაც მიმდინარეობს ქართლის სამეფოს (იბერიის) ჩამოყალიბება, აღმოსავლურ-ქართული ტომებისა და საერთოდ იბერიის „დიდი ექსპანსია“⁶³ დასავლეთით, რაც აისახა, როგორც ძველ ქართულ (ლეონტი მროველი)⁶⁴, ასევე ბერძენ მწერალთა (სტრაბონი⁶⁵, არიანე⁶⁶) ცნობებში. ქართლის სამეფოს შექმნაში კი, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მესხურმა ტომებმა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქართლის სამეფოს დედაქალაქის—მცხეთის სახელწოდება მესხთა ტომებს უკავშირდება⁶⁷.

მესხთა ანუ აღმოსავლური ქართული ტომების დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე განსახლებაზე ძვ. წ. III საუკუნიდან მიუთითებენ ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი მწერლებიც (სტრაბონი, პლინიუსი, სოლინი, პროკოპი კესარიელი). საკმარისია აღინიშნოს, რომ ლევეკოთეას სახელზე აგებული სატაძრო ქალაქი, რომელსაც ჩვენ ვანის ნაქალაქართან ვაიგივებთ, სტრაბონის ცნობით, მდებარეობდა მდინარე ფასისთან (რიონზე), მოსხების ქვეყანაში⁶⁸. ელინისტური კულტურა საქართველოში უნდა მოეტანათ და გაეცრცელებინათ სწორედ მესხურ ტომებს, ძველთაგანვე მცირე აზიის ჩრდ. აღმოსავლეთით რომ მოსახლეობდნენ და უშუალო კონტაქტი ჰქონდათ, ერთი მხრივ, ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ხოლო, მეორე მხრივ, — ბერძნულ-ელინისტურ სამყაროსთან. და იქნებ შემთხვევითი არაა სწორედ ის გვიან ხეთური ტრადიციებიც, რომლებიც ვანში ნაპოვნ ლომის თავის სკულპტურულ გამოსახულებებზე აღვნიშნეთ. დიონისური კულტების გავრცელებაც, იქნებ, აგრეთვე, უკავშირდება მესხურ ტომებს, რომელთაც უშუალო კონტაქტები ჰქონდათ ფრიგიასთან, სადაც დიონისეს მისტერიები ფართოდ იყო გავრცელებული...⁶⁹

ვანის ქალაქი დანგრეულია ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში. როგორც არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, დროის ძალზე მოკლე შუალედში იგი ორგზისაა ბარბაროსულად დანგრეული. ნაქალაქარის თითქმის ყველა უბანზე ჩანს ძლიერი ხანძრისაგან გაწითლებული ალიზისა და ქვის კედლები, ზოგჯერ საძირკვლიანად დანგრეული ნაგებობანი, დანახშირებული ხის ძელები და კოჭები, ვადამწვარი და თითქმის წილად ქცეული კრამიტები, თიხის კუბურები და სხვა ნივთები... ეს უნდა მომხდარიყო ჯერ ბოსფორის მმართველის — ფარნაკეს, ხოლო შემდეგ (ძვ. წ. 47 წ.) პერგამონის მეფის მითრიდატე VII კოლხეთში ლაშქრობათა დროს⁷⁰.

КУЛЬТУРА ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ

Р Е З Ю М Е

В специальной научной литературе почти единогласно признано, что грузинские племена с самого начала проживали на территории нынешней Грузии. Здесь происходило сложение т.н. пракартвельского (прагрузинского) этноса, носителя общего грузинского языка-основы, а затем и его распад на родственные племена картов, занов (мегрело-чанов) и сванов. Здесь, на территории Грузии, в течение тысячелетий проходил сложный и долгий процесс социально-экономического и культурного развития грузинских племен. Здесь, на этой земле осуществлялись экономические и культурные контакты с родственными и другими народами, что находило отражение в языке, а также в материальной и духовной культуре народа.

Предполагается, что прагрузинский этнос — носитель общекартвельского языка-основы — уже существовал в III тысячелетии до н.э., а со II тысячелетия до н.э. постепенно происходит его распад. Во всяком случае, уже с середины II тысячелетия до н.э. на территории нынешней Западной Грузии совершенно отчетливо создается единая культурно-историческая область, называемая колхидской.

Г л а в а I.

У ИСТОКОВ ДРЕВНЕКОЛХИДСКОЙ ЦИВИЛИЗАЦИИ

Новейшие археологические исследования на территории нынешней Западной Грузии свидетельствуют, что эта область была заселена с самых начальных этапов истории человеческого общества. Древнейшие остатки человеческой деятельности датируются ашельской эпохой, а с эпохи мустье происходит широкое расселение первобытного человека по всей Западной Грузии. С VIII—VII тысячелетий до н.э. начинается эпоха неолита, позд-

ний этап развития которого сопровождается появлением земледелия и вообще оседлого хозяйства. К этому времени относится появление первых гончарных изделий, иногда украшенных примитивным орнаментом.

На смену неолитической культуры в V—IV тысячелетиях до н. э. приходит местная энеолитическая культура, памятники которой открыты на территории нынешней Абхазии, а также в восточных областях Западной Грузии (Квирильское ущелье).

К началу III тысячелетия до н.э. относится первое появление металлических (бронзовых) изделий; многочисленные образцы которых найдены в абхазских дольменах эпохи ранней бронзы и особенно в курганах Сачхере (в восточных областях Западной Грузии).

Для раннего этапа бронзовой культуры Западной Грузии характерны исключительное обилие и разнообразие бронзовых орудий (вислобушные и трубчатообушные топоры военного, хозяйственного и ритуального назначения; кинжалы с металлической орнаментированной рукояткой) и украшений, а также применение сложных технических приемов (ковка и литей, восковая модель). В этот же период в сачхерских курганах появляются первые образцы золотых изделий (спиралевидные височные кольца) (рис. 1).

Новый этап в развитии бронзовой культуры на территории Западной Грузии начинается с начала II тысячелетия до н. э., т. е. с эпохи средней бронзы, замечательные памятники которой найдены в Раче (на южных склонах Кавказского хребта). Здесь открыты и довольно значительные остатки металлургического производства и обширный могильник, в котором найдены замечательные образцы художественного ремесла, в том числе новые варианты вислобушных топоров ритуального назначения, украшенных пластическим орнаментом (рис. 2). Весьма важно, что уже в эпоху средней бронзы созревают те основные элементы материальной культуры, которые с середины II тысячелетия до н.э. широко распространяются по всей территории Западной Грузии.

Глава II.

КУЛЬТУРА БРОНЗОВОГО ТОПОРА

Последние столетия II и начало I тысячелетий до н.э. являются временем наивысшего расцвета колхидской бронзовой культуры, наиболее ярким компонентом которой являются изящные бронзовые топоры. Их большин-

ство (датируемые XI—VII вв. до н.э.) представляют собой замечательные образцы древнеколхидского художественного ремесла. Значительная часть колхидских топоров украшена гравированными изображениями (рис. 4—6). Наряду с геометрическим орнаментом весьма часты стилизованные изображения животных, особенно собаки. Наряду с гравировкой применяется и цветная инкрустация. С этой точки зрения большой интерес представляет клад из с. Уде (рис. 8), обычно датируемый XI—X вв. до н.э., а некоторыми исследователями даже концом XIII и первой половиной XII века. В бронзовых изделиях этого клада мы встречаем инкрустацию железом, что возвещает о появлении нового могущественного металла.

К периоду наивысшего расцвета колхидской бронзовой культуры относятся, предположительно, первые посещения греками-ахейцами берегов Черного моря, что нашло отражение в сказаниях об аргонавтах, поход которых, согласно древнегреческой традиции, предшествовал троянской войне (т.е. 40-ым годам XIII в. до н.э.) и хронологически совпадает с первыми упоминаниями в ассирийских источниках крупных объединений древнеколхидских племен. В IX—VIII вв. до н.э., судя по ассирийским и урартским источникам, древнеколхидские племена создали довольно сильное государство («Колха»), которое вело кровопролитные войны с могущественным царством Урарту.

Глава III.

ЗЛАТООБИЛЬНАЯ КОЛХИДА

(Колхидская культура в VI—IV вв. до н.э.)

После падения в юго-восточном Причерноморье древнеколхидского царства («Колха») на территории нынешней Западной Грузии возникает новое крупное объединение западнокартвельских племен — широко известное в античном мире под названием Колхида. Весьма важно, что Геродот упоминает колхов (как и сасперов) наряду с мидиянами и персами, среди «четырех народов, живущих от моря до моря» (т.е. от Чёрного моря до Персидского залива). Поскольку Мидия после поражения восстания Фравартиша (521 г.) окончательно потеряла свою политическую независимость и стала рядовой сатрапией ахеменидов, следует полагать, что сведения Геродота:

(1,104; IV,37) отображают политическое положение Передней Азии, по крайней мере, до 20-х годов VI в. до н. э. К этому же времени относится и появление колхидских серебряных монет (неоспоримого свидетельства наличия государственной власти), ранние образцы которых (дидрахмы с изображениями лежащего льва и коленопреклоненной человеческой фигуры с бычьей маской) датируются последней четвертью VI в. до н. э.

Наиболее яркие памятники колхидской художественной культуры за последние годы открыты в Вани — одном из самых значительных центров древней Колхиды (в её внутренней части, на левом берегу р. Риони, примерно в 100 км от морского берега) — и представлены золотыми и серебряными украшениями, бронзовыми и керамическими сосудами.

Золотые и серебряные украшения, найденные в Вани и в других местах Колхиды V в. до н. э., весьма многочисленны и довольно разнообразны:

а) диадемы (рис. 9), крученный ободок которых увенчан ромбовидными пластинками, украшенными чеканными изображениями, широко распространенными на древнем Востоке и в искусстве архаической Греции — сценами борьбы животных. Художественно-стилистический же анализ выявляет отдельные черты и образы, берущие начало в искусстве Ассирии, Манейского царства и Мидии, ахеменидского мира, что в свою очередь, указывает на древневосточные корни колхидской художественной культуры.

б) серьги и височные кольца (рис. 10—12) самых разнообразных форм (с «лучами», ажурными или полыми сферическими подвесками, а также «калачеобразные» и в виде всадников), всегда обильно украшенные зернью в виде пирамид и треугольников и, как правило (!), миниатюрной розеткой на кольце (характерная особенность украшения колхидских золотых и серебряных серёг).

в) многочисленные золотые подвески (рис. 13—17) в виде миниатюрных фигурок птиц, телёнка, баранов, черепах и т. д., а также — геральдические изображения орлов.

г) золотые (и серебряные) браслеты, увенчанные скульптурными головками льва, телёнка, барана, тура, кабана (рис. 18) и в стилистическом отношении почти не отличаются от широко распространенных в V—IV вв. до н. э. по всему ахеменидскому миру и в Средиземноморье.

В целом, золотые и серебряные украшения в V в. до н. э. характеризуются строгим художественно-стилистическим и техническим единством. На их местное, колхидское происхождение, указывает оригинальность ху-

дожественных форм, которые характерны большей частью лишь для Колхиды, генетически связываются с памятниками материальной культуры доантичной эпохи и, как правило, неизвестны за пределами Грузии (диадемы, серьги и височные кольца с «лучами» или сферическими подвесками и др.).

В V в. до н.э. продолжается и художественная обработка бронзы: разнообразные украшения, культовые и ритуальные предметы, котлы-ситулы, декорировка которых отчётливо несёт на себе следы художественных традиций колхидской культуры эпохи поздней бронзы (рис. 20—21).

Исключительным разнообразием и изяществом форм отличается в V в. до н. э. колхидская керамика (рис. 22—24), украшенная традиционным геометрическим орнаментом, а также и изображениями различных животных, напоминающих гравировку на колхидских топорах позднебронзовой эпохи.


Глава IV.

АНТИЧНАЯ КУЛЬТУРА И КОЛХИДА

Начало регулярных взаимоотношений античного мира с Колхидой совпадает с периодом греческой колонизации берегов Черного моря. В это время на колхидском побережье возникли греческие торговые города или фактории (эмпории), сыгравшие важную роль в установлении и развитии торгово-экономических взаимоотношений античного мира с Колхидой. В итоге, уже с середины VI в. до н.э. на территории Колхиды распространяются греческие изделия, главным образом керамика (амфоры, расписные сосуды и др.). В этот период (вторая половина VI в. до н.э.) во взаимоотношениях с Колхидой ведущую роль играют восточногреческие (ионийские) торгово-ремесленные центры. С начала V века замечается ослабление торговых связей (в связи с греко-персидскими войнами). Но сразу же после победоносного окончания войны начинается активизация греческой торговли уже под гегемонией Афин. В Колхиде в это время распространяются первоклассные образцы аттической художественной бронзы и торевтики первой половины V в. до н. э.: бронзовая патера с антропоморфной ручкой (рис. 26) и ойнохоя (рис. 25), серебряные килики с позолотой (рис.



































28), ложка со скульптурным изображением сфинкса, котел, украшенный фигурками крылатого льва и баранов, арибалл аттического типа с гравированным фризом (шествие сфинксов, в изображении которых мы видим влияние выдающегося греческого вазописца второй четверти V в. — Сотада).

Значительным памятником греческой культуры является надгробная стела (найденная в Сухуми на дне моря), датированная нами около 430—420 гг. до н.э. (рис. 30).

Влияние греческой культуры (весьма слабое в Колхиде в VI—V вв. до н. э.) отчётливо выступает в погребении знатного колхидского воина (открытом в Вани в 1969 г.). В этом погребении (точно датированном началом второй половины IV в. до н.э.) наряду с традиционными элементами, мы видим некоторые новые черты, которые объясняются контактами с греческим и скифо-иранским миром (рис. 32). С этой точки зрения, это во многих отношениях интересное погребение является первым вестником тех новых и сложных явлений, которые с конца IV в. до н.э. отчётливо будут выступать в социально-экономическом строе, общественной жизни, в идеологии и материальной культуре древней Колхиды. Оно как бы предвещает начало новой эпохи — эпохи эллинизма.

Глава V.

ГОРОД ХРАМОВ

Эта глава посвящена результатам новейших археологических исследований городища эллинистической эпохи в Вани. В III—I вв. до н.э. город был расположен на треугольном холме (площадью 12 га), разделенном на три террасы. Уже открыты оборонительные каменные и сырцовые стены, а также целый ряд архитектурных сооружений III—I вв. до н.э., свидетельствующих о высоком уровне строительного дела и о наличии местной школы зодчих, хорошо знакомых с основными принципами античной (эллинистической) архитектуры и творчески развивавших их на местной основе. Наиболее выдающимся является сложный архитектурный комплекс городских ворот, построенный в III в. до н.э. из великолепно отесанных и плотно пригнанных насухо друг к другу белоснежных квадров (рис. 33).

У входа сохранился мраморный постамент для, к сожалению, не уцелевшей статуи богини-хранительницы. Неглубокий вертикальный паз в боковой стене служил для спуска железной решётки (катаракты), замыкавшей вход во время опасности. Ещё дальше на камешном пороге сохранились дугообразные цапаины от вращения обитых железом деревянных дверей. К воротам пристроен, по древнегрузинским обычаям, маленький языческий храм (рис. 34) с каменным алтарём («воротами бога» называют такие сооружения горцы Восточной Грузии). В храме были найдены приношения: 23 сосуда, из которых два были полны просом (по этнографическим данным просо играло важную роль у грузинских племен в ритуале в честь богини плодородия). К этому храму ведёт прекрасно сохранившаяся, мощённая мелким булыжником, мостовая длиной в 18 м. Ворота фланкируются полукруглой башней.

Внутри города обнаружен ряд монументальных сооружений общественного назначения, несколько древнеколхидских святилищ (рис. 36): ступенчатый алтарь (рис. 42), круглый храм (рис. 43). Во время раскопок найдены весьма многочисленные и разнообразные памятники древнеколхидской культуры, а также греко-эллинистического искусства. К последним относится некогда роскошный бронзовый ритуальный сосуд II в. до н.э., три фигурки орлов с распростёртыми крыльями и шесть горельефных головок (высотой 10—12 см) божеств — спутников Диониса, бога виноделия, украшали этот сосуд. Это — исполненные с высоким художественным мастерством (в т.н. «пергамском стиле») головки бородатого Пана, юного Сатира, Ариадны и прекрасных Менад (рис. 37—40). Венцом сосуда является 18-сантиметровая статуэтка Ники. Крылатая богиня Победы изображена как бы спускающейся с небес в стремительном полёте. С необычайно высоким мастерством передано движение: хитон распахнулся, обнажив выступающую вперед изящную и стройную ножку богини. Никэ Ванская замечательное творение неизвестного, но безусловно выдающегося, греческого мастера (рис. 41).

Большое научное значение для истории колхидского (и вообще древнегрузинского) искусства имеют находки трёх массивных львиных голов (высота 40 см и длина 70 см) III—II вв. до н.э., высеченных из местного известняка (рис. 44—45). С художественно-стилистической точки зрения они несут некоторые следы греко-эллинистического влияния, но вместе с тем совершенно отчётливо выступают черты местного своеобразия.

разия, которые восходят к древневосточным традициям, в частности, позд-нехеттского культурного мира. Львиные головы из Вани являются пока что древнейшими образцами древнегрузинской монументальной скульптуры. Они представляют собой часть симы от водостока, несомненно, монументального сооружения храмового, типа.

Отсутствие на территории городища жилых сооружений, а также культурных слоёв, характерных для городских поселений обычного светского типа, с одной стороны, а с другой — обилие храмово-культурных зданий даёт нам основание предположить, что это был храмовый центр, т.е. город-святилище. Есть основание предполагать, что именно об этом святилище идёт речь у греческого географа Страбона при описании Колхиды в рассказе о разграблении боспорским правителем Фарнаком, а затем Митридатом Пергамским богатого святилища богини Левкотей.

Обращает на себя внимание и тот факт, что материальная культура восточных областей Колхиды в III—I вв. до н. э. очень близка к Иберии (Восточногрузинское царство). Это связывается, видимо, с колонизацией восточных областей Колхиды племенами восточногрузинской языковой группы — месхами (месхи античных источников), издревле занимавшими северо-восточные окраины Малой Азии и имевшими непосредственные контакты как с древневосточными цивилизациями, так и с греко-эллинистическим миром.

THE CULTURE OF ANCIENT COLCHIS

Summary

It is almost unanimously acknowledged in the specialist literature that Georgian tribes inhabited the territory of present-day Georgia. It was here that the Proto-Kartvelian (common Georgian) ethnos—speaking the Common Kartvelian language—took shape and then broke up into the kindred tribes of *Karts*, *Zans*, *Megrel-Chans* and *Soans*. Here took place the complex and long process of the socio-economic and cultural development of the Georgian tribes. In this land economic and cultural contacts occurred with kindred and alien peoples, which was reflected in both the language and the material and spiritual culture of the people.

The Proto-Kartvelian ethnos presumably existed already in the 3rd millennium B.C., and from the 2nd millennium B.C. it gradually disintegrated. At any rate, already from the middle of the 2nd millennium B.C. an integrated cultural-historical entity—called Colchian—took a definite form in the territory of present-day western Georgia.

Chapter I.

THE DAWN OF ANCIENT COLCHIAN CIVILIZATION

